პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80
ექსპედიციის 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნ. „დროშას" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის 13—80.

დ ღ ი უ რ ი

- — მანჯურიაში დიდ არეულობას აქვს ადგილი.
- — ბრიანი და ჩემბერლენი გაემგზავრენ შვეიცარიაში შრომის კონფერენციაზე დასასწრებლად.
- — პორტუგალიის კომპარტია მუშებს საერთო გაფიცვისაკენ მოუწოდებს.
- — მოელიან ინგლის-ოსმალეთის შეთანხმებას მოსულის საკითხში.
- — გამწვავდა ურთიერთობა ინგლისსა და ეგვიპტეს შორის.
- — ამსტერდამში გაიხსნა მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტურ ინტერნაციონალის მეორე კონფერენცია.
- — ინდონეზიაში მთავრობამ დაიწყო კომუნისტების დევნა.

პარასკევი, 4 ივნისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 125 (1580)

ც ა კ ი ს მ ე ს ა მ ე ს ე ს ი ა

1926 წლ. ივნისის 11-ს სოხუმში გაიხსნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. აფხაზეთის ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
3. ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
5. შრომა-გასწორების კოდექსი.
6. სამაზრო აღმასკომების დებულება.
7. სახალხო სასამართლოები.
8. საბჭოთა არჩევნები.
9. სესიიდან სესიამდე ს. ს. ცაკ—ის პრეზიდიუმის მიერ მიღებული კანონთა დამტკიცება.
10. მიმდინარე საკითხები.

ცაკის წევრთა საყურადღებოდ

10 ივნისს, საღამოს გადის გემი ქ. ბათომიდან სოხუმში. ცაკის წევრები აუცილებლად უნდა იყვნენ ბათუმში ამ დროისათვის.

ქ. თბილისიდან ქ: ბათომში მატარებელი გადის ივნისის 9.

ნ. 1333 4—4. ს. ს. ცაკ—ის მდივანი ს. თოდრია.

საით მიდის საფრანგეთი?

ორი ფაქტი განსაკუთრებით აღსანიშნავია დღეს საფრანგეთის მდგომარეობის დასახასიათებლად: ე. წ. მემარცხენე ბლოკის საბოლოო კაპიტულიაცია მემარჯვენეების წინაშე, ერთი მხრივ, საფრანგეთის ფინანსებზე ამერიკა-ინგლისის ბანკების კონტროლის დაწესების ცდა—მეორეს მხრივ.

მემარცხენე ბლოკის დაშლის პროცესი დიდი ხნიდან დაიწყო, მაგრამ ეხლა ის მივიდა თავის ლოღიკურ დასასრულამდე; მას გამოეთიშა მნიშვნელოვანი ნაწილი და აშკარად გადაბარგდა მილიერან-პუანკარეს ბანაკში, და ამგვარად პალატაში იქმნება მემარჯვენეების მტკიცე უმრავლესობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მილიერანის ფაშისტური გაზეთი საჭიროდ სცნობს ბრიანის დარჩენას მთავრობის სათავეში, ხოლო ფინანსთა მინისტრი პერე საჯაროდ აცხადებს, რომ მთავრობა ცდილობს დაამშვიდოს მქონებელი კლასებიო.

რაც შეეხება მემარცხენე ბლოკის „მემარცხენე" ფრთას, მას უნარი არ შესწევს რაიმე ბრძოლა აწარმოოს თავაშვებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ რეაქციასთან; „სინიდისის დასამშვიდებლად" მას საკმარისად მიაჩნია უსიცოცხლო ოპოზიციონურ სიტყვიერებით დაკმაყოფილება. ამ უილაჯობის მაჩვენებელია, სხვა „დემოკრატიულ" ქვეყნებზე რო არაფერი ვსთქვათ, ამას წინად შემდგარ ფრანგ „სოციალისტების" კონგრესი, რომელმაც ერთი „მაგარი" სიტყვის თქმაც ვერ გაბედა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

მემარცხენე ბლოკი მაშინაც კი, როცა იგი რამოდენიმე გაერთიანებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ფაქტიურათ ყოველთვის ატარებდა მსხვილი მრეწველების და ბანკირების ხაზს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში. მას არ გაუნაღდებია არც ერთი დაპირება ამომრჩეველთა წინაშე, არც ერთი მუხლი თავის ისედაც მკრთალი დეკლარაციებიდან. მისი პროგრამის ერთი მთავარი მუხლთაგანი იყო კაპიტალის დაბეგვრა, მაგრამ მის განხორციელებაზე თავი არავის აუტკივებია და გადასახადების მთელი სიმძიმე მშრომელ მასსებს აწევით ზურგზე. მემარცხენე ბლოკმა აგრეთვე კვერი დაუკრა ბრიანის იმპერიალისტურ პოლიტიკას; ამას წინედ პალატამ, მემარცხენე ბლოკის დიდი ნაწილის ხმის მიცემით, მადლობა გადაუხადა მთავრობას რიფების განადგურებისათვის.

„მემარცხენე" ჯგუფების უხასიათობით და სიწამხდრით გათამამებული კაპიტალი უფრო მედგარ შეტევაზე გადავიდა. ბანკებმა წაუყენეს მთავრობას ულტიმატუმი ფინანსებზე ხელმძღვანელობის მათ ხელში გადაცემის და ამ დარგში პარლამენტისათვის ყოველგვარ უფლების აყრის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებენ რაიმე დახმარებაზე ფრანკის განსამტკიცებლად, ფრანკის, რომლის კურსი სულ დაბლა მიექანება. ბრიანი, როგორც სჩანს, თანხმდება ამ ულტიმატუმზე. ამგვარად, ლახვარი ეცემა პარლამენტარიზმის პრესტიჟს და ცხადდება ბანკირების დიქტატურა, რაც უდრის ფაშისტურ დიქტატურას.

ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ეს მშრომელი მასსებისათვის,—ზედმეტი გადასახადებით მათ კიდევ უფრო წელში მოზნექას, მათ გაღატაკებას.

არა ნაკლებ საგულისხმოა ინგლის-ამერიკის ბანკების ნაბიჯი, გადადგმული საფრანგეთის ფინანსებზე კონტროლის დასაწესებლად. საფრანგეთის მრეწველობა და ვაჭრობა, ფრანკის სიიაფის გამო, დიდ კონკურენციას უწევს მაღალ ვალიუტიან ინგლისის და ამერიკის საქონელს. ამიტომ უკანასკნელნი ცდილობენ მერყევი ვალიუტა განდევნონ საერთაშორისო ბაზრიდან, მოახდინონ ფულის უნიფიკაცია, რამდენადაც საქმე ეხება არა ნაციონალურ, არამედ საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლას, და ამ მიზნით დაარსონ მსოფლიო საემისიო ბანკი. ამ აზრით სწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება ამერიკის და ინგლისის ბანკების წარმომადგენლებს შორის. ამ პროექტის განხორციელება იქნება მთელი ევროპის და პირველ ყოვლისა საფრანგეთის „დაუესიზაცია". საფრანგეთმა, როგორც ფრანგული გაზეთი „ჟორნელ ოფ კომმერს" სწერს, უნდა მოახდინოს არჩევნები ნაციონალურ სუვერენიტეტის დაკარგვასა და გაკოტრებას შორისო". ამერიკა-ინგლისის ბანკების დიქტატურა საფრანგეთის ფინანსებზე უეჭველად ნიშნავს საფრანგეთის მიერ ეკონომიურ და, მაშასადამე, პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვას.

სხვა გზა საფრანგეთისათვის არ არსებობს, თუ საფუძვლიანი ცვლილებები არ მოხდა მის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში, თუ ფრანგ კაპიტალისტების მადა არ იქნა შეზღუდული, თუ მსხვილი კაპიტალი საგრძნობლად არ იქნა დაბეგრილი. მაგრამ ამ გზით არ წავიდა მემარცხენე ბლოკი. ვერც წავიდოდა. მის შემადგენელ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების ხვედრია იყონ მსხვილ კაპიტალის მაჩანჩალა, მისი ბრმა იარაღი. ამ როლს ისინი ჩინებულად ასრულებენ.

საფრანგეთის ხსნა დაღუპვისაგან შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობის დახმარებით. მემარცხ. ბლოკის უილაჯობა, „სოციალისტების" ღალატი, მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობა და ამით გამოწვეული მასსების გაჭირვების ზრდა შექმნის ნიადაგს კლასთა ბრძოლის გამწვავებისათვის საფრანგეთში. მშრომელი მასსა, განთავისუფლებული მემარცხენე ბლოკთან დაკავშირებულ ილიუზიებიდან, გაიკაფავს გზას ძალა-უფლებისაკენ.

◆

„ვისთვის და რისთვისაა საჭირო ასეთი დეკლარაციები"

ჩვენ ყველანი განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ინგლისის მუშათა დიდ გაფიცვას და დღესაც ასეთივე ყურადღებით ვადევნებთ თვალს ინგლისის მაღაროს მუშათა ბრძოლას. დიდი გაფიცვა და მისი პატარა ხელმძღვანელები დიდხანს დარჩება მთელი ქვეყნის მუშათათვის შესწავლის საგნად: მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ამ მაგალითით მიხვდება და შეიგნებს, თუ როგორი ხელმძღვანელობაა გაფიცულ მუშათათვის დამღუპველი. ყველა იმათთვის, ვინც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბედითაა დაინტერესებული, უაღრესად დიდ ღირებულებას წარმოადგენს ამ გაფიცვის მონაწილეთა ჩვენება, განსაკუთრებით იმ გენერალურ საბჭოს წევრთა ჩვენება, რომლებმაც ასე სამარცხვინოდ დაამთავრეს ბრწყინვალე გაფიცვა. გენერალურ საბჭოს შემწევრთა გამოსვლებმა, ეხლა, გაფიცვის შემდეგ, უნდა განუმარტოს ყოველ მუშას, როგორ მოხდა ყოველივე ეს, ვინაიდან სწორედ ესაა უმთავრესი, რაიც ყველას აღელვებს.

აი, რატომ იქცევს უდიდეს ყურადღებას და იწვევს ინტერესს ლენსბერის კვირეულ ორგანოში დაბეჭდილი გენერალურ საბჭოს სამი მემარცხენე წევრის—სუელსის, ჯორჯ ხიკსის და ბენ-ტილლეტის დეკლარაცია, რომელიც მიმართულია ინგლისელ და საზღვარ-გარეთელ ამხანაგებისადმი.

ამ დეკლარაციის კითხვის დროს ინტერესს სცვლის განცვიფრება, რომელიც მკითხველს ბოლომდე რჩება. ეს იმით აიხსნება, რომ ამ დოკუმენტში ეძიებ ერთს და ნახულობ მეორეს, ეძიებ დამსწრის ცოცხალ სიტყვას და სიმართლეს, მაგრამ ნახულობ... უმჯობესია, ამ საბუთმა თვით ილაპარაკოს თავის შესახებ:

„საყოველთაო გაფიცვა დამთავრდა, რომელმაც შეასრულა თავისი ამოცანა სასწრაფო აუცილებელი შეტევისა. იგი გახდა საზოგადოების ერთი ნაწილისადმი თანაგრძნობის მძლავრი მოძრაობის ხელმძღვანელობის პირველ ცდათ, სახელდობრ საზოგადოებას იმ ნაწილისადმი, რომელიც მაღაროებში მუშაობდა საყოველთაო აღშფოთების გამომწვევ შრომის საკატორღო პირობებში.

მთავრობა და მისი დამქაშები იარაღში ჩამსხდარნი შეხვდენ ჩვენს ამხანაგურ გამოსვლას. ყველა შეიარაღებული ძალები, როგორც საზღვაოსნო, ისე ხმელეთის, როგორც პოლიციის, ისე მოხალისეთა, სამხედრო ტექნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით შეიარაღებულნი და მომარაგებულნი, შეგროვილნი იყვნენ მთელი ინგლისის სივრცეზე რეპრესიულ ზომების მისაღებათ და, თუ საჭირო გახდებოდა, სისხლის-მღვრელ თავდასხმისათვისაც. ბრიტანეთის პროფმოძრაობამ ამაზე უპასუხა მუშათა კლასის მხრით გადამწრელი ზომების მიღებით, რომლითაც არა მარტო შეჩერდა მრეწველობის ძირითადი დარგები, არამედ დამბლა დასცა ინგლისის მთელი სამრეწველო ცხოვრება.

მთავრობა და წარმოების მეპატრონენი ჩვენი გაბედული და მშვიდობიანობის მოყვარე ნაბიჯის შემდეგაც კი ბოროტის განზრახვით სცდილობდენ გადაემახინჯებიათ ნაბიჯის ჭეშმარიტი აზრი და ჩვენს დასამარცხებლად. ეს სიყალბე გამოაშკარავდა მახლობელ კვირეებში, თუ დღეებში არა. კონფლიქტიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები: 1) გაფიცვამ მოახდინა სოლიდარობის სიძლიერის უდიდესი დემონსტრაცია, რომლის მსგავსი იშვიათად გამოუჩენია ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობას; 2) მან გამოააშკარავა მრეწველობის ყველა დარგის ეკონომიური დამოკიდებულება მუშათა კლასისაგან, და რაც არ უნდა ილაპარაკონ, რაც არ უნდა გააკეთონ შტრეიკბრეხერებმა და საზოგადოების ნაძირალებმა, ამ გაფიცვამ დაამტკიცა პროფმოძრაობის კონტროლი სახელმწიფოს სამრეწველო რესურსებზე; 3) ჩვენ შევსწყვიტეთ კაპიტალისტუ გაზეთების გამოსვლა, რომლებიც შხამითა და ცოფით იყვნენ აღსავსე, ჩვენ შევაჩერეთ მოშხამულ ცილისწამებათა გავრცელება, რომელთა შეთხზვა მხოლოდ კაპიტალისტურ პრესას შეუძლიან; და ბოლოს, გაფიცვამ შეაკავშირა დაქირავებული შრომის ყველა კატეგორიები საერთო სოლიდარობისა და სიმპატიის ძაფებით. მან გააერთიანა საერთაშორისო მასშტაბით ამერიკის, ევროპის და ჩვენი კოლონიების ყველა მუშები. მან გამოიწვია რუსეთის პროფმოძრაობის მიერ ძმური დახმარების აღმოჩენა.

თუ უკანასკნელ დღეებში ჩვენს საკუთარ რიგებში გაისმის ხმები, რომ ჩვენი ბრწყინვალე გამოსვლა ყალბი ნაბიჯია ინგლისის მთელი მუშათა კლასის მხრივ, ამან არ უნდა ჩაგვაგდოს გაუგებრობაში. ეს ხმები ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის სისუსტის მაჩვენებელია, რომელსაც ჩვენ უნდა ვებრძოლოთ და რომელიც უნდა აღმოვფხვრათ.

ვუწოდებთ რა საგნებს მათ სახელს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ წარმოების მეპატრონეთა უბადრუკი ჯიუტობა, რომელმაც თითქოს უნდა დაგვარწმუნოს ჩვენი ნაბიჯის შეცდომაში, უფრო მათი სისუსტის მაჩვენებელია, ვიდრე ჩვენი. ჩვენი ამხანაგები, შეკავშირებული მუშები, არსოდეს არ ასცდებიან სწორ გზას: წარმოების მეპატრონეებმა უნდა შეიგნონ, თუ რას ნიშნავს მუშათა სოლიდარობა. მათზეა დამოკიდებული, რომ არ გამოიწვიონ იგი მომავალში თავისი საქციელით, ვინაიდან ჩვენ სავსებით დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი კლასი, რომელმაც ერთხელ მოახდინა თავისი მთლიანობის დემონსტრაცია, კიდევ მოახდენს ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით თავისი მთლიანობისა და მიზნებისათვის ბრძოლაში მამაცობის დემონსტრაციას. კაპიტალისტებმა უნდა შეიგნონ, რომ უფლება არსებობისა, უფლება ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა, არის ისეთი უფლება, რომლის შეცვლა შეუძლებელია რომელიმე იურიდიული კაზუისტიკით".

პირველი კითხვა, რომელიც ბუნებრივად იბადება დეკლარაციის დაკვირვებითი წაკითხვის შემდეგ, არის: ეს ვისთვის და რისთვისაა საჭირო. რა მიზნებს ისახავდნენ თავის გამოსვლით გენერალურ საბჭოს სამი წევრი? პასუხს ჩვენ მივიღებთ მაშინ, როცა ამ დეკლარაციის ანალიზს შევუდგებით.

ჩვენ მიერ მოყვანილ დოკუმენტში არის სიმართლეც და სიყალბეც, მაგრამ უმთავრესი რამ არაა. მართალია, რომ გაფიცვამ ძლიერების უდიდესი დემონსტრაცია მოახდინა, მართალი არაა, რომ მან შეასრულა თავისი ამოცანა—სასწრაფო და აუცილებელ ბრძოლის მიცემა.

მართალია, რომ მთავრობა და მისი დამქაშები მუშათა გამოსვლას იარაღში ჩამსხდარნი შეხვდენ. მართალია, რომ გაფიცვამ გამოააშკარავა მრეწველობის ყველა დარგის ეკონომიური დამოკიდებულება მუშებისაგან; რომ დახურული იყო სიცრუით აღსავსე კაპიტალისტური პრესა. მაგრამ სწორი არაა გაფიცვის შეწყვეტის დახასიათება გაბედულ მშვიდობიანობის მოყვარულ ნაბიჯად. კიდევ უფრო არაა მართალი მთავრობისა და წარმოების მეპატრონეებისადმი ბრალდების წაყენება, რომ ისინი ბოროტ განზრახვით სცდილობდენ ჩვენი ნაბიჯის (ე. ი. კაპიტულიაციის) ლოღიური აზრის შერყვნას და მის დამარცხებად დასახვასო. მაშ გენერალურმა საბჭომ არ მოახდინა კაპიტულიაცია? გამოდის, რომ მან დასდო საპატიო ზავი? საოცარია, რომ ვერავინ შენიშნა ეს საპატიო ზავი! მთელი სამეული პროტესტს აცხადებს მხდალი სიცრუის წინააღმდეგ, ჭეშმარიტების შერყვნის წინააღმდეგ. ამ საკითხში მხდალი სიცრუე მთავრობამ და წარმოების მეპატრონეებმა კი არ გამოიჩინეს, არამედ იმათ, ვისაც სურს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, დამარცხება გამარჯვებად წარმოიდგინონ.

მართალია, ის, რომ რუსეთის პროფმოძრაობამ დახმარების ძმური ხელი გამოგვიწოდაო. მაგრამ არაა სწორი ამ ფაქტზე შეჩერება და არც ერთი სიტყვის არ აღნიშვნა იმის, რომ ეს ძმურად გაწვდილი ხელი ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა, გენერალურ საბჭოს გაბედულ და მშვიდობიანობის მოყვარულობის ნაბიჯების მიოხებით. განა საოცარი არაა, რომ სამეულმა ამ საკითხშიაც ვერ გაბედა საგნებისათვის თვის სახელი ეწოდებინა?

მე ვფიქრობ, რომ საკმაოა მოყვანილი მაგალითები: ისინი საკმაოდ არკვევდენ დეკლარაციის ჭეშმარიტ ხასიათს, რომელშიაც ყველა საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას თანასწორივ განზრახ გაყალბებული და [illegible] ადგილები. [illegible] იმით, რაც მასშია ნათქვამი, [illegible] სად იმით, რაც მასში გამოტოვებულია.

მართლაც, დიადი გაფიცვის რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა კაპიტულიაციის შედეგები უკვე გამოირკვა, კაპიტულიაციის ავტორებს დაავიწყდათ აეხსნათ ჩვენთვის, თუ როგორ მოხდა, რომ ძლიერების უდიდესი დემონსტრაცია უძლურობის უდიდეს დემონსტრაციად გადაიქცა. ავტორებს დაავიწყდათ ეუწყებინათ ჩვენთვის, ვინ და რატომ მიიყვანა საქმე განადგურებამდე. კიდევ მეტი, ისინი სცდილობდენ დაიცვან გაუგონარი კაპიტულიაცია, უწოდებდენ რა გაბედულ და მშვიდობიანობის მოყვარულობის ნაბიჯს იმას, რასაც ინგლისის მუშები გამცემლობასა და მხდალობას უწოდებენ.

ქვევით. სამთა-მადნო მუშები განაგრძობენ გაფიცვას. მართალნი არიან სამთა-მადნო მუშები თუ არა? უნდა შეერთებოდენ ისინი გაბედულ და მშვიდობიანობის მოყვარეობის ნაბიჯს, თუ უნდა განეგრძოთ ბრძოლა? მხარი უნდა დაუჭიროთ სამთა-მადნო მუშებს თუ არა? როგორ შეიძლება მილიონი მუშების გაფიცვის დროს ამ საკითხის შესახებ მდუმარება?

ამგვარად, ეს დეკლარაცია, რომელიც ყველასადმია მიმართული, „ყველას, ყველას", სცდილობს დაჭფაროს გენერალურ საბჭოს სამარცხვინო როლი გაფიცვაში, მუშათა ყურადღება მიმართოს ყალბი გზით, გამცემლობა და სიმხდალე მჟღერალა ფრაზებით დაჩრდილოს და ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული ბოროტმოქმედება გაამართლოს.

ჩვენ არ გვაინტერესებს, რის თქმა უნდოდა გენერალურ საბჭოს სამ წევრს, მაგრამ ის, რაც მათ დაბეჭდეს, აუცილებლად გამოიწვევს ყოველ სინდისიერ პროლეტარში ღრმა აღშფოთებას. არაა მართალი, ასიათასჯერ არაა მართალი, ამიტომ „სენდეი უორკერი", როცა იგი მიესალმება სუელსის, ჯორჯ ხიკსისა და ბენტილლეტის გამოსვლას. ასეთი დეკლარაციები მხოლოდ სახელს უტეხს მათ, ვინც მასზე ხელს აწერს. ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატს ესაჭიროება შიშველი, შეუფერადებელი სიმართლე და არა თავის ნუგეში და ციებ-ცხელებიანი და მქლე აზრებიანი დეკლარაცია.

ა. ლოზოვსკი.

გადმოცემულია ტელეგრაფით. მოსკოვი 3 ივნისი.

მაღაროს მეპატრონეები ცდილობენ მოლაპარაკების განახლებას მუშებთან

დამოუკიდებელი მუშათა პარტია შემოწირულებას აგროვებს გაფიცულთათვის

კრიზისი ნახშირის მრეწველობაში მწვავე ხასიათს იღებს

გაფიცულთა სასარგებლოდ

ლონდონი, 2 ივნისი. მუშათა პარტიის ლონდონის ორგანიზაცია 10 ივნისს ქუჩებში შემოწირულებებს შეაგროვებს გაფიცულ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ. შემოწირულებების შეგროვება დაიწყება პროვინციალურ ქალაქებშიაც.

„სამთამადნო მუშაკი"

ლონდონი, 3 ივნისი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანოს „ნიუ ლიდერ"-ს განზრახული აქვს გამოუშვას ყოველკვირეული ჟურნალი „სამთამადნო მუშა", რომელშიაც მოთავსებული იქნება ცნობები გაფიცვის მსვლელობის შესახებ და ახალი ამბები ადგილებიდან.

საგანგებო წესები

ლონდონი, 2 ივნისი. თემთა პალატამ დაადგინა გაგრძელებულ იქნეს საგანგებო წესები კიდევ ერთი თვით. მთავრობას ეძლევა დამატებითი რწმუნებები, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს დააკავოს ფულის თანხები, გადმოგზავნილი საზღვარგარეთიდან რაიმე მიზნით, „რომელიც ემუქრება მშვიდობიანობას და სახელმწიფოებრივ წესრიგს".

მიზეზი იპოვეს

პარიზი, 2 ივნისი. რუს ემიგრანტთა ორგანიზაციამ „რუსეთის ნაციონალურ ცენტრმა" ყველა მთავრობებს და „მთელ ცივილიზაციურ მსოფლიოს" საზოგადოებრივ აზრს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ინგლისის საყოველთაო გაფიცვა გამოწვეულია ინგლისის პროფკავშირების მოღვაწეთა მოგზაურობით საბჭოთა კავშირში 1924 წელს. ემიგრანტთა ცენტრი მოუწოდებს ყველა მთავრობებს არ იცნან საბჭოთა კავშირი, რადგან ეს მათ ბოლოს „დიდ ზიანს მოუტანთ".

საბჭოთა მუშების დახმარება

მოსკოვი, 3 ივნისი. **ცენტროკავშირის გამგეობამ მიმართა სამომხმარებლო კოოპერაციას წინადადებით გააძლიეროს შეძლებისდაგვარად ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშებისათვის დახმარების შეკრება.**

ცენტროკავშირმა უკვე დაარსა სპეციალური ფონდი 50.000 მანეთის რაოდენობით.

ფულის შეკრება აკრძალეს

პრაღა, 2 ივნისი. ოსტრავის სანახშირო რაიონში (ჩეხო-სლოვაკიაში) ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლოთ ფულების შეკრება პოლიციამ აკრძალა.

ფრანკის სტაბილიზაცია

ბერლინი, 3 ივნისი. პარიზის ცნობების მიხედვით, პერემ შეიტანა ფრანკის სტაბილიზაციის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის ნორმის გადიდება, ბირჟის ავტომობილებზე, თამბაქოზე, ლიკიორებზე და უძრავ საგნებზე დადებულ გადასახადის მომატება.

ისევ ლოიდ-ჯორჯი

ლონდონი. ლიბერალურ პარტიის იმ 12 ლიდერთა შორის, რომლებიც მხარს უჭერენ ლორდ ოქსფორდელს (ასკვიტს) ლოიდ-ჯორჯთან მომხდარ კონფლიქტში, არიან ვიკონტ გრეი, საიმონი, ლორდი ბექსტონი, ლორდი კაუდრეი, პრინგლი და სხვები.

ლიბერალურ პარტიის საპარლამენტო ფრაქციის უახლოეს სხდომაზე, ლოიდ-ჯორჯს, რომელიც ფრაქციის თავმჯდომარედ ითვლება, ეყოლება 23 მომხრე ხუთმეტის წინააღმდეგ. როგორ პოზიციას დაიჭერს ეროვნულ-ლიბერალური პარტიის კონფერენცია, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში შესდგება ჯერ ძნელი გამოსარკვევია.

უნდა აღინიშნოს, რომ ლოიდ-ჯორჯს ლიბერალურ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებიდან მრავალი წერილები და რეზოლიუციები მოსდის, სადაც მის თვალსაზრისს იზიარებენ.

ლიბერალურ გაზეთებიდან „დეილი ქრონიკლი" და „მანჩესტერ გარდიენ"-ი ისევ ლოიდ-ჯორჯს უჭერენ მხარს, ხოლო „ვესტმინსტერ გაზეთ"-ი ლორდ ოქსფორდელს ემხრობა. „დეილი ნიუზ"-ი ნეიტრალიტეტს იცავს.

„მანჩესტერ გარდიენ"-ის სიტყვით, ლიბერალების ბევრი ლიდერი სწუხს იმის გამო, რომ ლორდ ოქსფორდელს ლოიდ-ჯორჯთან უთანხმოება აქვს, იმ პოზიციის გამო, რომელიც ამ უკანასკნელმა საყოველთაო გაფიცვის დროს დაიჭირა.

გაფიცვის გამოძახილი

პარიზი, 3 ივნისი. ბრიუსელში შესდგება მაღაროს მუშათა საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომის კონფერენცია ინგლისის მაღაროს მუშათა გაფიცვის საკითხის განსახილველად.

ლონდონი, 3 ივნისი. **ნახშირის სიმცირის გამო, რკინისგზის ერთ-ერთმა კამპანიამ სცადა სამი ორთქლმავალის გათბობა თხელი სათბობი მასალით.** თუ ცდამ დადებითი შედეგი გამოიღო თხელი სათბობი მასალისათვის გადაკეთებულ იქნება 100-დე ორთქლმავალი.

მრეწველობის კრიზისი

ლონდონი, 2 ივნისი. ირკვევა, რომ არაოფიციალური მოლაპარაკება ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილ კრიზისის შესახებ სწარმოებდა ქვანახშირის გავლენიან მრეწველთა ინიციატივით. მაღაროების მეპატრონეები მოლაპარაკებაში მონაწილეობას არ იღებდენ.

სამთამადნო მუშების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კუკმა ამის გამო განაცხადა:

„უნდა განვიმეორო, რომ **სამთამადნო მუშები ამ ფარულ მოლაპარაკებაში მონაწილეობას არ იღებდენ.** სამთამადნო მუშები თანახმა არიან აწარმოონ მოლაპარაკება მხოლოდ მთავრობასა და მაღაროების მეპატრონეებთან. თუ მთავრობას და მაღაროების მეპატრონეებს სურთ შექმნილ მდგომარეობის განხილვა და წარმოადგენენ სამთამადნო მუშებისათვის მისაღებ პირობებს, ჩვენ სიამოვნებით დავიწყებთ მოლაპარაკებას".

მოლაპარაკების განახლების ცდა

ლონდონი, 3 ივნისი. მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციამ გადასწყვიტა მოიწვიოს გაერთიანებულ თათბირზე მაღაროს მუშათა ფედერაციის თანამდებობის პირები შექმნილ მდგომარეობის განსახილველად. კონფერენციის თავმჯდომარედ ნეიტრალური პირი იქნება.

ახალი მოლაპარაკებისათვის

ლონდონი, 3 ივნისი. სანახშირო მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის მოგვარებას ახალი საშუალებებით ცდილობენ. როგორც გადმოგვცემენ, **მაღაროს მეპატრონეებმა თავის-თავზე აიღეს ინიციატივა და გადასწყვიტეს მოიწვიონ სამთამადნო მუშები ახალ მოლაპარაკებათა დასაწყებად.** მაღაროს მეპატრონეების წინადადება ითვალისწინებს კომისიის შექმნას, რომელშიაც შევლენ მეპატრონეებისა და მაღაროს მუშათა ფედერაციის წარმომადგენლები. ამ კომისიამ უნდა განიხილოს მაღაროებში მუშაობის განახლების პირობები; კომისიის თავმჯდომარეობა უნდა მიენდოს დამოუკიდებელ პირს, რომელიც ორივე მხარის ნდობით სარგებლობს, ამასთან ერთად მისი ფუნქცია უნდა იყოს უფრო შემარიგებელი ხასიათისა, ვიდრე საარბიტრაჟო.

საჭიროა მოვიგონოთ, რომ მაღაროს მეპატრონეებმაც და სამთამადნო მუშებმაც უარი სთქვეს ბოლდუინის წინადადებაზე — მიეცეს პირუთვნელ თავმჯდომარეს ისეთი რწმუნებულება, რომ მან გარდაწყვეტილებანი, მიიღოს შეუთანხმებლობის შემთხვევებში.

მაღაროს მეპატრონეების ახალ ნაბიჯს გაზეთები განიხილავენ როგორც უფრო სიმედოს ყველა იმ ნაბიჯთა შორის, რომელიც კონფლიქტის მოსაგვარებლად იყო გადადგმული დღემდე.

„დეილი მეილის" ინფორმაცია

ლონდონი, 3 ივნისი. „დეილი მეილ"-ის პოლიტიკური კორესპონდენტი იუწყება ახალი ზომების შესახებ, რომელთაც მიმართავენ მემაღაროების გაფიცვის შესაწყვეტათ.

მდგომარეობის განსახილველად მაღაროს მეპატრონეთა ორგანიზაცია მაღაროს მუშების ფედერაციის წარმომადგენლებს იწვევს საერთო კრებაზე დამოუკიდებელი პირის თავმჯდომარეობით. ჯერ არ არის გადაწყვეტილი ექნება თუ არა მაღაროს მუშებისათვის გაგზავნილ მოწვევის ბარათს დართულ საკითხის განხილვის პროგრამა.

შესაძლოა გამართლდეს „ობსერვერის" მოსაზრება მაღაროს მუშების წინადადების შესახებ.

პრეზიდენტის არჩევის შემდეგ

„ბედნიერი" პარასკევი

ვარშავა, 3 ივნისი. პარასკევს ეროვნულ ყრილობაში მოსციცკი იღებს ფიცს კონსტიტუციისადმი ერთგულებაში.

გაზეთების ცნობით, პრეზიდენტის რეზიდენციას ბელვედერიდან სამეფო კოშკში გადაიტანენ, სადაც სასახლის ერთ შენობაში იცხოვრებს პილსუდსკი.

ფიცის დადების შემდეგ ბარტელის კაბინეტი გადადგება და ისევ დაინიშნება პილსუდსკის მიერ. ჰფიქრობენ, რომ ბარტელი დარჩება პრემიერად, მაგრამ კაბინეტი გადახალისდება.

კონსტიტუციის შესახებ

ვარშავა, 3 ივნისი. მთავრობასთან ახლო მდგომ წრეებში იხილავენ საკითხს პრეზიდენტის უფლებათა გაფართოების და კონსტიტუციის შეცვლის საკითხს. მაგრამ სეიმსა და სენატში არ მოიპოვება კონსტიტუციის შეცვლის მომხრე დეპუტატების საკმაო რიცხვი.

პოზნანში

ვარშავა, 3 ივნისი. **ოთხშაბათს პოზნანში მოხსნილ იქნა განსაკუთრებული წესები.**

◆

აბდ-ელ-ქერიმის ბედი

პარიზი, 2 ივნისი ესპანეთის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს, რომ მას გადასცენ აბდ-ელ-ქერიმი.

როგორც იტყობინებიან, ესპანეთი აბდ-ელ-ქერიმს აბრალებს 22 ტყვე ესპანელის მოკვლას, რისთვისაც მან პასუხი უნდა აგოს სასამართლოს წინაშე.

პარიზი, 2 ივნისი. აბდ-ელ-ქერიმის ოჯახობა და მისი ნათესავები 150 კაცის რაოდენობით ქარავანით (200 ჯორით) მივიდენ საფრანგეთის ხაზთან და განაგრძობენ გზას ტაზისაკენ.

◆

მემარცხენე ბლოკი გაკოტრდა

პარიზი, 2 ივნისი. მემარჯვენე პრესა ზეიმობს იმის გამო, რომ მემარცხენე ბლოკის მემარცხენე ფრთამ მთავრობას ხელი შეუშალა, რომ ბანკების წარმომადგენლებისათვის საფინანსო პოლიტიკის ხელმძღვანელობა გადაეცა.

„ეკო დე პარი"-ს მოჰყავს ფინანსთა მინისტრის განცხადება, რომ მთავრობა სცდილობს დაამშვიდოს შეძლებული კლასი,—და სწერს:

„შეძლებულ კლასების დამშვიდება ნიშნავს სოციალისტ - რადიკალების პოლიტიკის დასამარებას".

მილიერანის ნახევრად ფაშისტური ორგანო „ავენირ" სწერს:

„ბრიანი მთავრობის სათავეში უნდა დარჩეს. ჩვენი მეგობრები უანგაროდ მხარს დაუჭერენ მას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის პატრიოტების იმედებს არ გააცრუებს".

კომუნისტური „ჰიუმანიტე" სწერს:

„გულუბრყვილო მუშები თავის ხმებს აძლევდენ რადიკალებს, რომელნიც მას ჰპირდებოდენ ბრძოლას ფულის ბატონობის წინააღმდეგ. ეხლა კი, როცა ბანკირები მოურიდებლად ხელში იგდებენ ძალა-უფლებას და როცა ბრიანის მთავრობა უმრავლესობას ქმნის არისტოკრატების, ფაშისტების, მონარქისტების და ფინანსისტების შემწეობით, რადიკალები თავს იკავებენ კენჭის ყრისაგან. პალატაში შეიქმნა ახალი უმრავლესობა, რომელიც პლუტოკრატების გავლენას ექვემდებარება. **მემარცხენე ბლოკი სამარცხვინოდ და საბოლოოდ გაკოტრდა".**

კრიზისი შვეციაში

კაბინეტის დაცემის მიზეზები

სტოკჰოლმი, 2 ივნისი. ბურჟუაზიული გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა იმიტომ გადადგა, რომ **უკანასკნელ წუთში თავისი კლასობრივი ხასიათის გამოჩენა უნდოდა.**

„სოციალ-დემოკრატენ" მოუწოდებს პროფკავშირებს შემოკრბენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გარშემო და გაერთიანებული ღონისძიებით შექმნან უმრავლესობა მომავალ პარლამენტში.

კომუნისტური „პოლიტიშენ" სწერს: **„სოციალ-დემოკრატიული მთავრობა თვითონ არის დამნაშავე თავის დაცემაში, ვინაიდან ის არასოდეს არ გამოსულა, როგორც მუშათა მთავრობა. შვეციის მუშათა კლასი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ სოციალ-დემოკრატებმა ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს შტრეიკბრეხერობა დააკანონეს."**

მთავრობას დაეძებენ

ლონდონი, 3 ივნისი. სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობით, მეფემ სთხოვა წინანდელ კაბინეტს დარჩეს თავის ადგილზე ახალი მთავრობის შედგენამდე.

პარტიის ლიდერებთან თათბირის შემდეგ მეფემ სთხოვა კაბინეტის შედგენა სახალხო პარტიის ლიდერს **ეკმანს**.

ლიტვის სეიმი

კოვნო, 2 ივნისი. გაიხსნა ლიტვის სეიმი. სეიმის თავმჯდომარეთ არჩეულია **სტაუგაიტისი**, ნაროდნიკების პარტიის წევრი, პროფესიით ექიმი.

სეიმის შემდეგი სხდომა, რომელმაც უნდა აირჩიოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, დანიშნულია 4 ივნისისთვის.

◆

ეგვიპტე და ინგლისი

ლონდონი, 3 ივნისი. მეფე **ფუადმა** სთხოვა ეგვიპტის მთავრობას დარჩეს ჯერ-ჯერობით თავის ადგილზე. ქაირიდან მიღებული ცნობით, **ზაგლულ ფაშამ გადასწყვიტა თვითონ შეადგინოს კაბინეტი.**

ლონდონი, 3 ივნისი. მალტიდან მიღებული ცნობით, სამხედრო გემმა „რეზოლიუშენმა" მიიღო ბრძანება წავიდეს ეგვიპტეში ადმირალ სტავლის მეთაურობით.

ბელგიის შინაური ვალი

პარიზი, 2 ივნისი. ბელგიის მთავრობას **პარლამენტში შეაქვს კანონპროექტი გადასახადების გადიდების შესახებ**, რის საშუალებით ის ფიქრობს საშინაო ვალის დაფარვას. არაპირდაპირი გადასახადები გადიდებულ უნდა იქნეს 1 მილიარდ ფრანკათ, გადასახადი მიწაზე 500 მილიონით ყოველწლიურად 4 წლის განმავლობაში.

◆

„ინგლისი სწამლავს მსოფლიოს"

ბერლინი, 2 ივნისი. **ჟენევაში სწარმოებს კონფერენცია, რომელმაც უნდა მოაგვაროს ხაშხაშით ვაჭრობა.** კონფერენციაზე უთანხმოებამ იჩინა თავი ინგლისელ და ჩინელ დელეგატების შორის.

ინგლისელმა დელაგატმა მოაგონა კონფერენციას, რომ გერმანიამ ჩინეთის მთავრობის ნებართვით ამას წინად დიდძალი მორფი შეზიდა ჩინეთში,—და ბრალდებები წაუყენა ჩინეთის მთავრობას.

ჩინელმა დელეგატმა სასტიკად გაილაშქრა ბრალდებათა წინააღმდეგ და განაცხადა, რომ **ინგლისი სწამლავს მთელს მსოფლიოს მორფით და კოკაინით**, რომელთაც ის ამზადებს. აქ ინგლისი კაცთმოყვარეობის ნიღაბს ქვეშ გამოდის, ნამდვილად კი მას სურს თავის ხელში ჩაიგდოს ნარკოტიული წამლების მსოფლიო ვაჭრობა. ინგლისს უფლება არ აქვს ჩაერიოს ჩინეთის ურთიერთობაში სხვა სახელმწიფოებთან.

„მე გარწმუნებთ, განაცხადა ჩინელმა დელეგატმა, რომ ჩინეთში სიძულვილი ინგლისისადმი დღითი-დღე ძლიერდება, და ჩინელებს, რომელნიც ინგლისს თანაუგრძნობენ, პატრიოტებად აღარ სთვლიან".

ამ ბრალდებათა წინააღმდეგ ინგლისელ დელეგატს არაფერი უთქვამს.

◆

ამერიკის დიქტატურა

ნიუ-იორკი, 2 ივნისი. თუმცა ინგლის-ამერიკის ბანკირების მოლაპარაკებას საფრანგეთის მთავრობასთან საიდუმლოდ ინახავენ, მიუხედავად ამისა ამერიკელი ფინანსისტები არ ფარავენ მოლაპარაკების დიდ მნიშვნელობას.

მოთხოვნილებანი, რომელთაც საფრანგეთს უყენებენ, ამერიკის ფინანსიური წრეების აზრით, აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ევროპის ფინანსიური სტაბილიზაციისათვის.

იმის გამო, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეების ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება ბანკირების კონტროლს სახელმწიფოს ფინანსებზე, **„ჟორნელ ოფ კომერს"** სწერს: „საფრანგეთის წინაშე სდგას ასეთი არჩევანი: **ან უარის თქმა ნაციონალურ სუვერენიტეტზე, ან გაკოტრება"**.

◆

მოსულის საკითხი

ლონდონი, 2 ივნისი. მოსულის ხელშეკრულების დადების მოლოდინში ინგლისის კომერციული წრეები მუშაობას აჩქარებენ ოსმალეთში.

ოსმალეთის ნაციონალური ბანკის საბჭომ, რომელიც ინგლისის კაპიტალისტების ხელში იმყოფება, გადასწყვიტა აღადგინოს ბანკის ოპერაციები, რომელიც უკვე სამი თვეა შეწყვეტილია.

ფიქრობენ, რომ მოსულის საკითხის გადაჭრა ფართო პერსპექტივებს გადაშლის ოსმალეთ-ინგლისის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცების დარგში.

როგორც ლაპარაკობენ, ხელშეკრულება მოსულის შესახებ დადებული და ხელმოწერილი იქნება ირაქის და ოსმალეთის მხრივ.

ლონდონი, 2 ივნისი. შეკითხვის საპასუხოდ **ჩემბერლენმა** თემთა პალატაში განაცხადა, რომ მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან მოსულის საკითხის შესახებ, მეგობრულად მიმდინარეობს; იმედი არის, რომ მოლაპარაკება ჩქარა დამაკმაყოფილებლად დამთავრდება. ხელშეკრულების პირობების მიღებამდე, ჩემბერლენმა უარი სთქვა დაწვრილებით განმარტების მიცემაზე.

უკანასკნელი ცნობები

განიარაღების კომისიაში

ბერლინი, 3 ივნისი. ჟენევაში განიარაღების კომისიამ მიიღო გარდაწყვეტილება, რომლის მიხედვით მარქაფი ჯარი მომქმედ ჯარის ნაწილად არ უნდა ითვლებოდეს. ეს გარდაწყვეტილება მიღებულ იქნან 9 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 4-ისა.

კომისიის დადგენილების თანახმად, რომელსაც ხმა მისცა ყველამ, გერმანიის გარდა, პოლიცია, ჟანდარმები, ხარკთა ამკრეფი აგენტები, ტყისმცველები და საისრე ორგანიზაციის წევრები შეიარაღებულ მარქაფის კატეგორიაში შედიან.

გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ ორთავე დადგენილება მიმართულია უმთავრესად, გერმანიის წინააღმდეგ. ნაციონალისტური გაზეთები კომისიის დადგენილებას ახასიათებენ როგორც ორპირ გროტესკს".

საოკუპაციო ჯარების გადიდება

ბერლინი, 3 ივნისი. გაზეთ „ტაიმს"-მა შეამოწმა გერმანიის ოფიციალური ციფრები იმ საოკუპაციო ჯარების რაოდენობის შესახებ, რომლებიც გერმანიის ფარგლებში არიან. ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ უცხოეთის ჯარების რიცხვი მთელი გერმანიის ტერიტორიაზე ამჟამად 80.000-დე ადის. ეს რიცხვი 7-8 ათასი მეტია შარშანდელთან შედარებით.

ქურთების აჯანყება

ბერლინი, 3 ივნისი. ბაღდადიდან იუწყებიან, რომ დიარბექირის და ვანის ტბის რაიონის ქურთების ტომები აჯანყდენ ოსმალების წინააღმდეგ.

მდგომარეობა პეკინში

პეკინი, 2 ივნისი. გუშინ საღამოს პეკინიდან ტიან-ძინისაკენ არ გაიგზავნა ერთი მატარებელი. ამ გარემოებამ მთელ ქალაქში სენსაციური ხმები გამოიწვია, თითქოს ჯან-ცზუცზინს (ჩან-ძო-ლინის მომხრე შანდუნის სამხედრო ღუბერნატორია) და ჩჟილის ჯარებს შორის დაიწყო საომარი მოქმედება.

ამბობენ აგრეთვე, რომ სახალხო არმია პეკინიდან 15 ვერსის მანძილზე იმყოფება.

ვინ იყვნენ შტრეიკბრეხერები?

ლონდონი, 3 ივნისი. გამოქვეყნებულ ანგარიშებიდან სჩანს, რომ შტრეიკბრეხერთა უმრავლესობას შეადგენდენ სტუდენტები, წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია.

ხელშეკრულება გერმანიასა და დანიას შორის

ბერლინი, 2 ივნისი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის შტრეზემანის და დანიის ელჩის ცალეს მიერ ბერლინში ხელმოწერილია ხელშეკრულება სადაო საკითხების საარბიტრაჟო წესით გადაჭრის შესახებ. ხელშეკრულე დადებულია 10 წლის ვადით.

დიქტატურის წინააღმდეგ

პარიზი, 2 ივნისი. ლისაბონში კომუნისტებმა განკარგულება გასცეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. მუშათა კონფერენციამ ლისაბონში გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს დიქტატურის დამყარების ცდას.

ლოიდ-ჯორჯის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 2 ივნისი. თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ სანახშირო მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალია მთავრობის ჩარევა საქმეში. ლოიდ-ჯორჯის აზრით, მთავრობამ უნდა შეიტანოს კანონპროექტი სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციისა და დააწესოს მაღაროს მუშების ხელფასის განსაზღვრისათვის საგანგებო ბიურო.

ტომასის წერილი

ლონდონი, 2 ივნისი. ტომასმა მიმართა რკინის გზის კავშირის წევრებს ღია წერილით, რომელშიაც მოუწოდებს, არ გაკიცხონ ის საყოველთაო გაფიცვის ჩაშლისათვის, სანამ რკინისგზელები არ გაიგებენ იმაზე მეტს, რაც ეხლა იციან. შემდეგ ტომასი აღნიშნავს, რომ რკინის გზათა კომპანიები გულწრფელად შეეგებენ რკინისგზელთა სურვილებს.

მღელვარება მუკდენის ჯარში

ხარბინი, 2 ივნისი. სადგურ კიანიდან აღმოსავლეთით მდებარე მანჯურიულ ქალაქ სიფენში აჯანყდენ მუკდენის ჯარების ერთი პოლკის და მე-15 ბრიგადის ბათალიონები.

აჯანყება გამოწვეულია მათთვის ჯამაგირის დარიგების უარის თქმით და მათთდამი ცუდი დამოკიდებულებით უფროსების მხრივ. აჯანყებულებმა დაიკავეს ქალ. სიფენის მიდამოები, რომელიც მათ მიერ გაძარცვულია. მათ წინააღმდეგ გილიანიდან გაიგზავნა შეიარაღებული რაზმი, რომელმაც მოკლე ბრძოლის შემდეგ აჰყარა იარაღი აჯანყებულ ბათალიონებს.

სადგურ იანჩუნზე მუკდენის ჯარის ერთმა ნაწილმა უარი სთქვა მეთაურების ბრძანების შესრულებაზე, რაზედაც მას აჰყარეს იარაღი.

ღენერალ დჟინ-იუ-ხაოს გადაყენება

პეკინი, დიდი სენსაცია გამოიწვია ჟკინში ტაო-დინ ფუს ჯარების მთავარსარდლის ღენერალ ნჟინ-იუნ-ხაოს გადაყენებამ, რომელსაც წინად უ-პეი-ფუს პირველი არმია ებარა.

უ-პეი-ფუმ განაცხადა, რომ დჟინ-იუნ-ხაოს გადაყენება გამოწვეულია იმით, რომ ის არ ასრულებდა მის ბრძანებებს სახალხო არმიის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლის შესახებ; რამაც გამოიწვია უ-პეი-ფუს სამხედრო გეგმების ჩაშლა. პირველი არმიის სარდლობას კისრულობს თვით უ-პეი-ფუ.

მთელი პრესა აღნიშნავს, რომ დჟინ-იუნ-ხაოს გადაყენება ნიშნავს ახალი ჩჟილის ჯგუფის დაარსების ცდის ჩაშლას, რომელიც ცდილობდა შეთანხმებას სახალხო არმიას და ძუნ-ჩუანფანს. ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია კავშირის გაძლიერება მუკდენსა და ჩჟილის ჩჟუის შორის და ბრძოლის განახლება სახალხო არმიის წინააღმდეგ. პეკინში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ამბების შემდეგ განვითარებას.

გამოირკვა, რომ მოძრაობის შეჩერება განის გზაზე გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზით: ჩან-ცზუ-ჩანმა თვით განაიარაღა თავის ჯარის ზოგიერთი ნაწილები, რადგან ისინი ამბოხებას აწყობდენ ილეს რკინისგზებზე. ნორმალური მოძრაობა ქვლავ განახლდა.

ხიგსის განცხადება

ლონდონი, 3 ივნისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიგსმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ საყოველთაო გაფიცვის დროს ინგლისში პასუხისგებაში იყო მიცემული 1760 კაცი. მათ შორის 629-ს მიესაჯა ციხე სხვადასხვა ვადით, 662 კაცი დაჯარიმებული იქნა, ხოლო 101 კაცი ჯერ გასამართლებას მოელის. გარდა ამისა გლაზგოში პასუხისგებაში მიცემულ იქნა 100 კაცი.

„რემედასს"-ის დახმარება

პარიზი, 3 ივნისი. „რემედასს"-ის საფრანგეთის სექციამ გაუგზავნა მაღაროს მუშებს 115.000 ფრანკი. გარდა ამისა აყვანილია 300 ბავშვი სრულ კმაყოფაზე „რემედასს"-ის საფრანგეთის სექციის და 200 ბავშვი ბელგიის სექციის მიერ.

◆

ბრიანის მდგომარეობა

პარიზი, 2 ივნისი. საფრანგეთის გაზეთები ეხებიან ბრიანის დიდ გამარჯვებას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბრიანი არასოდეს ასე მხნე არ ყოფილა, როგორც არის ეხლა, საყოველთაო სიმხდალის და პასივობის დროს.

პარიზი, 2 ივნისი. სენატში ლოკარნოს ხელშეკრულებათა განხილვასთან დაკავშირებით, ბრიანი სიტყვას წარმოსთქვამს საგარეო პოლიტიკის საერთო საკითხების შესახებ.

◆

ბრიან-ჩემბერლენის გასტროლები

პარიზი, 2 ივნისი. ბრიანს, თუ შესაძლებელი გახდა, განზრახული აქვს კვირას ჩემბერლენთან ერთად ჟენევაში გამგზავრება შრომის საერთაშორისო ბიუროს ახალ განყოფილებათა გახსნაზე დასასწრებლად.

პარიზი, 2 ივნისი. „პტი პარიზიენ"-ის სიტყვით, დიპლომატიური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ერთა ლიგის საბჭოს ორშაბათის სხდომას, რომელზედაც ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი იქნება განხილული. სხდომას ბრიანი და ჩემბერლენი დაესწრებიან.

◆

სირიის მთავრობის კრიზისი

ანგორა, 2 ივნისი. სირიის ახალი მთავრობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დიდის გაჭირვებით შექმნა საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ, ღრმა კრიზისს განიცდის.

პრემიერ ახმედ-ნაბი-ბეის და მთავრობის სხვა წევრებს შორის ახალი მთავრობის მუშაობის პროგრამის შესახებ დიდი უთანხმოება არსებობს.

მთავრობის წევრები, რომელნიც სახალხო პარტიას ეკუთვნიან, ცდილობენ მოიპოვონ სირიის რევოლიუციონერების ნდობა და მოითხოვენ მთავრობის მუშაობის პროგრამაში ისეთი მუხლების შეტანას, რომელნიც შეესაბამებიან მასების მოთხოვნილებას.

ამის გამო ახმედ-ნაბი-ბეიმ მიმართა თავის მინისტრებს წერილით, რომელსაც მთავრობის დეკლარაციათ სთვლიან.

კრიზისი ჯერ მოგვარებული არ არის.

◆

სოციალისტური ახალგაზრდობა

პარიზი, 2 ივნისი. მუშათა სოციალისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის მეორე კონფერენციის გახსნაზე ამსტერდამში სიტყვები წარმოსთქვეს ევროპის მთავარ სახელმწიფოების სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა.

კრისპინი და **ზასენბახი** (გერმანია) თავის სიტყვებში ლაპარაკობდენ საყოველთაო მშვიდობიანობის შესახებ, რომელიც, თითქოს გამეფებულია ევროპაში.

ჰოლანდიის წარმომადგენელმა **სტენმეისტმა** აღნიშნა, რომ მშრომელი ახალგაზრდობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და განაცხადა, რომ **გზა სოციალიზმისაკენ მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის ხაზით მიდის.**

მაკ ვესტფალი (გერმანია) შეეცადა განევითარებია თეორია, რომ ფაშიზმი არის მხოლოდ ადგილობრივი მოვლენა, კომუნიზმი კი საერთაშორისო საფრთხეს წარმოადგენს.

ავსტრიის სოც.-დემოკრატმა **აკერმანმა** ამის საწინააღმდეგოთ განაცხადა, **რომ რუსეთის რევოლიუციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და კომუნიზმი უდიდეს ისტორიულ ფაქტორს წარმოადგენს.**

ინგლისელი ტეტლი ხარს უჭერს კონფერენციის მოწვევას კომუნისტებთან ერთად.

◆

არეულობა მანჯურიაში

ხარბინი, 2 ივნისი. **მანჯურიის ფულის კურსი დიდი სისწრაფით ეცემა**, რაც საშიშროებას იწვევს ჯარებში, რადგან მუკდენის ჯარისკაცებს ჯამაგირი ეძლევათ სამხედრო ბონებით, ხოლო უკანასკნელს **ვაჭრები და გლეხები არ ღებულობენ.**

23 მაისს მუკდენის ჯარების **რაზმმა უარი განაცხადა შეესრულებია ბრძანება** შანხაი-გუანიდან გასვლის შესახებ და მოითხოვა ჯამაგირის მიცემა ვერცხლის ფულით. ჯამაგირების დაგვიანების გამო, **მუკდენის ჯარების ნაწილები**, რომლებიც დაბანაკებული იყვენ ქალაქ სიფენში, **აჯანყდენ. ქალაქში ცარცვა-გლეჯა დაიწყო.** დასამშვიდებლათ გაგზავნილმა რაზმმა აჯანყებულები განაიარაღა. მუკდენის ჯარების ბრიგადამ სადგურ იანჩუნზე უარი სთქვა ბრძანების შესრულებაზე და განიარაღებულ იქნა.

◆

უცხოეთის კაპიტალის მოზიდვა

მოსკოვი, 3 ივნისი. საბჭოთა კავშირის აღმშენებლობაში უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ დადგენილების გამო, საბჭოთა კავშირის მთავარ საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარემ **იოფემ** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა, რომ ეს დადგენილება მთელ რიგ მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებს უცხოეთის კაპიტალს.

ამჟამად უცხოეთის კაპიტალი სუსტად არის წარმოდგენილი ჩვენს სააღმშენებლო საქმეში. რკ. გზების აგების შესახებ შემოვიდა რამოდენიმე წინადადება, ორი მათგანი მეტად სერიოზულია. არის წინადადება ნავთის ექსპლოატაციის შესახებ ემბის რაიონში. მეორე წინადადება ეხება რკინის ამოღებას კრივოროჟის რაიონის მაღაროებში დიდი ლითონის ქარხნის აგების უფლებით.

ამ წინადადებების შესახებ ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს.

პროფკავშირები ფაშიზმის სამფლობელოში

„პროფკავშირები იტალიაში ექვემდებარებიან სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს: სახელმწიფოს შეუძლია პროფკავშირთა წესდების გადასინჯვა და მისი დადგენილების გაუქმება“.

დეპეშებიდან



საბჭოთა კავშირში

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებების ლიკვიდაცია სამხედრო უწყებებში

მოსკოვი, 3 ივნისი. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებით საოლქო ჯარების უფროსებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ მოახდინონ ცენტრში და ადგილობრივ მომქმედ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ყველა იმ წარმოებების ლიკვიდაცია, რომელთა პროდუქციის მიღება შეიძლება სახელმწიფო მრეწველობიდან.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მიზანშეწონილად იქნება ცნობილი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ამა თუ იმ წარმოების დატოვება, სათანადო დასაბუთებული შუამდგომლობა უნდა იქნეს აღძრული საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წინაშე.

1926 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ სამხედრო უწყებაში არ უნდა იქნეს არც ერთი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოება, რომელსაც არ ექნება სათანადო ნებართვა საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოსაგან.

სააღმშენებლო მუშათა ინტერნაციონალი.

მოსკოვი, 3 ივნისი. სააღმშენებლო დარგის მუშათა ინტერნაციონალის გენერალურმა მდივანმა **კეპლერმა** ჰამბურგიდან საბჭოთა კავშირის სააღმშენებლო დარგის მუშათა ცეკას აცნობა, რომ გერმანიის დელეგატებს არ მიუღიათ ინგლისში შესვლის ნებართვა სააღმშენებლო დარგის მუშათა ინტერნაციონალის მეშვიდე კონფერენციაზე დასასწრებლად, რის გამო კონფერენციის მოწვევა გადადებულია გამოურკვეველ დრომდე.

ამ კონფერენციაზე, სხვათა შორის, უნდა გაირჩეს საკითხი საბჭოთა კავშირის სააღმშენებლო დარგის მუშათა ორგანიზაციის მიღების შესახებ სააღმშენებლო დარგის მუშათა ინტერნაციონალში.

საქონელი სოფლისათვის.

მოსკოვი, 3 ივნისი. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა აუცილებლად სცნო მრეწველობის ნაწარმოების მიწოდება სოფლისათვის მახლობელ სამ თვეში ქალაქის მომარაგების ხარჯზე. პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნებიან ის რაიონები, რომელთაც უკვე აკრეფილი აქვთ მოსავალი.

კულაკების გასამართლება.

ოდესა, 3 ივნისი. დამთავრდა იმ პირთა საქმის გარჩევა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კულაკების სამხედრო აჯანყებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებას ადგილი ჰქონდა 1919 წელს სოფ. ბუიალიკში და გუდევიჩში. **აჯანყებას მეთაურობდენ თეთრგვარდიელი ოფიცრები. ყველა ბრალდებულებმა დამნაშავედ სცნეს თავი.**

სასამართლომ 7 ბრალდებულს მიუსაჯა დახვრეტა, მაგრამ შესაძლებლად სცნო უმაღლესი სასჯელის შეცვლა 5 წლის ციხით.

ხანძარი კოტელნიჩში

ვიატკა, 3 ივნისი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ხანძარმა კოტელნიჩში გაანადგურა 150 კომუნალური და 215 კერძო პირის სახლი.

ხანძრის შედეგების გამომრკვევი კომისია დახმარებას უწევს ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობას.

მიმდინარე სააღმშენებლო სეზონში გადაწყვეტილია 55 ნახევრად დამწვარი შენობების აღდგენა და 30 ახალი შენობის აგება.

ხანძრისაგან დაზარალებულმა მოსახლეობამ დახმარება მიიღო ლენინგრადიდან, ივანოვ ვოზნესენსკიდან, სვერდლოვსკიდან, ნიჟნი - ნოვგოროდიდან და კრასნო - კოკშაისკიდან.

საბჭოთა მოსამსახურეების ბავშვების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში და სკოლებში

მოსკოვი, 3 ივნისი. განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიამ სახ. კომისართა საბჭოს გადასცა კანონპროექტი სახელმწიფო დაწესებულებებში და წარმოებებში მომუშავეთა ბავშვების გათანასწორების შესახებ მუშების ბავშვებთან უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და სკოლებში მიღების მხრივ.

გამოფენაზე მიწვევა ფილადელფიაში

ლენინგრადი, 3 ივნისი. ჩრდილოეთ - დასავლეთის ოლქის სამეურნეო ორგანოები მიწვეული არიან ფილადელფიაში საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც ეწყობა ამერიკის 150 წლის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად.

გადასახადის ნარჩენების აკრეფა

მოსკოვი, 3 ივნისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატმა ეკონომიის რეჟიმთან დაკავშირებით დასვა საკითხი გადასახადის ნარჩენების მთლიანად აკრეფის შესახებ, რაც სახელმწიფოს რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთს მისცემს. სახელმწიფო საგადასახადო სამმართველოს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები ნარჩენების ასაკრეფად სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებებისაგან.

პენსია ბრუსილოვისა და ზაიონჩიკოვის ქვრივებს

მოსკოვი, 3 ივნისი. გარდაცვალებულ ბრუსილოვისა და აგრეთვე ზაიონჩიკოვის საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ომის დროს დაცვის საქმეში განსაკუთრებულ დამსახურების გამო, საკავშირო სახ. კომ. საბჭომ დაადგინა ბრუსილოვის და ზაიონჩიკოვის ქვრივებს მისცეს სამუდამო პენსია.

ნიაღვრები და სეტყვა

სამარა, 3 ივნისი. ბუგურუსლანის მაზრაში მოვიდა ძლიერი ნიაღვარი სეტყვით, რომელიც გაგრძელდა ერთ საათს. ნიაღვარმა დაანგრია მრავალი შენობა და პურის საწყობი. სეტყვამ გაანადგურა შინაური საქონელი. ძლიერ დაზიანდა ბოსტნები და ნათესები. დაინგრა ორი დიდი წისქვილი.

პენზა, 3 ივნისი. პენზის მაზრის ერთ ნაწილში მოვიდა ძლიერი ნიაღვარი სეტყვით. სეტყვამ გაანადგურა 950 დესეტინა ნათესები. ნიაღვარის დროს დაიღუპა ცხვრის მრავალრიცხოვანი ფარა, რომელსაც ნიაღვარმა მოუსწრო ისეთ ადგილას, სადაც შეუძლებელი იყო თავის შეფარება.

ევროპის კოოპერაცია და საბჭოთა კავშირი

ხინჩუკის შთაბეჭდილებანი

მოსკოვი, 3 ივნისი. საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ცენტრალურ კოოპერატიულ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ხინჩუკი,** რომელიც დაესწრო საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის აღმასკომის სხდომებს ანტვერპენში და კოოპერატიულ კონგრესებს საფრანგეთში და ინგლისში. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ხინჩუკმა განაცხადა:

„იმ შეხვედრიდან, რომელიც გაგვიმართეს ჩვენ საფრანგეთში, ინგლისში და ბელგიაში, სჩანს, რომ საბჭოთა კოოპერაციას დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს არა მარტო მუშათა ფართე მასები, არამედ კოოპერაციის ხელმძღვანელი ფენებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამ მასების სურვილს და განწყობილებას.

შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენი კლასობრივი თვალსაზრისი კოოპერაციაზე უკვე აღარ იწვევს იმ უარყოფით დამოკიდებულებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რამოდენიმე წლის წინად და შორს აღარ არის ის დრო, როცა კოოპერატიულ და მუშათა მოძრაობის მთლიანი ფრონტი განხორციელებული იქნება“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქო, 3 ივნისი. მდინარე გეოკჩაის ადიდებამ დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს. **ქალაქის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული.** მათ შორის საავადმყოფოს, ამბულატორიების, სამაზრო პარტკომიტეტის, კლუბის და ქალთა სკოლის შენობები. ქალაქში დაზიანებულია წყალსადენი. მრავალი ნათესი დაზარალდა. ზარალის რაოდენობა ირკვევა.

სომხეთი

ახალი ტელეფონის ქსელი

ერევანი, 3 ივნისი. ერევანში მოქმედება დაიწყო ახალმა ტელეფონის ქსელმა, რომელსაც ჰყავს 500 აბონენტი. სადგურის სრული დატვირთვის დროს აბონენტთა რიცხვი შეიძლება ავიდეს 1.200-მდე.

სეტყვა აჭარისტანში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბათომი, 3 ივნისი. ორ ივნისს ხულოში მოვიდა საშინელი სეტყვა. ქარიშხალი წვიმით სამ საათს გაგრძელდა. ასი წელია ასეთი სეტყვა არავის ახსოვს ხულოს თემში. სრულიად დაიღუპა ნათესები. დაიღუპა დიდძალი პირუტყვი. ზარალი დიდია. მაზრის დანარჩენი თემები არ დაზარალებულა. უბედურების ადგილას იმყოფება სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გოგიბერიძე.

რკინის გზელთა თათბირი

კამათი

ლენინაკანი, 3 ივნისი. გრძელდება კამათი რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარის **საბაშვილის** მოხსენების გარშემო. დელეგატები აღნიშნავენ კულტურულ მუშაობის სისუსტეს, თურქულ ენაზე ლიტერატურის უქონლობას, ქალთა შორის მუშაობის სისუსტეს, ურთიერთ დახმარების სალაროების მუშაობის ცუდად დაყენებას.

სამტრედიელი დელეგატი **ჩოჩუა** ლაპარაკობს, რომ სარემონტო დარგის დროებითი მუშების კვალიფიკაცია ხდება მე-4-ე თანრიგით, მაშინ, როცა იმავე კვალიფიკაციის მუდმივი მუშები მეხუთე თანრიგში ითვლებიან.

ბაქოს დელეგატი **ბახტიევი** აღნიშნავს, რომ საგზაო ნორმები შემმუშავებელ ბიუროს განკარგულებები არ არის შეთანხმებული რკინისგზელთა პროფკავშირთან. ორატორი აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას საგზაო ნორმების შემმუშავებელ ბიუროში. ადგილებზე ადმინისტრაცია ყოველმხრივ გვერდს უხვევს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას. არ ესწრებიან შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის სხდომას და შემდეგ კი არ ემორჩილებიან უკანასკნელის დადგენილებებს. სპეცტანისამოსი ყველას არ ეძლევა თავის დროზე.

ერევანის დელეგატი **ოგანესიანი** აღნიშნავს, რომ ხაზზე მომუშავეებს შორის არ არის საგრძნობი პროფესიონალური აქტივობა, რაც იმით აიხსნება, რომ მასიური მუშაობის ხელმძღვანელობა მოისუსტებს. კულტმუშაობა ვერ არის განვითარებული, რადგან რკინისგზელთა პროფკავშირი საკმაო თანხებს არ იძლევა.

ხაჩმას დელეგატი **იბრაგიმოვი** აცხადებს, რომ რკინისგზის ხაზზე არსებული ადგილკომები არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობენ და რომ ისინი ადმინისტრაციას დაშინებული ჰყავს, რადგან დათხოვნით ემუქრებიან. პროფკავშირთა კომისიები არ მუშაობენ და არც იციან თავისი ფუნქციები, რაც აიხსნება ინსტრუქციის უქონლობით. რონოდა-ბიბლიოთეკები პატარა სადგურებს უყურადღებოთ სტოვებენ და არ ჩერდებიან.

ბალაჯარელი დელეგატი **პრჟევალსკი** აღნიშნავს, რომ სამხედრო ნაწილში გადარიცხული რკინისგზელების მდგომარეობა გამოურკვეველია; ისინი ითვლებიან კავშირის წევრებად, მაგრამ არავითარი შეღავათით არ სარგებლობენ.

ხაშურელი დელეგატი **ბიბილაშვილი** აცხადებს,რომ ხუთპროცენტიანი პრემია ღამის მორიგეობისათვის მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

თბილისელი დელეგატი **ყიფიანი** ლაპარაკობს, რომ საგზაო მომწესრიგებელ ბიუროში ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას; ორატორი ამბობს, რომ საგზაო მომწესრიგებელი ბიურო ფიქრობს, რომ მომჭირნეობის რეჟიმი სამუშაო ხელფასის შემცირებაში გამოიხატება და ფაქტიურად ამცირებს სამუშაო ხელფასს 40 პროცენტით. საჭიროა ბოლო მოეღოს ადმინისტრაციის ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ბრძანებების გამოცემას.

განჯის დელეგატი **შუეავი** აცხადებს, რომ ხაზზე რკინისგზელების საუბნო პროფკავშირების ინსტრუქტორები კანტორის მოხელეებად იქცენ. ხაზზე მომუშავეებს და მეისრეებს სპეცტანისამოსი არ მიუღიათ, არ მიუღიათ აგრეთვე კომპენსაცია.

ნარდი სამუშაოს ხელფასის გასტუმრებაზე არავითარი წესი არ ვრცელდება. მაგალითად, რონოდის შეღება ბაქოში ღირს 12 მანეთი, განჯაში 6 მან. 50 კაპ. ხშირია დროს გაცდენის შემთხვევა მასალების თავის დროზე მიუღებლობის გამო. რკინისგზელთა პროფკავშირი არ ადევნებს თვალყურს კოლექტიური ხელშეკრულების სისწორით შესრულებას და ზოგჯერ თავისი დადგენილებებით თვითონვე არღვევს ხელშეკრულების ცალკე მუხლებს.

ბათომის დელეგატი **კაპუსტინი** აცხადებს, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების სხდომები მუშების მასიური მონაწილეობით უნდა იმართებოდნენ; ეს არ ხდება, ვინაიდან საკონფლიქტო კომისიების სხდომები ადმინისტრაციის კაბინეტებში იმართება სამუშაო საათებში.

ლენინაკანის დელეგატის აზრით, საჭიროა მოხდეს კავშირის წევრების და უმუშევრების წმენდა. მისი სიტყვით, კავშირში ისეთი წევრებიც არიან, რომელნიც სოფლად კულაკებად ითვლებოდენ და საარჩევნო უფლებებს მოკლებული არიან.

თბილისის მთავარ სახელოსნოების დელეგატი — ქალი **მელნიკოვა** აღნიშნავს, ქალთა შორის მუშაობის სისუსტეს. შეიძლებოდა ბევრი თანამდებობის მიცემა ქალებისათვის, მაგრამ ქალებს არ ღებულობენ.

გორის დელეგატი **ხურცია** საჭიროდ სთვლის, რომ სათანადო ყურადღება ექცეოდეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებულ მუშებს.

ქუთაისის დელეგატი **გოგოლაშვილი** ლაპარაკობს, რომ ხაზზე კლუბების შენობები უვარგისია. რადგან ქუთაისის რკ. გზის შტოზე კონდუქტორების რიცხვი შემცირებულ იქნა, ბევრი მგზავრი უბილეთოდ დადის.

განჯის დელეგატის **აბდულაევის** აზრით, საჭიროა მუშფაკის მსმენელები ორი საათით ადრე იქნენ სამუშაოდან განთავისუფლებული. ინდივიდუალური შეგირდობა არაფერს არ იძლევა, ხოლო საზოგადო სისტემა კიდევ არ ტარდება.

დელეგატი ახრატაშვილი ლაპარაკობს, რომ მძიმე მდგომარეობაში არიან შავი—მუშა ქალები, რომელთაც არ ეძლევათ დამატებითი შვებულება, არც რძე და სხვ..

აჯიკაბულის დელეგატი **გონოვერი** აცხადებს, მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს საწარმოო კომისიების დადგენილებებს. ადგილი აქვს არანორმალურ მოვლენას, როგორიც არის აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მიერ პროფმუშაკ თურქების ხშირად გაწვევა. რკინისგზელთა პროფკავშირმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. ელიავას ჩამოსვლა

ლენინაკანი, 3 ივნისი. **ჩამოვიდა ამხ. ელიავა, რომელსაც სადგურში შეხვდენ ქალაქის აღმასკომის წევრები.**

საფეიქრო ფაბრიკის დათვალიერება

ლენინაკანი, 3 ივნისი. დღის სხდომის დასრულების შემდეგ ყრილობის დელეგატებმა სრული შემადგენლობით დაათვალიერეს საფეიქრო ფაბრიკა.

მეხუთე სხდომა

ლენინაკანი, 3 ივნისი. დამთავრდა კამათი საგზაო კომიტეტის მოხსენების გარშემო. ამხ. საბაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ **ყრილობამ საგზაო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნო.** სარევიზიო კომისიის მოხსენება ყრილობამ დაამტკიცა.

პარტიული ცხოვრება

ცეკას პლენუმი

მეოთხე დღე

გუშინ დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. დ. კანდელაკის მოხსენების გარშემო. ამავე სხდომაზე მიღებულ იქნენ რეზოლიუციები დღის წესრიგის უმთავრეს საკითხებზე, რის შედეგ პლენუმი დაიხურა. რეზოლიუციებს გამოვაქვეყნებთ ხვალ.

გურიის ორგანიზაციის წევრთა საყურადღებოდ

გურიის კომიტეტმა თავის დროზე წინადადება მისცა პარტიის ყველა წევრებსა და კანდიდატებს, რათა ისინი გამოცხადებულიყვენ კომისიაში პარტშემოწმების გასავლელად. მიუხედავად ამისა, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ბევრი ამხანაგი არ გატარებულა ამ კომისიაში. ს. ს. პ. ც. საკონტროლო კომისიამ დაადგინა პარტიის იმ წევრებისათვის, რომლებსაც არ გაუვლიათ შემოწმება გასული წლის აგვისტოში, დანიშნულ იქნეს დამატებითი გადამსინჯავი კომისია, რომელიც იმუშავებს 15-დან—20 ივნისამდე.

იმ ამხანაგებს, რომლებსაც არ გაუვლიათ პარტშემოწმება. უკანასკნელად ეძლევათ წინადადება გამოცხადდენ გურკომში ნაჩვენებ ვადაში თავისი პირადი საქმეებით, რომლებსაც ასეთი გატანილი აქვთ და არა აქვთ ამონაწერი გადამსინჯავ კომისიის ოქმიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საბოლოოდ ჩაითვლებიან პარტიის გარეშე მექანიკურად დარჩენილებად.

საზაფხულო პარტიულ კურსების გახსნა მანგლისში

30 მაისს, მანგლისში გაიხსნა საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან არსებულ პარტიულ მუშაკების გადასამზადებელი საზაფხულო კურსები გახსნაზე დასასწრებად თბილისიდან ჩამოვიდენ ამხ. ორჯონიკიძე, ტერ-ვაგანიანი და სხვები. დაესწრენ აგრეთვე სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კურსანტები და ადგილობრივი პარტმუშაკები. კლუბის კარებზე გაკრული იყო წითელი ტილო წარწერით: რევოლიუციონურ თეორიის გარეშე არ არის რევოლიუციონური მოქმედება.

საზეიმო სხდომა გახსნა კურსების გამგე ამხ. გულიანმა, რომელმაც მოკლე სიტყვაში დაახასიათა კურსების დანიშნულება და მნიშვნელობა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სერ. ორჯონიკიძემ, რომელსაც მხურვალე ტაშითა და ოვაციებით შეეგებენ. ამხ. ორჯონიკიძე მიესალმა მსმენელთ და შემდეგ შეჩერდა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მანგლისის პარტკომის მდივანმა, ადგილობრივ სამხედრო ნაწილის კომისარმა და სხვებმა.

სხდომა დაიხურა კურსების გამგის ამხ. გულიანის სიტყვით.

ვ. მ.

ჩვენი პარტსკოლა

(მე-8-ე ლეგ. ასეული)

ასეულში დაარსებულია 1-ლი და მე-2-ე საფეხურის პარტსკოლა, სადაც ყოველ კვირეულად ეწყობა მეცადინეობა და ირჩევა სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის საკითხები. წითელ არმიელნი ენერგიულად მეცადინობენ და ყოველ გაკვეთილისთვის ემზადებიან გულმოდგინეთ.

პარტსკოლის დახმარებით წითელ არმიელნი ერკვევიან პოლიტიკურ და საერთაშორისო საკითხებში.

ხ. ნ.

რა აფერხებს მუშაობას

(რაჭა)

რაჭის მაზრა მთაგორიანი ადგილია; თემები სამაზრო ცენტრიდან საგრძნობ მანძილით არიან დაშორებული. გაფუჭებულია გზებიც, რის გამო მოგზაურობა შეუძლებელი ხდება ცუდ ამინდებში.

მაზრა შესდგება 30 თემისაგან. მთელს მაზრაში უჯრედებს ხელმძღვანელობას უწევს 17 თემკომი, რომელიც აერთიანებს 35 უჯრედს და 10 საკანდიდატო ჯგუფს. თემკომები და უჯრედები გაფანტულია მთელს მაზრაში და ურთიერთისაგან ძალზე დაშორებული არიან. ამის გამო, სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა და კავშირი ადგილებთან შეფერხებულია. უჯრედების ჩამოვლა შესაფერისი ხელმძღვანელობის გასაწევად დიდ დროს მოითხოვს.

გარდა ამისა ზოგ თემებში არ არის ტელეფონი. ხოლო ადაც არის იქაც არ მუშაობს, ვინაიდან თემებს ფული არა აქვთ გადახდილი. ეს გარემოება უშლის ხელს კავშირის სწრაფი გაბმას სამაზრო კომიტეტსა და ადგილებს შორის.

კიდევ ერთი მოვლენა, რა ცასუსტებს პარტმუშაობას მაზრაში, უმეტესად ზამთრობით. ვინაიდან მაზრა ღარიბია მოხავლიანობით, დიდი უმეტესობა გლეხ. და, მათ შორის, პარტიულებიც გადიან სამუშაოდ მაზრას გარედ. გასული ამხ. აღრიცხვა ვერ სწარმოებს სწორად, ვინაიდან მაზრას არ ჰყავს შტატში აღმრიცხველი.

იანეთელი.

უჯრედს ხელმძღვანელი არა ჰყავს

(ცაგერი, მესამე ასეულის უჯრედი)

ეს უჯრედი ერთხანს კარგათ მუშაობდა, მაგრამ ამჟამად საქმე ვერ არის რიგიანად. საქმე ისაა, რომ უჯრედს არა ჰყავს ხელმძღვანელი. უჯრედის მდივანი იყო ასეულის პოლიტხელმძღვანელი. როდესაც გაიწვიეს 1903 წელში დაბადებულები, მდივანიც წავიდა და ამრიგათ უჯრედი ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა.

ამ გარემოებას სამაზრო პარტკომმა უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

მ. ლი.

სენაკის თემკომი

(რაჭა)

თემკომის დაარსებამდე მუშაობა ძალზე მოისუსტებდა უჯრედებში. შემდეგ კი მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. სულ თემში ამჟამად ორი უჯრედია, განზრახულია დაარსდეს მესამე. თემკომთან დაარსებულია სტაციონალური პოლიტსკოლა; რომელშიაც უპარტიოებიც მეცადინეობენ.

ე. ბაკურაძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მისაბაძი მაგალითი

(სოფ. სალარაშენის ა. ლ. კ. კ. უჯრედი, ასურეთის თემი)

ა. ლ. კ. კ. ასურეთის თემკომმა, ორი თვის უკან უჯრედებში ჩაატარა კამპანია:მიწის კოლექტიურად დამუშავებისა. ამ კამპანიამ ჩვენს უჯრედში დიდი გამოძახილი ჰპოვა. თემკომის მეთაურობით კომკავშირის წევრები შეუდგენ მუშაობას. აგრონომ ამხ. კოწია შანიძის დახმარებით. აღებული იქნა სამი დესეტინა მიწა. ერთი დესეტინაზე დათესილია პური, ორ დესეტინაზე—გაშენებულია 4.500 ძირი ვაზი, ხოლო ერთ დესეტინაზე დათესილია ბოსტნეული და სიმინდი. კოლექტივში სულ 16 კომკავშირელი, 6 პარტიული და 10 უპარტიო ამხანაგია.

სასიამოვნო საყურებელია, როცა დილა ადრიან, კოლექტივის წევრები სიმღერით და ყივილ-ხივილით მიდიან სამუშაოდ. მუშაობენ მეტად ერთგულად აგრონომის დირექტივებით. კოლექტივს ყავს გამოყოფილი სამი ამხანაგისაგან შემდგარი საბჭო, რომელიც აგრონომის ინსტრუქციების მიხედვით აწარმოებს მუშაობას. თემის დანარჩენ უჯრედებმაც უნდა მიბაძონ ასეთ მაგალითს.

ა. დ. მათხოჯელი.

თემკომი იმედს ვერ გაამართლებს

(შუა-ხორგა, ზუგდიდის მაზრა)

ამ ხუთი თვის უკან შუა-ხორგაში დაარსდა ა. ლ. კ. კ. თემკომი, რომელიც აერთიანებს ქარიატის, პირველი-ხორგის და შუა-ხორგის უჯრედებს. თემკომის ხელმძღვანელობა უჯრედებზე ძალზე მოისუსტებს. ერთხელაც არავის შეუწუხებია თავი, უჯრედის ან პიონერთა კოლექტივის დათვალიერებისათვის ამ ხუთი თვის განმავლობაში. სამაზრო კომიტეტმა უნდა გამოაფხიზლოს ეს თემკომი, თორემ მუშაობას ვერ წავსწევთ წინ.

ვ. უგურყელი.

პარტიული ქრონიკა

— **ხელმძღვანელობა კომუნებზე.** სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა კომუნებზე და არტელებზე ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყო სამი ამხანაგისაგან შემდგარი სექცია.

— **უღარიბეს გლეხთა ჯგუფები.** სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა დაადგინა ჩამოყალიბდეს უღარიბეს გლეხთა ჯგუფები ველის ციხეში, გურჯაანში, ლაგოდეხში, მაჩხაანში, კარდანახში და ჟუგაანში.

— **პასუხისმგებელ მუშაკების მიმაგრება.** აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა დაადგინა მიმაგრებულ იქნას თითეულ მაზრაში სამ-სამი პასუხისმგებელი ამხანაგი პარტხელმძღვანელობის გასაწევად.

— **შვებულებაში მყოფ კურსანტების გამოყენება..** ს. ა. ლ. კ. კ. ახალც. სამაზრო კომიტეტმა წინადადება მისცა სააგ. განყოფილებას აღრიცხვით აიყვანოს შვებულებაში ჩამოსული კურსანტები და გამოიყენოს ისინი ძირითად უჯრედებში სამუშაოდ.

— **2 გლეხკორების თათბირი.** თელავის მაზრკომმა დაადგინა ჩატარებული იქნას მთელს მაზრაში გლეხკორების და ახკორების თათბირები, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების თანდასწრებით. თათბირების მუშაობა უნდა დამთავრდეს 10 ივნისამდე.

— **კურს ყრილობები.** ახ. კ. კ. ახალციხის სამაზრო კომიტეტი შეუდგა კურსყრილობების მოწყობას თემკომების და უჯრედების მდივნების მოსამზადებლად.

— **პარტდისციპლინის შესახებ.** სამაზრო კომიტეტმა დაადგინა ჩატარდეს ყველა უჯრედებში კამპანია პარტდისციპლინის შესახებ.

— **ფშაველის (თელავის მაზრა) პოლიტსკოლა** დაამთავრა 13 მსმენელმა მათში 4 უპარტიო, ერთი პარტიის კანდიდატი, დანარჩენები კომკავშირელებია. **ქვემო ალვანში,—20** მსმენელმა მათში 10 პარტწევრი, 5 უპარტიო და დანარჩენი კომკავშირელია.

— **დუშეთის აჯანყების 8 წლის თავი.** დუშეთში აჯანყების 8 წლის თავის ჩასატარებლად მაზრკომმა გამოყო 5 კაცისაგან შემდგარი კომისია.

— **ლენინიზმის წრე.** გორის სამაზრო კომიტ. დაადგინა დაარსებულ იქნეს ლენინიზმის შემსწავლელი წრე, სადაც იმეცადინებენ რკინისგზის მუშები და ყოფილი მენშევიკები.

— **გლეხთა შორის მუშაობის შესახებ.** გორის სამაზრო კომიტეტმა გადასწყვიტა მოიწვიოს პასუხისმგებელი ამხანაგების თათბირი სოფლად მუშაობის საკითხების დასამუშავებლად.

რა ხდება უცხოეთში

კრიზისი საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში.

უკვე ორი წელიწადია, რაც საქსონიის სოციალ-დემოკრატია განიცდის კრიზისს, რომელსაც ახლა აშკარა განხეთქილება მოჰყვა. **სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მასების ზეგავლენით, პარტიის საქსონიის ორგანიზაციამ თავისი რიგებიდან გარიცხა სამი სოციალ-დემოკრატი მინისტრი და საქსონიის ლანდტაგის სოც.-დემოკრატიული ფრაქციის (ფრაქციაში სულ 40 კაცია) 23 წევრი.** მათი გარიცხვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ისინი უარს ამბობენ ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობაზე ხელის აღებაზე.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ ახლა გამწვავდა საქსონიის კრიზისი, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საერთო კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენს. ეს კრიზისი მუშათა მასების და, კერძოთ, სოციალ-დემოკრატიული მუშათა მასების მარცხნივ გადახრის შედეგია

ეს ნელი, მაგრამ შეუჩერებელი პროცესი მასების გამემარცხენებისა, გამოწვეულია დაუესის გეგმის განხორციელებით და კომპარტიის მიერ ერთიანი ფრონტის სასარგებლოთ კამპანიის გაძლიერებით.

ეს გამემარცხენება თავს იჩენს აგრეთვე იმითაც, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თანდათანობით ძლიერდება ოპოზიცია ბელადების მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ. ოპოზიცია გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისეთ ციხე-სიმაგრეებში, როგორიც არის ბრესლავლის, ჰამბურგის, ფრანკფურტის, ტიურინგის, მეკლენბურგის, ბადენისა და ბერლინის ორგანიზაციები.

რომ საქსონიის კრიზისს არა აქვს ადგილობრივი ხასიათი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საერთო კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენს, ეს გამომდინარეობს აგრეთვე იმ მნიშვნელობიდანაც, რომელიც აქვს საქსონიას მთელი გერმანიისათვის და იმ როლიდან, რომელსაც საქსონიის ორგანიზაცია თამაშობს პარტიაში.

საქსონიის მოსახლეობა, რომელსაც უჭირავს გერმანიის მთელი სივრცის 1/30-მდე, შეადგენს მთელი გერმანიის მცხოვრებთა 1/12. საქსონია ყველაზე მჭიდროთ არის დასახლებული გერმანიის სახელმწიფოებიდან. ის 2½-ჯერ უფრო მჭიდროთ არის დასახლებული, ვიდრე პრუსია. მისი მოსახლეობის სიმჭიდროვე უფრო დიდია, ვიდრე რეინ-ვესტფალიის რაიონის, სადაც უძლიერესად არის განვითარებული მრეწველობა. მთელი საქსონიის მოსახლეობის 1/3 5 დიდ ქალაქშია თავმოყრილი. საქსონია ერთ მთლიან სამრეწველო ერთეულს წარმოადგენს. იქ მოსახლეობის მხოლოდ 1/10 მისდევს სასოფლო მეურნეობას.

რომ საქსონია დიდ როლს თამაშობს გერმანიის მუშათა მოძრაობაში, ამას შემდეგი ციფრები ადასტურებენ: საქსონელები შეადგენენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების 1/5, მუშათა [illegible] წევრების 1/8, თავისუფალ (რეფორმისტული) პროფკავშირების წევრთა 1/10.

აქედან ნათელია, თუ რატომ მოხდა ის, რომ კრიზისმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში პირველ რიგში საქსონიაში იჩინა თავი. საქსონიის მუშები გერმანიის პროლეტარიატის კლასობრივად ყველაზე უფრო შეგნებულ ნაწილს შეადგენენ. იმ დროს, როცა გერმანიის სხვა სახელმწიფოებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია სავსეა წვრილბურჟუაზიული ელემენტებით, საქსონიის ორგანიზაცია ნამდვილათ მუშური ორგანიზაციის ელფერს ატარებს. პარტიის ბელადები არსად ისე მძლავრად არ განიცდიან მასების ზეგავლენას, როგორც საქსონიაში.

იმ დროს, როცა 1923 წ. ოქტომბრიდან გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოფიციალურ დროშად გადაიქცა შავ-წითელ - ოქროსფერი დროშა, საქსონიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ შეინარჩუნა წითელი დროშა.

მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს საქსონიის ლანდტაგში უმრავლესობა ჰყავთ, მთავრობა უკვე ორი წელიწადია კოალიციონურია: სამ ბურჟუაზიულ და 4 სოც.-დემ. მინისტრისაგან შესდგება. მთავრობა ძალაუფლებას ინარჩუნებს იმის წყალობით, რომ 23 სოციალ-დემოკრატი დეპუტატი მხარს უჭერს მას, წინააღმდეგ პარტიული ორგანიზაციის დადგენილებისა. ამ დეპუტატების ასეთი საქციელი აიხსნება იმით, რომ მათ მხარეზეა (მალულად) პარტიის ც. კ. და თუმცა საქსონიის ორგანიზაციამ ისინი პარტიიდან გარიცხა, მაგრამ ეს დადგენილება დამტკიცებული უნდა იქნეს ც. კ. მიერ, რომელიც უარს ამბობს ამაზე და შეადგინა „სამედიატორო კომისია“ ამ საქმის გასარჩევად.

მაგრამ მარტო მემარჯვენე დეპუტატების გარიცხვით არ ამოიწურება საქსონიის კრიზისი. საქსონიის სოციალ-დემოკრატიული მუშების დიდი უმრავლესობა მტრულად არის განწყობილი არა მარტო ამ დეპუტატების, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ც. კ. მიმართაც, მუშები აღშფოთებული არიან ც. კ. შემთანხმებლური პოლიტიკით, დაუესის გეგმისა და ლოკარნოს, ხელშეკრულებებისათვის მხარის დაჭერით. „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატების ორჭოფული პოლიტიკა არ აკმაყოფილებს საქსონიის მუშების ოპოზიციონურ მასას და ის ახლა მხარს უჭერს კომპარტიის ბრძოლის ლოზუნგებს. საქსონიის სოც.-დემოკრატიული პრესა იძულებულია ახლა შემდეგი სტრიქონები ბეჭდოს: **„ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეები არიან არა ბურჟუაზიული თანამგზავრები, არამედ კლასობრივი ამხანაგები კომპარტიის რიგებიდან“.**

საქსონიის კრიზისი განხეთქილების წინამორბედია გერმანიის სოც. - დემოკრატიულ პარტიაში. სოციალ-დემოკრატიული მუშები [illegible]

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

წვიმების შემდეგ

3 ივნისს, საღამოს, თბილისში დაიწყო ძლიერი წვიმა. წვიმდა გამუდმებით მთელი ღამე და მეორე დღის დილის 10 საათამდე. მოსალოდნელი იყო, რომ ძლიერი წვიმა ზიანს მიაყენებდა გამოფენას, მაგრამ წინასწარ მიღებულ ზომების წყალობით გამოფენა არ დაზარალებულა.

ყოველი გამოფენის წინ გათხრილია არხი დაგუბებული წყალის გადასაშვებად. ამას გარდა ღია პლატფორმებზე მოთავსებულ მანქანა - იარაღებს წვიმის დროს ახურავენ სპეციალურ ბრეზენტებს, ასე, რომ მანქანების დაზიანების შესაძლებლობა თავიდან აცილებულია.

3 ივნისის წვიმას ზოგიერთ პავილიონში ჩაუმტვრევია რამოდენიმე შუშა. გუშინ სწარმოებდა მუშაობა ჩამტვრეული შუშების გამოსაცვლელად.

საერთოდ მოსამზადებელი მუშაობა გამოფენაზე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მოსალოდნელია, რომ ამ კვირაში მოთავდება ყველა პავილიონების საბოლოოთ მოწყობა.

გამოფენის შესავალში ეწყობა ახალი პავილიონი, რომელშიაც მოთავსებული იქნება გერმანული ფირმების ექსპონატები.პავილიონის წინ სწმენდენ ნიადაგს და აწყობენ ყვავილნარს.

გამოფენის სხვადასხვა კუთხეებში დადგმულია პატარა კარვები, სადაც იწარმოებს საგრილებელი წყლების გაყიდვა.

ამასთანავე სწარმოებს გზების გაწმენდა და გალამაზება, გზებზე დაყრილია ხრეში და აგურის ნატეხები, რომ წვიმის დროს ტალახი არ დადგეს.

გაცხოველებული მუშაობაა იმ პავილიონებში, სადაც ჯერ კიდევ ყველაფერი არაა მოწყობილი. სწმენდენ და ალაგებენ ეხლახან მიღებულ მანქანა-იარაღებს, ალამაზებენ პავილიონებს, თვალსაჩინო ადგილებზე კიდებენ სხვადასხვა რეკლამებს და სხვა.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს საბჭოთა ფირმა—„სელმაშის“ გრძელი პავილიონი,რომელიც მოფენილია სხვადასხვა ექსპონატებით. პავილიონში დალაგებულია ასამდე ექსპონატი.

„ფორდ“

„სელმაშის“ გვერდზე გაჭიმულია ცნობილი ფორდის გრძელი პავილიონი. გარეგნულად პავილიონი მეტად უბრალოა, იგი ვერ იზიდავს მაყურებელს. მაგრამ პავილიონის ახლოს, ღია ცის ქვეშ დალაგებული ექსპონატების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ფორდის პავილიონი ერთ-ერთი საინტერესო პავილიონი იქნება გამოფენაზე.

პავილიონის დასაწყისში მოწყობილია სამკუთხიანი კარავი, რომლის კარებზე დიდი ასოებით აწერია:

„მიწათმოქმედება, მრეწველობა და ტრანსპორტი მშრომელებთან ერთად არის ის ხიდი, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს ახალ ქვეყნისაკენ.

გენრი ფორდ“

პავილიონში გაცხოველებული მუშაობაა. ხსნიან უზარმაზარ ყუთებს, რომლებშიაც ჩალაგებულია ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სხვადასხვა ნაწილები. რამოდენიმე ამერიკელი მუშა თავს უყრის ამ ნაწილებს და ალაგებს დანიშნულებისამებრ. მათ აცვიათ ყავისფერი ხელთათმანები და გრძელი ყვითელი ხალათები, რომლებსაც ზურგზე დიდი წითელი ასოებით აწერია: „Ford“.

პავილიონის ერთ კუთხეში ჩამწკრივებულია კოხტა ავტომობილები. აქ არის როგორც სამგზავრო, ისე ნახევრად საბარგო ავტომობილები. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი პატარა კუს მოყვანილობის შავი მანქანა, რომლის მაგვარი თბილისში არ ყოფილა აქამდი.

ფორდი ცნობილია არა მარტო ავტომობილებით, არამედ სასოფლო-სამეურნეო მანქანებითაც. ფორძონის სისტემის ტრაქტორები, რომლებიც ყველაზე უფრო გავრცელებულია ამიერ-კავკასიაში, ფორდის ქარხნებში მზადდება.

ჯერჯერობით შეკრული და სადემონსტრაციოთ გამზადებულია ათამდე ფორძონი. დანარჩენი ექსპონატები ჯერ კიდევ არ არის ამოლაგებული ყუთებიდან. პავილიონის საბოლოო მოწყობა დამთავრდება ამ დღეებში.

ფორდის პავილიონის გვერდზე მოთავსებულია მეორე ამერიკული ფირმის და სათიბი მანქანების საერთაშორისო კომპანიის პავილიონი: პირველ ფირმას გამოფენილი აქვს ტრაქტორები და გუთნები, მეორეს—სათიბი, სალეწი, საცეხვავი და სხვაგვარი მანქანები. ყურადღებას იპყრობს სათიბი მანქანების საერთაშორისო კომპანიის ერთ-ერთი უზარმაზარი მანქანა, რომელიც 5 მეტრზეა გაჭიმული.

აღნიშნულ ფირმებს ჯერ კიდევ არ დაულაგებიათ ყველა მანქანა-იარაღები.

ამ დღეებში გამოფენის მომწყობი კომიტეტი გამოუშვებს გამოფენის გზის მაჩვენებელს, რომელშიაც დაწვრილებით აწერილი იქნება ყველა ფირმების ექსპონატები. ამ წიგნის საშუალებით ადვილი იქნება ყველა იარაღების გაცნობა და შესწავლა.

„ფიატ“

ამიერ-კავკასიის სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე საკუთარი პავილიონი აქვს მოწყობილი იტალიის ცნობილ ფირმა—„ფიატსაც“.

პავილიონი აგებულია რომაულ სტილზე და გარეგნულად საკმაოდ ლამაზია. პავილიონში გამოფენილია სამი ტრაქტორი, ხანძარსაქრობი ავტომობილი ავტო-კიბეთი, მოტორიანი საქაჩავი, მორების სახერხი მანქანა, წისქვილი და აბრეშუმის პარკის საშრობი ღუმელი. ამ ექსპონატებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ელექტრონის წისქვილი, რომელიც ოთხ ხარისხიან ფქვილად ფქვავს ხორბალს; დღე და ღამის განმავლობაში წისქვილი იძლევა 160 ფუთ ფქვილს.

ამ წისქვილის დიდი ღირსება იმაშია, რომ მასზე მუშაობს მხოლოდ ერთი კაცი. წისქვილი მოძრაობაში მოყავს რვა ძალიან ელექტრო-მოტორს.

საინტერესოა აგრეთვე პარკის საშრობი ღუმელებიც; პარკის გარდა ამ ღუმელებში შეიძლება სხვადასხვა ხორბლეულის გაშრობაც.



„ფიატის“ პავილიონი

„ფიატის“ პავილიონში გამოფენილია აგრეთვე მშრალი აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის ძაფი. იტალია მეაბრეშუმეობის განვითარების მხრივ ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, ამიტომ სოფლის მეურნეობის ამ დარგის ექსპონატების გაცნობას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი გლეხებისათვის.

მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ცეცხლის საქრობი ავტომობილი პატარა ავტო-კიბეთი. „მაგირუსის“ ფირმის ავტო-გიგანტთან შედარებით „ფიატის“ სახანძრო ავტომობილი მეტად პატარაა, მაგრამ, სამაგიეროდ მისი გამოყენება უფრო შეიძლება სოფლის მეურნეობაში ამასთანავე „ფიატის“ სახანძრო ავტომობილს აქვს კიდევ სხვა უპირატესობაც.

„ფიატის“ პავილიონის პირდაპირ მოთავსებულია „ჰენრიხ ლანცის“ და გერმანიის სხვა ფირმების პავილიონი; აქვე გვერდზეა ჩეხო-სლოვაკიის ფირმებიც. „ჰენრიხ ლანცი“ მეტად მდიდრულადაა წარმოდგენილი გამოფენაზე. ის კიდევ მოელის ექსპონატებს. გარეგნულადაც მისი პავილიონი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

გამოფენის ქრონიკა

წისქვილის გამოცდა

ამდღეებში მოხდება „ფიატის“ ფირმის წისქვილის საჯარო გამოცდა. გამოცდას დაესწრებიან სხვადასხვა სპეციალისტები.

გზისმაჩვენებელი

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა გამოფენის გზისმაჩვენებელი, რომელშიაც აწერილი იქნება ყველა ფირმების ექსპონატები.

გლეხების ექსკურსია

გუშინ, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დაათვალიერა აზერბეიჯანის გლეხთა ექსკურსიამ.

წითელარმიელები გამოფენაზე

გამოფენას თითქმის ყოველდღე ათვალიერებენ წითელარმიელთა ექსკურსიები.

სიმფონიური კონცერტი

შემდეგი სიმფონიური კონცერტი გამოფენაზე გაიმართება შაბათს.

შესასვლელი ფასი: პროფკავშირების წევრთათვის—60 კაპ. გარეშეთათვის—75 კაპ.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

110.000 მანეთი

მომჭირნეობის გამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ პირველ ივნისამდე გაერთიანებული თათბირი მომჭირნეობის შესახებ მოაწყო ს. მ. უ. ს. 8 ტრესტში. თათბირებზე მოწვეულნი იყვნენ ტრესტების ადმინისტრაცია, განყოფილებათა და წარმოებათა გამგეები, საწარმოო თათბირების ბიუროების, საქარხნო, საფაბრიკო კომიტეტების რ. კ. პ. სარაიონო კომიტეტების წარმომადგენელნი და კომუჯრედები. ამ თათბირებზე პირველ რიგში ტარდებოდა და მუშავდებოდა ღონისძიებები იმ დანართი და საწარმოო ხარჯების შესამცირებლად, რომელნიც დეტალურ გამოკვლევას არ მოითხოვდენ და რომელთა შემცირება შეიძლებოდა სრულიად უმტკივნეულოდ. მეორე რიგში დასმულ იქნა საკითხები, რომელნიც დეტალურ და ხანგრძლივ გამოკვლევას საჭიროებენ. ამ საკითხების დამუშავება დაეკისრათ ტრესტებთან არსებულ კომისიებს.

თათბირების და მუშაობის წინასწარი შედეგები ასეთია:

თამბაქოს ტრესტის ყველა ფაბრიკებში მუშების რიცხვი შესაძლებელია შემცირებულ იქნეს 40 კაცით, რაც არ დააზარალებს წარმოებას და ამავე დროს გამოიწვევს 2.000 მანეთის დაზოგვას თვიურად. გამოირკვა აგრეთვე, რომ კოოპერატ. ორგანოები ნედლი თამბაქოს დამზადებისათვის ახდევინებენ თამბაქოს საერთო ღირებულების 10 პროცენტს, ხოლო საკუთრად ტრესტს დამზადება უჯდება არა უმეტეს 4 პროცენტისა. საერთოდ თამბაქოს ტრესტში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს 24 ათასი მანეთის დაზოგვა წლიურად და 3.600 მანეთის ერთდროულათ.

ამავე თათბირის დასკვნით პოლიგრაფიულ წარმოების ტრესტში შესაძლებელია წლიურად დაზოგვილ იქნეს 4.831 მანეთი, სახელმწიფო სპირტის წარმოების ტრესტში 23.000 მანეთი, ტყავეულის ტრესტში 25.878 მანეთი, სათბობი მასალის სამმართველოში 10.876 მანეთი, ზეთის და საპნის საწარმოო ტრესტში 8.400 მანეთი, ლითონის ტრესტში 10.000 მანეთი და სამკერვალო წარმოებათა სახელოსნოში 4.280 მანეთი.

საერთოდ სახალხო მეურნეობის,უმაღლეს საბჭოს უწყებაში მყოფ 8 ტრესტში ერთი წლის განმავლობაში, წარმოებათა შეუფერხებლად,შესაძლებელია დაზოგვილ იქნეს 110.259 მანეთი.

არც ძველმა ივარგა, არც ახალმა

(ტობანიერი, ქუთ. მაზ.)

წარმოკავშირის გამგემ ასლან გაგუამ ორი ათასი (2.000) მან. გაფლანგა და დღეს ციხეშია, წარმოკავშირი კი სულს ღაფავს. განყოფილება, რომელიც ამ კოოპერატივს ჰქონდა სოფელ ბაშში, დაიხურა და ამნაირად მალე ტობანიერის წარმოკავშირიც მიიხურება ადგილობრივ ვაჭრების გულის გასახარებლად. წარმოკავშირის გამგეობის წევრს დაედვა ხუთას მანეთამდე ვალი, მაგრამ მან ფული უსიტყვოდ გადიხადა.

ავირჩიეთ ახალი გამგეობა. არც ახალმა დაგვაყარა ხეირი. არჩევის შემდეგ სამ თვეზე ცოტა მეტია და კოოპერატივმა სამას მანეთზე მეტი წაგება ნახა. წარმოკავშირის სამკერვალო გამოიკეტა. ეხლა სასადილო დარჩა, სადაც სამი კაცი მსახურობს და ერთის საქმეც არ არის. ამ სასადილოს უნახავს 300 მანეთამდე ზარალი, და წარმოკავშირის გამგეობა ყურს არ იბერტყავს.

უწინ სასადილოში ერთი კაცი მუშაობდა და კვირა დღეობით იხმარებდა ერთ კაცს და მოგებაც თვალსაჩინო რჩებოდა. კერძო ინტერესით, ეს კაცი დაითხოვეს და ეხლა სამი კაცი მუშაობს და ზარალიც სამასი მანეთია.

უკანასკნელ ხანებში მთლად გაგვაბედნიერა გამგეობამ. ზარალთან შტატიც გაადიდა. კიდევ ახალი მოლარე ქალი დაიქირავეს, რომელიც ზედმეტია. ამდენ ხანს ერთი ნოქარი მუშაობდა და მას არ ქონდა სამუშაო. ეხლა მოლარეც მიუმატეს. გამგეობის ერთი წევრი ლოთობას ვერ იშლის და მეორემ ანგარიში არ იცის.

კმოთე.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

როგორ არ უნდა გვესმოდეს მომჭირნეობა

ბევრ შემთხვევაში მომჭირნეობის რეჟიმი ტარდება იქ, სადაც უფრო ადვილია ხარჯების შემცირება, მიუხედავათ იმისა, სარგებლობა მოაქვს თუ არა საქმისათვის ამ შემცირებას. დაწესებულება-წარმოებათა ზოგიერთ ხელმძღვანელებს, განზრახვა აქვთ მომჭირნეობის რეჟიმის საფარ ქვეშ თავი დააღწიონ ისეთ ხარჯებს, რომელთაც მართლა პირდაპირი კავშირი არა აქვთ წარმოების თუ დაწესებულების მუშაობასთან, მაგრამ რომელთა შეკვეცაც ნიშნავს ძირითად პროფესიულ ორგანოების მუშაობის შეფერხებას.

გაზეთი „ტრუდი“ (№ 114) საყურადღებო წერილს ბეჭდავს ამის შესახებ ლენინგრადიდან:

„ბევრ, ძალიან ბევრ ტკივილებს აეხადა ფარდა უკანასკნელ დროს ჩვენს წარმოებებში. მაგრამ ამასთანავე დამახასიათებელია **რომ წარმოებათა დიდი უმრავლესობა არ უშვებს შემთხვევას გაატაროს მომჭირნეობა პროფკავშირების ხარჯზე.** „ელექტროტოკ“-ში, მაგალითად, დაუშვებლათ სცნეს კულტორგანიზაციებისათვის ბინის დათმობა. ამხ. ეგოროვის სახელობის რონოდების მშენებელ ქარხანაში დაადგინეს არ გაიღონ არც ერთი ზედმეტი კაპეიკი კულტურულ საჭიროებისათვის 1 პროც. ზევით და მომავალში სრულიად უარი სთქვან დასასვენებელ სახლების შენახვაზე. „კრასნი ტრეუგოლნიკი“ ასეთაც კი აყენებს საკითხს ტრესტის წინაშე, რომ უნდა მოხსნან შეგირდები წარმოებიდან, რიცხვით 922 კაცი, რომელნიც ფაქტიურად, თითქოს არ არიან საჭირო წარმოებისათვის და არაფერს აძლევენ მას.

ასე ესმით ზოგიერთ სამეურნეო მუშაკებს მომჭირნეობის რეჟიმი. შემცირება ხარჯების პროფკავშირებისათვის, მოხსნა სამუშაოდან ახალგაზრდა მუშა-ხელის (კვალიფიციურ პროლეტარიატის მომავალ კადრის) და სხვა. რამდენად მიზანშეწონილი და სასარგებლოა ეს მომჭირნეობა, მგონი ზედმეტია აქ ამის მტკიცება.

„კახეთში“ ყველაფერი რიგზე არაა

ორ თვეზე მეტი სწარმოებდა კოოპერატ. საზ. „კახეთი“-ს რევიზია მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ. შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული, ალბათ მალე იქნება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ გამგეობას ამ დიდ საზოგადოების დაცემაში დიდათ „უმოღვაწნია“. ეს გამოირკვა გზადაგზა რევიზიის მსვლელობის დროს. მაშინ ბევრი სიტყვიერი შენიშვნები მისცეს გამგეობას. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ შემდეგში მაინც არ განმეორდება წინანდელი ამბები.

რევიზია ჯერ არც კი იყო დასრულებული, რომ განმეორდა ისევ ძველი ამბავი და სწორედ იმ დროს, როცა დიდი და პატარა „მომჭ. რეჟიმზე“ ლაპარაკობდა, თელავის საწყობის გამგემ ა/წ. აპრილში წაიღო სოფ. ახალსოფელში ას ფუთზე მეტი შაბიამანი „კახეთი“-ს წევრებზე დასარიგებლად. როცა საწყ. გამგემ ანგარიში წარმოადგინა შაბიამანის დარიგების შესახებ, იქ იყო აღნიშნული, რომ მან პირადათ მიიღო დღიურების ანგარიშში ერთი კასრი შაბიამანი (წმინდა წონა 15 ფუთი). ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა გლეხები საზ. წევრები, 20 ვერსის მანძილიდან რამდენჯერმე იყვენ ფეხით მოსული თითო ფუთ შაბიამანის მისაღებად, მაგრამ ვერ ღებულობდენ, რადგან შაბიამანის უქონლობის გამო. გლეხები გაიძახოდენ: „[illegible] ვეღუპავთ, ხალხნო! ვენახი ოხრდება. ორას წევრზე ოცდა ხუთმეტი ფუთი შაბიამანი რას გვიზამსო“. ამას ამბობდენ სოფ. შაშიანში მცხოვრები, რომელთაც, მართლაც ორას კაცზე დაურიგდა ორმოც ფუთამდე, ხოლო ერთმა თანამშრომელმა კი თავისით, უკითხავად, წაიღო 15 ფუთი დღიურების ან-ში, რომლის მიღება მას აკრძალული ჰქონდა გამგეობისაგან. წაიღო არა თავის ვენახის საჭიროებისათვის, არამედ სასპეკულიაციოდ—გასასყიდათ.

არ იკითხავთ, რა ზომები მიიღო ადმინისტრაციამ? არაფერი. როცა ბუხჰალტერმა ეს „საბუთი“ არ მიიღო და გამგეობის წევრს გადასცა თავის დასკვნით, რომ ასეთი საქციელი საწყობის გამგისა დაუსჯელი არ უნდა დარჩესო, ამაზე გამგეობის წევრმა უპასუხა, რომ ეხლა რაღა ეშველება საქმეს, ისევ როგორმე უნდა შევავსებიოთ მასვე აღნიშნული რაოდენობაო, თორემ ამისთვის სამსახურიდან აბა ხომ არ დავითხოვთო.

თუ რამდენად კანონიერია საწყობის გამგის მოქმედება (სხვათა შორის მას სხვა რამეებიც აკლია საწყობში) და თუ რამდენად სამართლიანია გამგეობის წევრის მსჯავრი ამ საქმეზე, მიგვინდვია მისთვის, ვისაც აინტერესებს საზ. „კახეთი“-ს წევრების—1.500 გლეხის ბედ-იღბალი.

მცოდნე.

მიწათმოქმ. სახალხო კომისარიატში

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან მოწყობილმა მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელმა კომისიამ დაადგინა: დაუყოვნებლივ გატარებულ იქნეს ხარჯების შემცირება სახალხო მამულების ტრესტში, სადაც წლის განმავლობაში საქმის დაუზიანებლად შეიძლება დაზოგვილი იქნეს 20 ათასი მანეთი.

შემცირებულ უნდა იქნეს აგრეთვე კომისარიატის ყველა განყოფილებებში მისავლინებელი, საკანცელიარიო, საკომპენსაციო და სხვა ხარჯები, რაც წლიურად გამოიწვევს 18 ათასი მანეთის დაზოგვას.

კომისიის მიერ გადაწყვეტილია აგრეთვე შეამციროს მწარმოებელი ცხენების რიცხვი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენების საჯინიბოებში, სადაც ცხენთა რაოდენობა 180-დან დაყვანილ უნდა იქნეს 150-მდე.

ეს შემცირება გამოიწვევს წლიურად 15 ათას მანეთის ეკონომიას.

20 ათასი მანეთი შემცირდება აგრეთვე ცხენების გამოსაკვებად საჭირო ხარჯებში.

ფასების დამკლებ კომისიაში

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულმა ფასების დამკლებმა კომისიამ უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიაქცია სხვადასხვა ბოსტნეულის ფასებს. მოწვეული იქნა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, გამოკვლეული იქნა ბოსტნეულის ბაზარი და გამომუშავებული იქნა ახალი ფასები, კარტოფილზე, კომბოსტოზე, ლობიოზე და სხვა ბოსტნეულზე. კომისია თვალყურს ადევნებს შემუშავებული ფასების გატარებას.

ფასების დაკლება ბოსტნეულზე არ არის ერთ დროული ღონისძიება. იგი გაგრძელდება მომავალშიაც იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება მდგომარეობა ბოსტნეულობის ბაზარზე. ფასების ყოველდღიური შეგროვებით კომისია მუდამ თვალყურს ადევნებს ფასების მოძრაობას, როგორც იმ საგნებზე, რომელზედაც უკვე მოხდა დაკლება, ისე იმ საგნებზედაც, რომელზედაც ფასები უნდა შემცირდეს უახლოეს მომავალში.

თავის უკანასკნელ სხდომაზე კომისიამ დაადგინა დაიწყოს მუშაობა ფასების დასაკლებად ისეთ საგნებზე, რომელთა ბაზრის მოწესრიგებაც დღემდე შინა-ვაჭრობის კომისარიატის მუშაობის გარეშე რჩებოდა, მაგრამ რომლებსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ფართო მოხმარების საგნებს.

ასეთ საგნებად პირველ რიგში აღიარებულია სარძეო მეურნეობის პროდუქტები, როგორიცაა რძე, ზეთი, ყველი. კომისიამ დაავალა გამოარკვიოს, როგორ საღდება აღნიშნული საქონელი კოოპერატივების საშუალებით, როგორია მისი ღირსება და ფასები.

კომისიამ დაავალა აგრეთვე თბილისის თევზის ბაზრის გამოკვლევა და გამონახვა ზომებისა თევზზე საცალო ფასების დასაკლებად და ამ საქონელთა მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად.

ახალ საკითხებს კომისია დაამუშავებს იმის მიხედვით, რამდენადაც იგი თანდათანობით შეასრულებს უკვე დაკისრებულ სამუშაოებს.

„ემსში“

გადაწყდა ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს და ელგანის გაერთიანება—თბილისის ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს სახელწოდებით.

გაერთიანებამ დიდი ნაყოფი გამოიღო მომჭირნეობის ბრძოლის საქმეში; მუშა-მოსამსახურეთა შტატი შემცირდა 18 კაცით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

26 სახელობის თამბაქოს ფაბრიკა

ქუთაისი, 2 ივნისი. 26-ის სახელობის სახელმწიფო ფაბრიკაში მაისის განმავლობაში დამზადებულია 5.450.000 ცალი პაპიროსი ე. ი. 450.000 ცალით ნორმაზე მეტი.

დახმარება მეთამბაქოებს

ქუთაისი, 2 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ზუგდიდის მაზრაში თამბაქოს კულტურის განსავითარებლად გადასდო 90.000 მან., რომელიც დაურიგდება მეთამბაქოებს სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა რეორგანიზაციის კამპანიის ჩატარების შემდეგ. ფულის გაცემა მოხდება სამ ვადაში: ივნისის 10, სექტემბერსა და ნოემბერში, სასეზონო მუშაობათა მიმდინარეობის მიხედვით.

მავნებლები

ქუთაისი, 2 ივნისი. სვირის რაიონში ვენახის ვაზებს გაუჩნდა მატლი—„ინო ამპელოფაგა", რომელმაც ვენახები დააზიანა 15%-ით.

ვენახების წამლობა

ონი, 2 ივნისი. ონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო შაბიამანის დიდი პარტია, რომლებიც გლეხობას მიეცემა შეღავათიან პირობებში.

განუწყვეტელი წვიმების გამო ვენახების წამლობა შეჩერებულია.

აგურის ქარხანა

ონი, 2 ივნისი. შეუდგენ აგურის ქარხნის აგებას. ქარხანაში დამზადდება მარსელის ტიპის აგური. გლეხობის მხრით ბევრი შეკვეთებია.

ქარხანა შენდება საკრედიტო ამხანაგობის მიერ და ერთ თვეში იქნება მზად.

ელექტროფიკაცია

ონი, 2 ივნისი. მუშაობა ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად აჩქარებული ტემპით სწარმოებს. მიწის მუშაობა უკვე დამთავრდა, არხი გაყვანილია და ეხლა გვირაბის გათხრას შეუდგენ.

მეაბრეშუმეობა

ახალ-სენაკი, 3 ივნისი. თუმცა მეაბრეშუმეობა მეორე ხარისხოვან სასოფლო-სამეურნეო დარგად ითვლება ახალ-სენაკის მაზრაში, მაინც საგლეხო მეურნეობას იგი დიდ შემოსავალს აძლევს. მეაბრეშუმეთა რიცხვი თანდათან იზრდება. 1921 წ. მაზრაში დარიგდა 8.000 კოლოფი თესლი, 1925 წ. კი—14.000-დე. მიმდინარე წელში კი დარიგდა 15.767 კოლოფი თესლი.

მაზრის მოსახლეთა 60% მეაბრეშუმეობას ეწევა. თესლი მეაბრეშუმეებს დაურიგდა ნისიად, თითო კოლოფი 3 მანეთად.

ყინულის დამზადება

ახალ-სენაკი, 3 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა გახსნა ყინულის დამამზადებელი ქარხანა, რომელმაც მუშაობა უკვე დაიწყო.

ცხენისწყალის ნაპირების გამაგრება

ახალსენაკი, 2 ივნისი. მუშაობა ცხენისწყალის ნაპირების გასამაგრებლად სწრაფად მიმდინარეობს. სოფ. ხუნწთან და ნაგვაზაოსთან უკვე გაკეთებულია ჯებირები და ქვის სიმაგრეები, თითო 30 საჟ. სიგრძისა. სიმაგრეების საშუალებით მდინარეს დენა მეორე მხარისაკენაა გადაყვანილი, რამაც საშუალება მისცა გლეხებს დამშვიდებით აწარმოონ სამუშაო ყანებში.

ზარალი ნიაღვრებისაგან.

თელავი, 3 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა წინადადება მისცა სათემო აღმასკომებს—აგრონომიული პერსონალის დახმარებით გამოარკვიოს მთელი ზარალი, რომელიც მიაყენა მაზრის მოსახლეობას უკანასკნელმა ნიაღვრებმა და სეტყვამ.

„ტყის მეგობართა" საზოგადოება.

თელავი, 3 ივნისი. „ტყის დღის" გატარების დროს მაზრაში მოეწყო „ტყის მეგობართა" უჯრედები. მიწა-ტყის კავშირმა და ადგილობრივმა სატყეო განყოფილებამ ამ უჯრედებისათვის შეიმუშავეს ინსტრუქციები და წესები, რომლებიც გაიგზავნა ადგილებზე.

ცხვრის ფარის დაღუპვა.

თელავი, 3 ივნისი. ქიზიყის მეცხვარეების ცხვრის ფარები, რომლებიც გარეკეს კავკასიის მთებზე, მთის ბილიკებს არ იყვენ შეჩვეული, ჩაცვივდენ ხრამებში და დაიღუპენ.

მთებში შევავისაგან თუშების ცხვრის მხოლოდ მცირე პროცენტი იღუპება, რადგან ეს ცხვრები გამოცდილი არიან მთებზე სიარულში. თუშების ცხვარი ბილიკებზე ფრთხილად მიდის და მიწის მოშვავების დროს ახერხებს უშიშარ ადგილის დაკავებას. ქიზიყელთა ცხვრებს კი არა აქვთ ასეთი გამოცდილება. სიღნაღის მეცხვარეებმა დაჰკარგეს 1.000 სული ცხვარი. ისინი ისე დაშინებული არიან ამით, რომ გადასწყვიტეს ცხვარი დააბრუნონ უკან ახალქალაქის მაზრაში თრიალეთის მთებზე, სადაც წინათ აძოვებდენ ცხვრის ფარებს.

მილიციის გამოკვლევა

თელავი, 3 მაისი. ჩამოვიდა რესპუბლიკანურ მილიციის ინსპექტორი მილიციის მდგომარეობისა და მუშაობის გამოსაკვლევად. ინსპექტორი გაემგზავრა რაიონებში, რომ გაეცნოს რაიონების უბნებში მილიციის საქმის დაყენებას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ლიუქსემბურგი, 3 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა უკვე დაიწყო. მობილიზაციით გაიწვიეს პარტმუშაკები და აღმრიცხველები, რომლებმაც ხალხს უნდა აუხსნან და განუმარტონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა.

წერილები

სააღდგომო მივლინება

(ს. ჩუბეხევი, სვანეთი)

წერილი, ცოტა არ იყოს, დაგვიანდა: მალე მასწავლებელი აფაქიძე ამაღლობას იდღესასწაულებს და ამბავი კი, რომელზედაც მე ვწერ აღდგომის უქმეებს შეეხება. მაგრამ სვანეთის კორესპონდენტს ასეთი დაგვიანება ეპატიება. თუ ჩვენ კანცელარიებში ერთი ოთახიდან მეორე ოთხში ქაღალდის მოგზაურობას ზოგჯერ თვეები და წელიწადიც კი უნდება, რაც არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთებში, რა გასაკვირია, რომ ცაზე მიბჯენილ სვანეთის მთებიდან გამოგზავნილ წერილმა ერთი თვე დაიგვიანოს გზაში თბილისამდე.

ეხლა თვით საქმეზე. სვანეთის სილამაზეზე და პრიმიტიულ თავისებურობაზე ბევრი რამ დაწერილია და თქმულა. ყველა, ვისაც არ უნდა ელაპარაკო ჩვენი კუთხის შესახებ, აღტაცებული და გაგიჟებულია აქაური ბუნების სიტურფით. მაგრამ, თუ გინდა ამ აღტაცებულ მოსაუბრეს თავზე მოულოდნელათ ცივი წყალი გადაასხა, შესთავაზე მას სვანეთში მუდმივ სამუშაოზე წასვლა.

ეს თითქმის გასაკვირი რამაა, მაგრამ ეს სინამდვილეა, რომელსაც ყველა იცნობს. სვანეთი მხოლოდ შორით სატრფიალო საგანია. ცხადია ამიტომ, ხელისუფლება იძულებულია მრავალგვარ საშუალებას მიმართოს სვანეთში მუშაკების გადმოსაბირებლათ. მაგალითად აქაური მასწავლებლები ღებულობენ ორმაგ ჯამაგირს, რადგან მათ სვანეთში უხდებათ მუშაობა.

ასე ეძლეოდა და ეძლევა, რასაკვირველია, ჯამაგირი ჩუბეხევის მასწავლებელ მ. აფაქიძესაც. სვანეთში, სხვა უბედურებასთან ერთად, ერთი სიკეთე მაინც არის. ეს ის, რომ აქ ფულის შენახვა უფრო ადვილია, ვიდრე სხვაგან. მით უფრო, თუ ორმაგ ჯამაგირს იღებ. აფაქიძესაც სააღდგომოთ კარგა გვარიანი თანხა დაუგროვდა. ბევრი იფიქრა, სად და როგორ მოეხმარა ფული და ბოლოს გადასწყვიტა თავის სოფელში წასვლა დროის გასატარებლათ და უქმეებისათვის ღვინის ჩამოსატანათ.

ადგა, ცხრა დღით ადრე მიატოვა სკოლა და თავი ქნა ბარისაკენ. მის მაგიერ კი **მღვდელი** დატოვა მასწავლებლათ. მოდი და კითხე ჭკუა ასეთ მასწავლებელს. ვალს ხომ გადახდა უნდა. ერთიც ვნახოთ მღვდელსაც რეტმა მოუარა და ბარისაკენ გამგზავრება მოისურვა. ვინ უნდა შეასრულოს მაშინ ჩუბეხევში მღვდელმოქმედება? ალბათ მ. აფაქიძე, რომელიც ასე კეთილმეგობრულ დამოკიდებულებაშია ანაფორიანთან, უარს არ იტყვის მის მაგიერ წირვა-ლოცვის შესრულებაზე.

აღდგომა უკვე გავიარეთ, კარზე ამაღლობა გვადგია. აფაქიძეს საეკლესიო უქმეების სათვალავი არ შეეშლება. ვნახოთ რა რამდენი ხნით მიანდობს ის სკოლას ჩუბეხეველ მამას.

გულადი.

დაუდევრობით ტყე იღუპება.

(ს. შარახევი, დუშეთის მაზრა).

შარახევი ადმინისტრატიულად ეკუთვნის დუშეთის მაზრას, ხოლო ნახევარი სოფელი, რომელსაც მარაულები ეწოდება, შედის თბილისის მაზრაში. შარახევი მდიდარია საუკეთესო ჯიშის ტყით, სადაც ბევრია მუხა, თელა, ცაცხვი და წიფელი.

მაგრამ რა გამოვიდა აქედან, თუ კი ტყეს არავინ ადევნებს თვალყურს? ამ თემში ტყის მცველად არის ბაზალეთის თემის მცხოვრები ვინმე ებიტაშვილი, რომელიც დაშორებულია ტყეს ოცდა ათი ვერსით. ებიტაშვილი ერთხელაც არ ვაივლის მთელი თვის განმავლობაში ტყეების დასათვალიერებლად. ამ ორ თვეში განადგურდა საუკეთესო მუხის ტყეები. მას დაუყენებია ზოგიერთ სოფლებში მეველეები იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს სოფლელებს—ტყე არავინ გაჩეხოსო.

მაგრამ მცველები უფრო უარესები გამოდგენ. იმათზე დიდი მტერი ტყეს არა ჰყავს. ამის საბუთიც მინდა მოვიყვანო. შარაევში არის მეველეთ ერთი კულაკი—ბატარა, რომელსაც გაუჩეხია უნებართვოთ საუკეთესო მუხის ტყე. ამასაც არ დასჯერდა. შემდეგ ტყეს გაუჩინა ცეცხლი, რომელიც სამ დღე-ღამეს იწვოდა.

ამავე სოფლის მცხოვრებელმა, ბესარიონ ტუქსიშვილმა, გასჩეხა ერთნახევარი დესეტინა საუკეთესო ტყე.

რამდენი სხვა მაგალითები უნდა მოვიყვანო, როდესაც ასეთი შემთხვევა აუარებელია და მთელი ტყეები ნადგურდება დაუდევრობისაგამ.

იქნება ამის შემდეგ მაინც მიაქციონ ყურადღება შარახევის ძვირფას ტყეს.

ზაქარია ბადურაშვილი.

კომუნალურ და სანიტარულ-ტეხნიკურ მუშათა თათბირი

თათბირის გახსნა

გუშინ, საღამოს 5 საათზე გაიხსნა კომუნალურ და სანიტარულ-ტეხნიკურ მუშაკთა გაერთიანებული თათბირი. თათბირი გახსნა შინ. სახ. სახკომმა ამხ. **შ. მათიკაშვილმა,** რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ამ თათბირის როლი კომუნალური მეურნეობის საქმის აღორძინებაში. ამის შემდეგ თათბირი შეუდგა დღის წესრიგისა და რეგლამენტის განხილვას, რის შემდეგაც დაიწყო.

მოხსენებები ადგილებიდან

პირველი მოხსენებით გამოდის **გორის** მაზრის წარმომადგენელი ამხ. **ცხოვრებაშვილი.** მისი მოხსენებიდან ირკვევა, რომ გორის სამაღმასკომთან კომუნალური განყოფილება მოწყობილა უკანასკნელ ხანებში და გაუმართლებია კიდეც თავის დანიშნულება. განყოფილების პირველ ამოცანას შეადგენდა საბინაო აღმშენებლობის წარმოება. მიწის ძვრისაგან თვით გორში დაინგრა მთელ ნაშენობათა 90 პროც. ამჟამად გაცხარებული მუშაობა სწარმოებს სახლების ასაშენებლათ. უკვე აგებულია მაზრაში 1.083 ახალი შენობა. აგებულია საავადმყოფოს შენობა, რაც დაჯდა 35.000 მანეთი, აშენდა ახალი ელსადგური, გაფართოვდა სახერხი ქარხანა, გამაგრებულ იქნა ლიახვის, მტკვარის და მეჯუდას ნაპირები, გორის მოსალოდნელ წყალდიდობისაგან დასაცავად და სხვა.

ოზურგეთის მაზრიდან მოხსენებით გამოდის ამხ. **ნიკოლაიშვილი.** იგი აღნიშნავს, რომ სამაზრო აღმასკომთან არ არსებობს კომუნალური განყოფილება; არის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება და მასში შედის კომუნალური ქვე-განყოფილება. ამ ქვე-განყოფილების ინიციატივით შეკეთებულ იქნა საჯევახო-ნატანების გზატკეცილი, აგებულ იქნა 22 ხის ხიდი მაზრაში და 9—ქალაქ ოზურგეთში. ამჟამად კი სწარმოებს მუშაობა „ნარიონალის" ჭაობების დასაშრობათ და მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად. საბინაო კრიზისი მაზრაში არ არსებობს. სამაზრო აღმასკომის ინიციატივით იქნა აგებული მაზრაში 15 სასკოლო შენობა, 8 სახალხო სახლი, ამდენივე საექიმო პუნქტის შენობა და სხ. თვით ოზურგეთში აშენდა 9 წლედის შენობა, მილიციის სადგომი და სხ. ხანძართან ბრძოლის საქმე საზოგადოთ ძლიერ ცუდათაა მაზრაში დაყენებული და სამაღმასკომის მორიგი ამოცანაა ამ საკითხის მოგვარება.

ბორჩალოს მაზრიდან მოხსენებას ათავებს ამხ. **ხუდაიანი.** მომხსენებელი ამბობს, რომ მაზრაში 180 დასახლებული პუნქტია და ორი ქალაქი—ლიუქსემბურგი და შაუმიანი. ორივე ამ ქალაქებში დიდი საბინაო კრიზისია. სამაზრო აღმასკომი ყოველმხრივათ უწყობს ხელს სახლების აღმშენებლობას. ამჟამად შენდება კრამიტის ქარხანა, სადაც ყოველთვიურათ დამზადდება 5 ათასი ცალი კრამიტი. ამ ქარხნის დაარსება დიდათ შეუწყობს ხელს სახლების აღმშენებლობას. გარდა ამისა აფართოებენ შაუმიანის ელსადგურს, რისთვისაც მუშაობა უკვე დაწყებულია. სამ. აღმასკომი ღებულობს მთელ რიგ ზომებს, რომ გლეხებმა თვით დაიწყოს სახლების აგება.

მუზეუმი

ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ექსპონატების გადატანის გამო, მოქალაქეთათვის დროებით დაიხურა სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა მუზეუმის გასაფართოებლად. ახლო ხანში მუზეუმში იქნება ახალი ექსპონატები ჩვენი სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან.

ექსპონატებს მოელიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

მუზეუმი გაიხსნება რამოდენიმე კვირის შემდეგ.

ზაჰესი

„ელგანის" მუშაობა

ელექტრო-ენერგიის მომხმარებელთა გადასაყვანად ზაჰესის ენერგიაზე მუშაობას აწარმოებს ელექტრო-გაყვანილობათა სამმართველო—„ელგანი", რომელსაც დაკისრებული აქვს ქალაქის მომზადება ზაჰესის ენერგიის მისაღებად დანიშნულ დროსათვის.

ამ ჟამად დაწყებულია მუშაობა ზაჰესის ხაზის გასაყვანად. ხაზის საერთო სიგრძე უდრის 1.000 კილომეტრს, ხოლო მავთულის საერთო წონა 250 ტონს. „ელგანის" გამოანგარიშებით, იმისათვის, რათა პირველ სექტემბრისათვის დამთავრდეს საჰაერო ხაზის გაყვანა, ხაზზე სამუშაოდ საჭიროა 150 მონტიორი. „ელგანი"-ს მიერ მიღებულია ზომები მონტიორების სამობილიზაციოდ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ მოხერხდა მონტიორების შოვნა საჭირო რაოდენობით, განზრახულია დროებით ზაჰესის ენერგია ვაშვებული იქნეს ძველ საჰაერო მავთულზე იმ უბნებში, სადაც გაყვანილი არ არის ახალი ხაზი. ამ უბნებში შემდეგ თანდათანობით გაყვანილი იქნება ახალი ქსელი, რომელიც შესცვლის ძველს.

ყოველ შემთხვევაში 1—15 სექტემბრისათვის „ელგანს" ყველაფერი მზად ექნება ზაჰესის ენერგიის მისაღებად.

თეორეტიული გამოანგარიშებით და აგრეთვე ამ ჟამად ძველ მავთულზე წარმოებულ მუშაობით გამოირკვა, რომ უკვე არსებულ ელექტრო-გაყვანილობათაგან, სავსებით გამოსადეგია ზაჰესზე გადასაყვანად მხოლოდ 20—25 პროც. გაყვანილობათა 60 პროცენტი საჭიროებს ნაწილობრივ გადაკეთებას და ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო შეკეთებას. დანარჩენი 15 პროცენტი სავსებით გამოუსადეგარია ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვანად და საჭიროებს ხელახლა მოწყობას.

ყოველ შემთხვევაში აღმასკომის დადგენილებით ყველა არსებული გაყვანილებანი ვადასინჯულ-შემოწმებულ უნდა იქნენ „ელგანის" კანტროლიორების მიერ. მოქალაქეები, რომელთაც „ზაჰესის" ენერგიით სურთ ისარგებლონ, მოვალენი არიან განცხადება შეიტანონ „ელგანში". ის პირები, რომელნიც განცხადებას არ შეიტანენ, მოხსნილი იქნებიან საერთო ქსელიდან და სინათლე არ მიეცემათ. უკანასკნელ დრომდე შეტანილია შემოწმების შესახებ 1.100 განცხადება. აქედან 900 განცხადებები უკვე დაკმაყოფილებულია.

მევენახეობა

მიწათმოქმედების კომისარიატის მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილების გამოანგარიშებით, სხვა და სხვა სახელმწიფოების მიერ გამოცემულ სტატისტიკურ ცნობების თანახმად, მსოფლიო მევენახეობა ასეთ სურათს იძლევა.

გერმანიაში ყოფილა (უმთავრესად რეინის მხარეზე) ორჯერ მეტი სივრცის ვენახები, ვიდრე საქართველოში.

არგენტინაში—ოთჯერ მეტი.

ბულგარეთში—მთელ ნახევარჯერ მეტი.

შვეიცარიაში—ჩვენი ნახევარი.

ჩეხო-სლოვაკიაში—ამდენივე.

ტუნისში—ჩვენი ვენახების სივრცის ნახევარზე ნაკლები.

ბრაზილიაში—ერთი მესამედი.

ჩილიში—ორჯერ მეტი.

არგენტინაში—ოთხჯერ მეტი.

ავსტრალიაში კი—იმოდენი, რაც ჩვენშია.

აქ არაა მოყვანილი ცნობები საფრანგეთის და სხვა დიდ სახელმწიფოების შესახებ, რადგანაც იქ ტერიტორიის სივრცესთან შედარებით არაა ვენახების დიდი სივრცე.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ადასტურებენ, რომ ჩვენ მევენახეობას ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს მსოფლიო მევენახეობაში.

საბჭოთა კავშირთან შედარებით, მევენახეობის სივრცე ასეთ ციფრებში გამოიხტება: სულ საბჭოთა კავშირში არის 134.900 გექტარი ვენახი (გექტარი 0,9 დესეტ. უდრის), ამიერ-კავკასიაში აქედან მოდის ნახევარი, ხოლო ამიერ-კავკასიაში საქართველოს ვენახებს უკავიათ სამ-მეოთხედ სივრცეზე მეტი, ანუ 35.000 გექტარზე მეტი.

საქონლის ჭირი

გორის მაზრაში

საქონლის ჭირმა საქართველოში ისევ მიიღო საშიში ხასიათი. განსაკუთრებით დაზარალდა გორის მაზრა. ამას წინეთ მიწათმოქ. კომისარიატმა იქ გაგზავნა ბეითლები და იქ უკვე აუცრეს 2.326 სულ საქონელს. საქონლის ჭირმა განსაკუთრებით დააზარალა სოფ. წინარეხი, თვალადი, ნადარაანთ-კარი, ჩივაანთ-უბანი და გუდარეთი.

საქონლის აცრამდე ამ სოფლებში ჭირით დაიღუპა 40 სულამდე.

დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრაში უკანასკნელათ თავი იჩინა საქონლის დაავადმყოფებამ ციმბირის წყლულით და ციებ-ცხელებით.

ბევრ სოფლებში გაჩნდა აგრეთვე ცხვრის ყვავილი. ზოგან ძლიერ დაზარალდენ ცხვრის ფარები.

თელავის მაზრაში

უკანასკნელი ცნობებით საქონლის ჭირმა თავი იჩინა თელავის მაზრაშიაც. განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო ჭირის გავრცელებამ პანკისისა და ახალსოფლის რაიონებში.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საბეითლო განყოფილება იქ ახლო ხანში გაგზავნის ბეითლებს და შრატს.

პროლეტარული მწერლობის ამოცანები ჩვენში*)

III.

ფორმალურ ამოცანებში ყურადსაღებია აგრეთვე ერთი მომენტი: ამბობენ: მთავარი მხატვრულ ნაწარმოებში არა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაა, არამედ სახის პრობლემა; საბოლოო ანგარიშში სახე განსაზღვრავს ნაწარმოებს, როგორც მხატვრულ მოვლენას. ასეთმა შეხედულებამ ტრადიციულათ გაიწოყიერა ნიადაგი; სისტემატიურათ ეს შეხედულება განავითარა პოტებნიამ, მაგრამ მის მსოფლმხედველობაში სახე სრულიადაც არ იყო განკერძოული მოვლენა; ის სრულიადაც არ უპირდაპირდებოდა სახის პრობლემას არც ფორმალურ და არც სააზროვნო (СМЫСЛОВОЙ) მომენტებს პირიქით, პოტებნია თვით ამ პრობლემაში ათავსებდა მხატვრული შემოქმედების ამ ორ მხარეს. თავის ევოლიუციის დღეინდელ საფეხურზე ამ შეხედულებამ სახე თვალუწვდენელ სიმაღლეზე აიყვანა და მხატვრული შემოქმედების ერთად-ერთ ნიშანდობლივ თვისებათ გამოაცხადა ის.

აქ არის აუცილებლათ დიდი შეცდომა; ჯერ ერთი: სახე არ შეიძლება ჩაითვალოს მიუცილებელ თვისებათ პოეზიისა, რადგანაც პოეზიის ისტორიამ იცის მრავალი მხატვრული ფაქტები, რომლებიც ყოველგვარ სახეების (როგორც ეს მათ აქვთ გაგებული, გაგებული კი აქვთ, როგორც მეტაფორიული, ანდა ზოგ შემთხვევაში ალეგორიული მობრუნება აზრის) გარეშე იქმნებოდენ: მაგ. „ვეფხის ტყაოსანი", „ევგენი ონეგინი" და მრ. სხვა.

მეორე: სახე წარმოდგენილია, როგორც ლოღიკური კატეგორია, ე. ი. როგორც ერთ-ერთი მომენტი გვარეობითი მოვლენის, და მესამე: ნაწარმოებს მხატვრული ღირებულება ეწიჭება სახის ფაქტით და არა იმით, თუ როგორაა ეს სახე მოცემული.

სახის პრობლემის ასეთს გაგებაში არის დომხალი და მთელი რიგი პრინციპიალურ შეცდომათა. ზევით აღვნიშნეთ, რომ მრავალია ისეთი დიდი მხატვრული ნაწარმოები, რომლებიც სახეებით სრულებით არ არის შექმნილი, ამის და მიუხედავათ მათი მხატვრული ღირებულება ოდნავათაც არ ნიავდება. შემდეგ, მხატვრული სახე სრულიადაც არ არის ლოღიკური ცნება: ე. ი. ის სრულიადაც არ უპირდაპირდება ინდივიდუალურ საგნებს. პირიქით მხატვრული სახე თვით არის საგანი, მაგრამ საგნობრივობას დაცლილი, ვინაიდან ის გარეშე ქვეყნიდან პოეტის „შინაგან ქვეყანაში" გადადის. აქ არის განცდა საგნის და ამდენათ ეწიჭება მას ემოციური ზემოქმედების უნარი. აი სწორედ ამ ფაქტში: რეალური საგნის სხვათ ქცევაში, მისი „გარეშე მსოფლიოდან" პოეტის შინაგან სამყაროში გადატანაში—იბადება ის, რასაც ჩვენ უწოდებთ მხატვრულ სახეს. შემდეგი საკითხია თუ როგორაა ეს განცდა მიცემული, რაგვარ სიტყვიერ მასალაშია გამართული ის, რაიც განიცადა პოეტმა. ამრიგად: მხატვრული სახე ეს არის პოეტის სხვაგვარი ხილვა საგნის ე. ი. მისი განცდა და ამ განცდილი სახის შესაფერისი სიტყვიერი გამოსახვა (პოეზიაში). აქედან ცხადია, რომ სახე არც ალეგორიაა და არც მეტაფორა, და აგრეთვე არც—ლოღიკური ცნება. საგნის განცდა შინაარსია, ხოლო მისი სიტყვებში გაშლა—ფორმა. აქ ძალაში რჩება ფორმის განსაზღვრა, რომლის მიხედვით ფორმალური მხარე შემოქმედებაში—ეს იგივე საზროვნო მომენტია, აყვანილი მხატვრულ სიმაღლეზე.

ფორმალურ ამოცანებთან დაკავშირებულია ჟანრის საკითხი. ჰკითხულობენ: რა უფრო სჭირია პროლეტარულ მწერლობას: ეპოსი, ლირიკა თუ დრამა. საკითხის ასეთი დაყენება თავისებურ უხერხულებას ჰქმნის, თუმცა თანამედროვე ხანაში ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები უნდა შეიცავდეს როგორც ეპიურსა და ლირიულს, ისე დრამატიულ ელემენტებსაც, მაგრამ ისტორიულათ მრავალია ისეთი ფაქტი, როდესაც ყოველი მათგანი მოცემულია თავისი წმინდა სახით. (მაგ. განთქმული პოემები „ილიადა", „ოდისეია"). უხერხულება მდგომარეობს იმაში, რომ საკითხის ასეთი დაყენება ამარტივებს და აერთფეროვანებს პროლეტარულ შემოქმედებას. პროლეტარული მწერლობა უნდა გახდეს მრავალფეროვანი. მან არ უნდა გააბატონოს ერთი რომელიმე ჟანრი. პროლეტარიატს სჭირია, როგორც ეპოსი, ისე ლირიკა და დრამაც. რასაკვირველია, ეს არის ნიჭის და უნარიანობის საკითხი.

ფორმალურ ამოცანებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიტყვის ამოცანას. მაგრამ ჩვენ სიტყვის ამოცანა დავუკავშირეთ ფორმის პრობლემას, რადგანაც სიტყვიერი მასალის განწესრიგება ეს იგივეა, რასაც ფორმა ეწოდება. მაგრამ ამავე დროს იმასაც ხაზი გაუსვით, რომ სიტყვა ორ მომენტს ჰგულისხმობს: აზრს და ბგერას; და პროლეტარული შემოქმედების ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სიტყვის ეს ორი ელემენტი ისე უნდა გამთლიანდენ შემოქმედების ფაქტში, რომ მკითხველმა შესძლოს სინამდვილის შეცნობა არა მარტო აზრით, არამედ ბგერებითაც. რაც შეეხება პოეტურ და პრაქტიკულ ენას, როგორც განსაკუთრებულ კატეგორიებს, უნდა ითქვას, რომ პროლეტარულ მწერლობაში პოეტური ენა არ უნდა უპირდაპირდებოდეს პრაქტიკულ ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე ურთიერთობაზე ლაპარაკი მკითხველსა და ნაწარმოებს შორის უაზრობა: მკითხველმა უნდა გაიგოს პოეტის ენა, ეს არის უმთავრესი პირობა, რომ მხატვრულმა ნაწარმოებმა ემოციონალურათ დაიპყროს ის. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს პოეტურ ენის გაპრიმიტივებას და მის ვულგარიზაციას. ნამდვილი და სალი ნიჭი ამ ამოცანასაც გადასწყვეტს.

თემატიკის მხრივ პროლეტარული მწერლობა ერთფეროვანია. ზოგი პოეტი ასე ჰფიქრობს და აზროვნებს: თუ მან არ დასწერა ამერიკის ბირჟის ვაკხანალიის ამბებზე, ისე ის პროლეტარული მწერალი არ არის, თუ მან ყოველი ფეხის ნაბიჯზე არ თქვა: გაუმარჯოს კლასთა ბრძოლას, გაუმარჯოს სამოქალაქო ომს, ძირს მსოფლიო კაპიტალიზმი და გაუმარჯოს კომინტერნს, მას თითქოს ჩამოართმევენ პროლეტარულ მწერლის სახელწოდებას. ასეთი შეხედულება აუცილებლად შემცდარია. თავის თავად ცხადია, რომ პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი მასალათ უნდა მიჩნეულ იქნას რევოლიუციონური სინამდვილე და მუშათა კლასის სულისკვეთება. მაგრამ ეს სინამდვილე და ეს სულისკვეთება ისეთი ფართო და დიდია, რომ ისინი არ ამოიწურება ქარხნისა და ბირჟის პრობლემებით. ახალი ადამიანი, ახალი ყოფა-ცხოვრება, ზნეჩვეულება, ახალი ქალაქი და ბოლოს ახალი სოფელი,—აი ის მომენტები, რომლებსაც, რასაკვირველია, „ქარხნის პრობლემა" განსაზღვრავს, მაგრამ რომელთაც საკუთარი მნიშვნელობაც გააჩნიათ. რუსეთში ამ მხრივ მდგომარეობა უფრო კარგია. იქ ძლიერის ტემპით ვითარდება ახალი სოფლის და მუშის ყოფა-ცხოვრების პოეზია (ნევეროვი, დორონინი, პლატოშკინი,—განსაკუთრებით მისი „НОВОБЫТНОЕ", შუბინი და მრ. სხვ.) ჩვენში კი მდგომარეობა ჯერ-ჯერობით უნუგეშოა. აქ ყველაფერი გვაქვს: დეკლარაციები, მორთულებები, გრძელ სტაჟიან პოეტების გრძელი „პოემები", ონისიმეს იუმორიც, ცალკე წიგნებიც დაბეჭდილი; მაგრამ ჩვენმა პროლეტარულმა მწერლებმა ჯერ ვერ მოგვცეს ვერც სოფლის და ვერც ახალი ყოფა-ცხოვრების პოეზია. ეს სხვათა შორის იმ გარემოებაშიც მჟღავნდება, რომ მხატვრული პროზა ჩვენში ძლიერ მოისუსტებს. იქმნება ახალი ყოფა და ახალი ზნეჩვეულება; და უპირველეს ყოვლისა ამ მოვლენებმა მხატვრულ ლიტერატურაში უნდა ჰპოვოს თვისი გამოხატულება. საქართველოში მხოლოდ სევასტი თალაკვაძემ სცადა ყოფა-ცხოვრების საკითხების დაყენება და თავისებური გადაჭრაც. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენათ მხატვრულათ მოგვცა ეს საკითხი „ოჯახი"-ს ავტორმა. მაგრამ პირველმა რომ მან წამოაყენა ეს საკითხი მხატვრულ ლიტერატურაში—უდაო ფაქტია. საუბედუროთ ქართული კრიტიკა მჭერმეტყველიური სიჩუმით შეხვდა ამ მოვლენას.

საჭიროა ამ მხრივ პროლეტარულმა მწერლებმა მდგომარეობა გააჯანსაღონ. ნიჭიერი პოეტი იონა ვაკელი ძლიერ სწუხს ამერიკის ამბებით და თვისი პიესა „ხანგიზი" სწორეთ ამ „ამბებზე" ააშენა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მას ამ მხრივ ძლიერი პროგრესი ემჩნევა: დასწერა „ნასაკირალი" და ამით საფუძველი ჩაუყარა 1905 წლის რევოლიუციონური სინამდვილის მხატვრულ ლიტერატურის სერიებს. ნოე ზომლეთელი ძლიერ გაიტაცა გრძელ პოემების იდეამ; ზოგი ამ პოემის ღირებულება ნოე ზომლეთელს ჰქმნის ონისიმეს ფალავნათ. „ქალაქის" ავტორისაგან ჩვენ მეტს მოვითხოვთ. არ იქნება გადამეტება, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე უფრო ნოე ზომლეთელს შეუძლია შექმნას ნამდვილი პოეზია ახალი სოფლის, ახალი ყოფა-ცხოვრების. სოფლის პოეზია არ ნიშნავს გლეხურ მწერლობას. გლეხის სულისკვეთება პროლეტარული თვალსაზრისით განხილული, ნამდვილი კავშირია გლეხობასთან ლიტერატურაში. ეს ლიტერატურული კავშირი პოლიტიკური კავშირის გამოხატულება იქნება, თუ ის (ლიტერატურული კავშირი) პროლეტარული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით იქნება განათებული.

თავისთავად ცხადია, რომ პროლეტარულმა მწერლებმა თავისი შემოქმედება არ უნდა შემოფარგლონ ქალაქისა და სოფლის ახალი ყოფის პოეზიით. მათ წინაშე კიდევ სხვა ამოცანებია: „ნეპმანები", ინტელიგენცია, მეშჩანობა. პროლეტარულმა მწერლებმა უნდა შეისწავლონ მათი ცხოვრება, მათი სულისკვეთება, რომ შესძლონ ამ წრეების მხატვრული ჩვენება.

გერმანელ კომუნისტმა გეორგ გროსმა დასწერა ერთი სენსაციური წიგნი: „ხელოვნება განსაცდელშია". თავიდან ბოლომდის ამ წიგნში მოთხრობილია ის დეკადანსი, რასაც განიცდის ბურჟუაზიული ხელოვნება. და იმისდა მიუხედავათ, რომ ავტორი აქ არ იძლევა პროლეტარული მწერლობის სისტემატიურ შეხედულებას, ამ ნაწარმოებს არ დაუკარგავს ამით პროლეტარული შემოქმედების ღირებულება. ეს ფაქტი ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ პროლეტარულმა მწერლებმა უნდა სწერონ ბურჟუაზიულ ცხოვრებაზედაც, რასაკვირველია, პროლეტრული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით.

უნდა ითქვას, რომ ნორმატიული თემატიკა შინაგან წინააღმდეგობის შემცველია. პოეზია შემოქმედებაა და მაშასადამე პოეტს, შემოქმედს, ვერ ეტყვით არ ამაზე სწერე და ამაზე ნუ სწერო. პოეტს ყველაფერზე წერა შეუძლია. მაგრამ პროლეტარულ პოეტს ამავე დროს ვეუბნებით: ყოველთვის და ყველგან პროლეტარული მსოფლმხედველობა უნდა შეინარჩუნო; წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარული მწერალი ვერ იქნები და არც იქნები.

თემის შერჩევა ნიჭისა და შემოქმედების საქმეა, მაგრამ ამ თემის გაშლა, განსაზღვრული თვალსაზრისით საგნის განცდა, საგნის სხვაგვარი ხილვა—იდეოლოგიის საკითხია.

ასეთია მოკლეთ, სქემატიურათ პროლეტარული მწერლობის შემოქმედების და შემოქმედებითი გზები.

ისტორიულათ პროლეტარული მწერლობა მოწოდებულია დაიპყრას ჰეგემონია ლიტერატურის სფეროში. ამ შემოქმედებითი დაპყრობით პროლეტარული მწერლობა შეჰქმნის ისეთ ელემენტებს, რომლებიც საფუძვლათ დაედება ახალ, საკაცობრიო ლიტერატურას. მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს და ცეკას რეზოლიუციაშიც ეს მკაფიოთ არის აღნიშნული, რომ ჰეგემონია შემოქმედებითი, და არა ადმინისტრატიული გზით უნდა იქნას დაპყრობილი. ეს კი—როგორც აღვნიშნეთ—შესაძლოა, თუ პროლეტარული მწერლობა დაამუშავებს ფორმალურ ამოცანებს შემოქმედებისას, ე. ი. თუ ის თავის თავს მატერიალურადაც გაამართლებს. ობიექტიურათ ამის ნიადაგი შეიქმნება მაშინ, როდესაც ლიტერატურულ სინამდვილეში ბუხარინის მიერ წამოყენებულ დებულებას თავისუფალი კონკურენციის ანარქისტული პრინციპის შესახებ, პროლეტარული მწერლები ორგანიულათ შეითვისებენ და შეხედენ მას, როგორც აუცილებელ პირობას თავისი შემოქმედების ფორმალური გაუმჯობესებისას. ნიშნავს თუ არა თავისუფალი კონკურენციის პრინციპი ლიტერატურაში უგეგმობას და პარტიის მხრით ლიტერატურის საკითხებისადმი ხელმძღვანელობის უარყოფას? ამ საკითხზე ცეკას რეზოლიუციაში გარკვეული პასუხი მოიპოება. ეს საკითხი უკავშირდება თანამგზავრობის საკითხს.

საქართველოს პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი ამოცანები დაახლოვებით იმავე საკითხებით ამოიწურება, რომელზედაც ლაპარაკი გვქონდა ზევით და აგრეთვე მეორე წერილშიც.

უკანასკნელ ხანებში საქ. პროლეტარულ მწერლობის გამოცოცხლება უნდა აიხსნას იმ ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოსვლით, რომლებიც მოევლინა ჩვენი ლიტერატურის სინამდვილეს „პროლემაფის" და „რამის" სახით. ეს მიმართულებანი არ არიან განსაკუთრებული სკოლები. მათი ამოცანაა პროლეტარული მწერლობისათვის საკუთარი ლიტერატურული ორიენტაციის შექმნა, ამდენათ ამ მწერლობის ესთეტიური გამართლება. ამ მხრივ „რამის" გამოსვლა დადებითი მოვლენაა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ „რამ"-ი მარტო დეკლარაციით არ დაკმაყოფილდება და გვიჩვენებს შემოქმედების ნიმუშებსაც, ეს მით უფრო, რომ მის ირგვლივ თვალსაჩინო ნიჭიერი ძალებია შეკრებილი. მათი ჟურნალი, რომელიც უნდა გამოიცეს ამ დღეებში, დაგვანახვებს შემოქმედებასაც.

როგორია ორგანიზაციული ამოცანები საქართველოს პროლეტარული მწერლობის? ამ საკითხში ორი მომენტია, შინა ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მუშაობა. საზოგადოებრივი მუშაობის მომენტი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა დაკავშირებულია ყველა იმ ამოცანებთან, რომლებიც განსაზღვრავენ გაერთიანებულ მწერალთა ლიტერატურულ და იდეოლოგიურ მსოფლმხედველობას. აქვეა პრობლემა ქართული თანამგზავრობისა, რაიც ორგანიზაციულათ მწერალთა გაერთიანებულ ყრილობაში გამოიხატა. დაწვრილებით ამის შესახებ დასასრულ წერილში.

შ. ღუღუჩავა.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 109 და 113, 1926 წ.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

მესამე და მეოთხე სხდომებზე გრძელდება ინსტრუქტორების მოხსენებები ადგილებიდან. შორაპნის მაზრის კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ხარაიძე.** მოხსენებიდან ირკვევა, რომ აქაც ისეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი, როგორც დანარჩენ მაზრებში.

ახალციხე-ახალქალაქის მაზრების კოოპერატივების მდგომარეობას აუწერს ყრილობას ამხ. **ბაშინჯაგიანი.**

ბათომის მუშათა კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ გამოდის ცეკავშირის გამგეობის წევრი ამხ. **ბერძენიშვილი.**

მუშკოოპმა გასული წელი დაამთავრა 49 ათასი მანეთის დეფიციტით. წელს უკვე კოოპერატივს ეს დეფიციტი დაფარული აქვს.

საძოვრები

საზაფხულო სეზონი ჯავახეთის საძოვრებზე დაიწყო 15 მაისიდან. საძოვრებზე ცხვარი მორეკეს, როგორც ადგილობრივმა მწყესებმა, ისე საქართველოს სხვა კუთხეების მწყესებმაც. სეზონის დაწყებამდე დამთავრდა საძოვრების განაწილება სხვადასხვა კუთხის მწყესებს შორის. სხვადასხვა კუთხის ცხვრისათვის, საძოვარი ადგილების მისაჩენად და აგრეთვე იმ დავის და უთანხმოების მოსაწესრიგებლად, რომელიც შეიძლება აღიძრას საძოვრების სარგებლობის დროს მოსულ და ადგილობრივ მწყესებს შორის, მოწყობილ იქნა საძოვრების საგანგებო მილიცია, რომელიც გაგზავნილ იქნა საძოვარ ადგილებზე და ცხვრის ფარის სამიმოსვლო გზებზე. ცხვრების საძოვრებზე მორეკა ჯავახეთის საძოვრებზე დაიწყო მაისის დამდეგს. როგორც ცნობა იყო, მაისის საშინელმა სიცივეებმა და წვიმებმა ცხვრის ფარა ძალიან დააზარალა. ამოხოცილია დაახლოებით 6 ათასი ცხვარი.

თელავის მაზრა

მაისის საშინელმა სიცივეებმა და წვიმებმა დააბრკოლეს ცხვრის ფარის გარეკა საზაფხულო იალაღებზე, სადაც ალაგ თოვლიც დასდო, მთელი კვირა-ნახევრის განმავლობაში დიდი ძალ ცხვრის ფარას გარეკა შეჩერებულ იყო. ცივ გომბორის მთის საძოვრებზე უკანასკნელ დღეებში თოვლი უკვე დადნა და მწყემსები გაემართენ იალაღებისაკენ.

ბორჩალო

ხანგრძლივმა წვიმებმა და ნიაღვრებმა შეაჩერეს ცხვრის ფარის და მსხვილფეხა საქონლის ჯოგის მსვლელობა სომხეთის საზაფხულო იალაღებისაკენ. გამოდარების შემდეგ კვლავ განახლდა საქონლის მოძრაობა საზაფხულო საძოვრებისაკენ. სადგურ სანდარიდან დაწყებული სომხეთის საზღვრებამდე გზატკეცილი დაკავებული აქვს ქიზიყიდან მომავალ მწყესების ჯოგებს და ცხვრის ფარას.

სამხრეთ-ოსეთი

სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიმდინარე სეზონისათვის 6798 მანეთად გადასცა 18 საძოვარი უბანი (სულ 12.795 გექტარი) ოს, ხევსურ და მოხევე მწყესებს. კომისარიატს განზრახული აქვს მწყესებს გადასცეს კიდევ იჯარით 32 საძოვარი. ჩრდილოეთ კავკასიის ოსი მწყესების საიჯარო სარგებლობისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ზემოხსენებულ მწყესების თხოვნის თანახმად, გამოყოფილია საძოვარი უბნები როკის რაიონში.

ბამბის ნათესები

ქვემო-იმერეთში ომამდე ბამბით დათესილი იყო 110 დესეტინა, 1924 წელს—1002 დესეტინა, ხოლო მიმდინარე სეზონში დათესილია —1500 დესეტინა. შემოდგომის პურით იმავე მაზრაში ომამდე დათესილი იყო 363 დესეტინა, 1924 წელს—760 დესეტინა; მიმდინარე სეზონში დათესილია—800 დესეტინა; სიმინდის ყანებს მთელ მაზრაში ომამდე ეჭირათ 65.023 დესეტინა; 1923 წელს—51.600 დესეტინა. 1924 წელს—68.629 დესეტინა, ხოლო მიმდინარე სეზონში სიმინდით დათესილია 70.000 დესეტინა. ვენახების სივრცე ომამდე უდრიდა 4.212 დესეტინას, 1917 წელში—5.865 დესეტინა, 1924 წელს—4.467 დეს., ხოლო ამჟამად კი უდრის—4.900 დესეტინას.

ბაღჩებს და ბოსტნებს 1916 წელს მთელ ქვემო-იმერეთში ეჭირათ 235 დესეტინა, 1923 წელს—420 დესეტინა, 1924 წელს—288 დეს., ხოლო ამჟამად—300 დესეტინა.

მევენახეობის აღსადგენად

სამეცნიერო-საცდელ დარგში 1925—26 წლისათვის შემუშავებული გეგმა შესრულებულია თითქმის 100 პროცენტ.. საქარის სახალხო მამულის მევენახეობა-მეღვინეობის სადგურზე შეგროვილი და დამყნილ იქნა დასავლეთ საქართველოს ვენახების თითქმის ყველა მთავარი ჯიშები. მიმდინარე გაზაფხულზე დამზადებულ იქნა 200.000 ცალი ამერიკულ ლერწზე დამყნილი ვაზი. აქვე გაშენებულ იქნა ვაზების ახალი სანერგე.

ამავე დროს დაიწყო დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონების გამოკვლევა. საცდელ სამეცნიერო დაწესებულებებში.

ამჟამად მუშავდება საკითხი დასავლეთ საქართველოს ვენახების ხელოვნური განოყიერების შესახებ. ამასთან ერთად სწარმოებს 1923—24—25 წლის მოსავლის ღვინის ანალიზი. ამ ანალიზის მიზანია გამოარკვიოს დასავლეთ საქართველოს ღვინოების საშუალო ნორმალური შემადგენლობა.

ნათესები

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით ნათესების საერთო მდგომარეობას საქართველოში გამოხატავს შემდეგი ნიშნები:

შემოდგომის ნათესი პური და ქერი—3,8, გაზაფხულზე ნათესი პური—3, გაზაფხულზე ნათესი ქერი—3,5; ხილის ბაღები—3,5; თხილი—3,3 ბოსტნები—3,5; ბაღჩები—3,8; სათიბები—2,6; თამბაქო—3,6; ჩაი—4,9; ციტრუსები—3,3; კარტოფილი—3,5; ბამბა—3,0.

კერძოთ ნათესების მდგომარეობა დასავლეთ **საქართველოში** ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: საშემოდგომო პური და ქერი—3,9; საგაზაფხულო პური—3,5; საგაზაფხულო ქერი —3,2; საგაზაფხულო ჭვავი—2,8; სიმინდი—3,3; ვენახები—3,8; ხილის ბაღები—13,7; თამბაქო—5,0; ბამბა—3,0.

დასავლეთ საქართველოში: საშემოდგომო და საგაზაფხულო პური—3,1; საგაზაფხულო ქერი—2,9; სიმინდი—3,0; ვენახები—3,1; სახილე ბაღები—3,2; ჩაი—3,5; ბამბა—2,5.

ყველაზე უფრო ცუდს მდგომარეობაში არის საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესები ახალქალაქის მაზრაში—(2.7); ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში გორის მაზრაში (3,9); ყველაზე ცუდი სიმინდია ქუთაისის მაზრაში (2,5); ყველაზე უკეთესი სიღნაღის მაზრაში (5,0); ყველაზე ცუდი პირი უჩანს ვენახებს ზუგდიდის მაზრაში (3,0); ყველაზე კარგი დუშეთის მაზრაში (4,5).

მაისის მეორე ნახევარში უმნიშვნელო სეტყვა მოვიდა ახალქალაქსა და ზუგდიდის მაზრებში. მთელს რესპუბლიკაში წვიმიანი დარებია.

აბრეშუმი

მიმდინარე სეზონისათვის საქართველოს მეაბრეშუმეებს დარიგებული აქვთ 100 ათასი კოლოფზე მეტი აბრეშუმის თესლი. წელს დარიგდა, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთ დამზადებული თესლი.

დასავლეთ საქართველოში აბრეშუმის ჭიის გამოჩეკვა დაიწყო აპრილის დამლევს და მაისის დასაწყისში, აღმოსავლეთ საქართველოში—მაისში.

აბრეშუმის ჭიის გამოკვების საქმე შეაფერხა წვიმებმა და ცუდმა ამინდებმა. მიუხედავათ ამისა, როგორც გაჩეკვა ისე ჭიების კვება წესიერად მიმდინარეობს. სიცივეები და არახელსაყრელი ამინდი—ცხადია დააგვიანებს აბრეშუმის პარკის მოწევას 2-3 კვირით. საერთოდ აბრეშუმის პარკის მოსავალს კარგი პირი უჩანს. აბრეშუმის პარკის ფასები ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის. აბრეშუმის პარკზე ფასების განსაზღვრა დამოკიდებულია უცხოეთის ბაზრის მდგომარეობაზე. საერთოდ, მოსალოდნელია ფასების მომატება იმასთან შედარებით, რაც გასულ წელს იყო.

საქართველოს აბრეშუმის პარკის გატანას უცხოეთის ბაზარზე მიმდინარე სეზონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან საფრანგეთში და იტალიაში ცუდი ამინდების გამო წელს აბრეშუმის პარკის მცირე მოსავალია მოსალოდნელი.

აბრეშუმის პარკის ექსპორტი

ა.-კ. სავაჭრო წარმომადგენლობას ხელშეკრულება აქვს დადებული იტალიის კომერციულ ბანკთან აბრეშუმის პარკის მოსავლის მიწოდების შესახებ. ამ ხელშეკრულების ძალით იტალიის კომერციულ ბანკისათვის დამზადებულ უნდა იქნეს 15 ათასი ფუთი ხმელი პარკი. დამზადება მინდობილი აქვს საქ. საზ. „აბრეშუმს". თვითეულ ფუთი ხმელ პარკის დასამზადებლად საზოგადოება ბანკიდან ღებულობს 7,5 გირვანქა სტერლინგს. საზ. „აბრეშუმმა" იტალიის კომერციულ ბანკიდან სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების საშუალებით უკვე მიიღო 60 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ლიბანის სანატორიუმი

1924 წლის იანვარში ა.-კ. რკ.-გზ. დამზღვევმა სალარომ განიზრახა დაზღვეულ რკინისგზელთათვის ცალკე სანატორიუმის აშენება. კურორტის ასაშენებლად საუკეთესო ადგილად იქნა მიჩნეული ლიბანი (ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში, დიდსა და პატარა ცემს შუა) და 1924 წლის ივნისიდან უკვე დაიწყო შენობის აგება.

ეს სანატორიუმი სადგ. ლიბანზე დაშორებულია 3 მეოთხ. კილომეტრით. სანატორიუმი ლთა სამკურნალოდ. სადგ. ლიბანიდან სანატო- შენდება ფილტვებით დაავადებულ რკინისგზე- რიუმამდე გაყვანილია გზატკეცილი.

სანატორიუმი ნავარაუდევია 120 ავადმყოფისათვის და მას შეუძლია წლის განმავლობაში გაატაროს 700 ავადმყოფი. სანატორიუმი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში. უკვე აშენებულია სანატორიუმის მთავარი კორპუსი, ხუთი სახლი სანატორიუმის მოსამსახურეთათვის და შენობები: ელექტრო-სადგურისათვის, ცენტრალური გათბობისათვის, სამრეცხაოსათვის, აბანოსათვის, გარაჟისათვის და სხ.

მთავარი კორპუსი წარმოადგენს ორ-სართულიან შენობას, რომლის ცენტრალური ნაწილი შესდგება ოთხი სართულისაგან. ყველა ოთახები ავადმყოფებისათვის მოთავსებულია სამხრეთ მხარეზე; შენობის მეორე სართულში არის საკონცერტო დარბაზი. მეორე სართულის ბანზე, შენობის მთელი სიგრძით, მოწყობილია ფარდული ავადმყოფების დღისით დასაწვენად. მეორე, მესამე და მეოთხე სართულის ღია ბანებიდან მოსჩანს მწვერვალები ცხრა წყაროს მთებისა და ბორჯომ-ბაკურიანის ხეობის.

სანატორიუმი მთელი მოწყობილობით დაჯდება 1. 300.000 მან. მისი გახსნა განზრახულია წლეულს შემოდგომაზე.

წითელ ჯარში

სამოქალაქო ორგანიზაციების მორიგი ამოცანები ტერიტორიალურ მშენებლობის დარგში

15 მაისიდან დაიწყო სწავლება 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის, რომელნიც დაყოფენ წითელ ყაზარმაში 1 აგვისტომდე. რომ უფრო შინაარსიანათ და ნაყოფიერად ჩატარდეს მეცადინეობა, ახალგაზრდობის შეკრება მოხდა ლეგიონის მასშტაბით: 1903 წელში დაბადებულ ცვალებადთა შეკრებასთან ერთად წერტებიდან (პუნქტებიდან) მოიხსნა ძირეული (საკადრო) შემადგენლობაც. ახალგაზრდობის წინასწარი მზადების ასეთი სისტემა რამოდენიმეთ ართულებს შეკრებათა შორის მუშაობის ჩატარებას და საერთოდ იმ ცვალებადელთა მასაში მუშაობას, რომლებიც დაბადებული არიან 1900—1901—1902 წლებში და იმყოფებიან თავიანთ საცხოვრებელ და სამუშევარ ადგილებში. თუ გასულ წელს საკადრო შემადგენლობა უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცვალებადთა შორის მუშაობას, წელს ჩვენ ამას მოკლებული ვართ, ვინაიდან ძირეული შემადგენლობა საგრძნობი მანძილით არის დაშორებული ცვალებადელებს. სწორედ ეს მდგომარეობა აყენებს სამოქალაქო ორგანიზაციების წინაშე სერიოზულ ამოცანას. ცვალებადთა შორის მუშაობის სიმძიმის ცენტრი ამ პერიოდში სწორედ მათზე უნდა იყოს გადატანილი. ტერიტორიალური სისტემის თავისებურობა ნაწილობრივ იმაში გამოიხატება, რომ ტერიტორიალური მშენებლობა ეს არ არის მარტო სამხედრო ორგანიზაციის საქმე, არამედ მასთან მჭიდროთ არიან დაკავშირებული სამოქალაქო ორგანიზაციებიც.

როგორც ზევით იყო აღნიშნული ცვალებადთა შორის მუშაობა ამ ხუთი თვის განმავლობაში, დაეკისრებათ ადგილობრივ ორგანიზაციებს. მათი ამოცანაა მჭიდროთ დაუკავშირდენ იმ ცვალებადელთა მასას, რომელიც იმყოფება ქარხნებში და სოფლად. ცვალებადელთა შორის სამუშაოთ და მათთან კავშირის დასაჭერათ საჭიროა ფართოდ გამოყენებული იქმნეს რწმუნებულთა ინსტიტუტი. რწმუნებულთა მუშაობას უნდა ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი პარტიული კომიტეტი; დრო გამოშვებით უნდა ეწყობოდეს მათი თათბირები, სადაც მათ უნდა მიეცეს გარკვეული დირექტივები ცვალებადთა შორის სამუშაოთ. გარდა ამისა რწმუნებულთა მუშაობა მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული კომუჯრედებთან, ცვალებადი წითელი არმიელები მიწვეული უნდა იქმნენ კომუჯრედთა ღია კრებებზე, გარდა ამისა აუცილებლად საჭიროა, რათა ტარდებოდეს ცვალებადელთა სპეციალური კრებები, ქარხნის, თემის, სოფლის მასშტაბით, საჭიროა აგრეთვე, რათა კედლის გაზეთებში შუქდებოდეს ცვალებადთა ყოფა-ცხოვრება.

მოსახლეობის გასამხედროებისა და სამხედრო პროპაგანდის დარგში ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს, რათა არ დაიშალოს ის სამხედრო კუთხეები, რომელთ მოწყობაზე საკმაო ენერგია აქვს დახარჯული ჯარის ნაწილებს. საქართველოში ამჟამად ითვლება 119 სამხედრო კუთხე. სამხედრო კუთხეებში მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა დაევალებათ ადგილობრივ პოლიტგანებს, რომლებიც ვალდებული არიან მჭიდროთ დაუკავშირდენ სამხედრო ორგანიზაციებს. აშკარაა რომ ეხლა სამხედრო კუთხეში არ სწარმოებს ისეთი მუშაობა, როგორც იყო სამხედრო ნაწილების წერტებზე ყოფნის დროს. ძნელი იქნება სამხედრო დარგიდან ლექციების კითხვა სათანადო ძალების არყოლის გამო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხედრო კუთხეებმა უნდა შეწყვიტონ არსებობა. სამუშაო ბევრია: პოპულიარული ლიტერატურის განხილვა, გაზეთ „წითელი არმიელი"-ს ხმა-მაღლა კითხვა და სხვა.

ამ საზაფხულო პერიოდში ჩატარებული იქნება ცვალებადთა კრებები და კონფერენციები ლეგიონის ფარგლებში. მოსამზადებელი მუშაობა ამისათვის ჩატარებული უნდა იქნეს ადგილობრივი ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით.

ზემოაღნიშნული მუშაობის სათანადოთ ჩატარებისათვის საჭიროა, რათა პარტიულმა კომიტეტებმა გამოჰყონ ერთი წევრი, რომელიც უშუალოთ უნდა ხელმძღვანელობდეს ტერიტორიალური მშენებლობის დარგს. გამოყოფილი ამხანაგი მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს სათანადო ტერიტორიალური ნაწილის ხელმძღვანელს, საიდანაც მიიღებს ახსნა-განმარტებას მუშაობის შესახებ.

ადგილობრივი ორგანიზაციების ენერგიული მუშაობით და ამ საქმისადმი დაინტერესებით შევსძლებთ შევასრულოთ ის დიდი ამოცანა, რომელიც წამოყენებულია ტერიტორიალურ მშენებლობის დარგში.

ნ. პლუაშვილი.

ქრონიკა

უფშემადგენლობის სახელმწიფო დაზღვევა

მოსკოვი, 3 ივნისი. საბჭოთა კავშირის საზღვაო და ფინანსთა სახ. კომისარიატებმა დაამტკიცეს ინსტრუქცია წითელი არმიის საკადრო უფშემადგენლობის დაზღვევის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და სამხედრო მოსამსახურეები

რესპუბლიკის სამხ-სარევ. საბჭოს ბრძანებით ყველა ნაწილების მეთაურთ ევალებათ მტკიცედ შეითვისონ და აუხსნან წითელ-არმიელებს 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულება და წესები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების დროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის დაწესებულ შეღავათებს. ადგილებზე გაცემულია განკარგულება, დამზადებულ იქნეს მოწმობები შესაფერი ფორმით შეღავათების მისაცემად.

მეხუთე ოლიმპიადა

ივლისის შუა რიცხვებში თბილისში გაიმართება კავკ. წითელ დროშოვან არმიის საპორტო ოლიმპიადა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებს ქართული ჯარი. ნაწილები უკვე შეუდგენ სათანადო მზადებას.

მუშაობა ბანაკში

(მესანგრე ასეული)

ჩვენი ასეულის წითელ არმიელების მეტ ნაწილს პირველად უხდება ბანაკად ცხოვრება. მიუხედავად ამისა ისინი ყოველივე დავალებას კარგათ ასრულებენ და ერკვევიან საშინაო ცხოვრების საკითხებში.

მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. ხშირად იმართება კრებები და საუბრები, რომლებშიაც წითელ არმიელნი მხურვალე მონაწილეობას იღებენ.

ნაწილი ყოველდღე გადის მინდვრათ პრაქტიკულ მეცადინეობის საწარმოებლად. ვმუშაობთ: აფეთქების, ბეგემის და გზების გაყვანის საქმეში.

გ. ლ.

მეთაურთა სკოლა ბანაკად

სკოლა მოეწყო ბანაკად და შეუდგა მეცადინეობას საზაფხულო ცხრილის მიხედვით. კურსანტები მეტად არიან დატვირთულნი მრავალი საგნებით, თავისუფალი დრო თითქმის სრულიად არა აქვთ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მეცადინეობა არ ფერხდება. სამხედრო საქმის პრაქტიკულად გავლა უკვე დაიწყო. დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე სკოლის გარეშე განათლების დარგში.

ზ. ქ.

მუშათა ცხოვრება

სალამი ლამისყანის კომუნას

ხალხის მძლავრ ნებისყოფამ
მტრები ყველგან მოღუნა:
სამთავისის კომუნას
მოჰყვა კიდევ კომუნა
ლამისყანამ დასძახა—
ოროველა, ჰოპუნა;
წარსულის ბნელი წყლული
ახალ დრომ გამოკურნა.
საძირკველზე საძირკველს
ზედ ებმება სართული,
ერთი მეორეს მისდევს
მჭიდროდ გადახლართული;
ყველა თავის დანაკისრ
საქმით არის გართული,
მოხუციც კი სიამით
სდგას წელში გამართული.
ურთი-ერთის საშველად
გარდაქმნილან ხალისათ,
მოძმის წყენა-წუხილი
მიაჩნიათ თავისათ.
დღისით შრომის ღიღინი,
ღამით ტკბილი ფანდური,
უწყინარი შენიშვნა,
ხან ძმური და ხან დური;
მათში ვერ იხეირებს
მოღალატე, მაცდური.
ცუღლუტებს არ ასცდებათ
გაგდება და პანღური.
ერთობით იცილებენ
ტანჯვასა და გასაჭირს;
იქ ალაგი არა აქვს
მეტს და ნაკლებ ჯამაგირს.
ბარაქა შრომის ბედელს,
ხორბალს, შეშას და ნახშირს!
გაუმარჯოს მსოფლიოთ
მიზანს, შრომას და კავშირს!!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

„ნიანგის ცრემლები".

(ფელეტონისებური).

— გაგონილა კაცო? ისე ვერსად გაივლი, რომ მუშკორმა თვალი არ მოგკრას და გაზეთში არ გამოგჭიმოს. თუ გინდა, ავიღოთ უბრალო ქეიფი, რესტორანში დროს ტარება,—მეორე ან მესამე დღეს უკვე გაზეთში ხარ გამოჭიმული,—რამდენი დახარჯე, ვის მიეცი, რომელი ავტომობილით გააქროლე და საითკენ გაისეირნე შენი „პაროჩკებით", რამდენი „შემოგეხარჯა", რამდენი „გადააყოლე", ვინ დაჰპატიჟე, როგორ შეგხვდა „ზახარ ზახარიჩი", ან „ბაბაჭუა", როგორი „იმენინი" გქონდა და რა მოუტანეს საჩუქრად შენ მეუღლეს მის დღეობაზე... რამდენი საკუთარი დაგეხარჯა და საზოგადო ფულს რამდენს უყავი ყლაპი...

ასე აღელვებულად უამბობდა თავის გასაჭირს ერთი უზნეო ცხოვრების და სახელმწიფო ფულების ფლანგვას დაჩვეული მოხელე თავის მეგობარს, რომელიც მასთან ერთად მუშკორს გამოეჭიმა გაზეთში ყველა მათ ბოროტმოქმედებებზე მითითებით.

— ვთქვათ, მივლინებაში გინდა წახვიდე,—ამბობს მეორე მოხელე.—კარგათ იცი, რომ ეს მივლინება ერთნაირი „დოხოდნი სტატიაა" და თანაც არხეინად დასეირნობ, და თუ კიდევ „ცალკე ვაგონიცა" გაქვს, მაგას რა სჯობია! ავანსიც, ვთქვათ, კარგა ბლომადა გაქვს ჯიბეში ჩალაგებული! თუ ვინდა, ვლადივოსტოკშიაც ადვილად შეგიძლია წახვიდე, ვითომდა იქ სახელმწიფოებრივი საჭირო და აუცილებელი საქმე გაქვს და სხვ. მაგრამ, უბედურება იმაშია, რომ ამ ოხერ მუშკორებს მაინც ვერაფერს გამოაპარებ და დაუმალავ; ისინი ყველაფერს ხედავენ, ყველაფერი ყურით ესმით, ვინც მაგათ ასეთი ნდობა გამოუცხადა, იმათ რა უთხრა! ჯერ გამურული პირი ვერ დაუბანიათ და კალმით ჯღაბნას მოჰკიდეს ხელი! რა მაგათი საქმეა კალამი, წერა, რა ესმით ამაებისა! მათი საქმეა—ჩაქუჩი და ნამგალი, მორჩა და გათავდა!...

არა, საბჭოთა ხელისუფლებაც რომ ხელს აფარებს ამ ყურუმსაღებს და იცავს? ჰაი გიდი, დროებავ!... ეხლა ეს მომჭირნეობაა და ხომ ზაჰლა წაიღო ყველამ,—გინდა თუ არა, ეკონომიის პოლიტიკა უნდა გაატარო წარმოება-დაწესებულებაშიო, მე რომ მკითხო, რაც საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკაში მუშკორებია, ყველას შევამოკლებდი, ზოგ მათგანს ციხეშიაც უკრავდი თავს; ზოგს „სამსახურის სარგებლიანობისათვის" სხვა ადგილას გავაწესებდი, უფრო შორს, რომ კრინტიც არ დასძრან და არაფერი სწერონ. ვინც ცოტა ხხიერია და ჩვენს მუშაობას ხელს უშლის თავისი ნაჯღაბნით, მას კი იქ გადავგზავნიდი, სადაც „კიბოები ზამთრობენ", ანუ, რუსები რომ იტყვიან—„გდე რაკი ზიმუიუტ"-ო.

ძნელი საქმეა სხვადასხვა კომბინაციების გამოჩარხვა, მაგრამ ისე უნდა მოვახერხოთ, რომ მუშკორების სინსილა გავაქროთ ჯერ, შემდეგ კი გზა ხსნილი იქნება.

— მეკითხები: როგორ ვებრძოლოთ მუშკორებს?

— აი როგორ: ერთხელ დასწერა ხომ შენზე და გაზეთში გამოგჭიმა, არაფერია, აქ დიპლომატიური ხრიკი უნდა გამოიჩინო,—შენც უარყავი გაზეთისავე საშუალებით, თუ დაბეჭდავენ, რასაკვირველია; კიდევ დასწერს—ისევე მოიქეცი; ბოლოს, როცა ხედავს, რომ აღარ გეშვება და შენ ბნელ საქმიანობას ამჟღავნებს არამზადა მუშკორი, შენც, ვითომც და არაფერიაო, დააჯერე ზოგიერთები, რომ მუშკორები ამღვრევენ წყალს და ყველაფერი მათი საქმეა-თქო.

ასეთი შარის მოდებით მუშკორებსაც ბოლოს მოვუღებთ...

— ოჰ, მაგათი ქოქიც გაწყდეს! მაშ, მუშკორების ჯღაბნის შიშით, ჩვენ ვერაფერი ვეღარ უნდა გავბედოთ ისეთი, რომელიც ჩასასინსლავათ გვინდა.

— ჰა, რას იტყვი?

— წავიდეთ, ხედავ. მუშკორები მოდიან?!.. მოხელეები მიიმალენ.

მუშკორი ი.

გამოუქვეყნებელი წერილებიდან

— **უსამართლო მოიჯარადრეს ჭკუა უნდა ასწავლოთ.** სოფ. ცაიში (ზუგდიდის მაზრა), მდ. ჯუმის ხიდის თხრილებზე მუშაობს უამრავი მუშა-ხელი. მუშებმა მიწის ამოღება უკვე მოათავეს და ცემენტის ჩასხმა. მიწის თხრის დროს მუშებს დღიურად ეძლეოდათ რვა აბაზი და ორი კაპეიკი. ცემენტის ჩასხმაში რკინისგზის სამმართველო იძლევა დღიურად ცხრა აბაზს, რაც უნდა მიეცეთ მუშებს. მოიჯარადრე **სპირიდონ ჩაჩუა** კი მუშებს აძლევს მხოლოდ მანეთნახევარს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუშებს ამუშავებს 12 საათის განმავლობაში. ეს გარემოება მუშებს შორის იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას.

საჭიროა მოარჯულოთ ურჯულო მოიჯარადრე. მუშკორი **ფ—ლი.**

— **ეს მუშა-ქალი რისთვის დაითხოვეს?!** თბ. ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში მთელ ორი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად და დაუზარებლად მუშაობდა ამხ. **ნინო არდაზიანი.** ამხ. არდაზიანი მუშფაკშიც სწავლობდა, მაგრამ სამსახურს არ აცდენდა. აქ ბევრჯერ ჰქონდა ადგილი შრომის ექსპლოატაციის; მუშა-მოსამსახურეთ ამუშავებდენ ხშირად განუსაზღვრელ საათების განმავლობაში. ამ უკანონობაზე ხშირად ამხ. ნინო მიუთითებდა ადმინისტრაციას. ამხ. ნინო ადმინისტრაციამ უკვე მოხსნა სამსახურიდან.

შრომის ინსპექციავ, რაშია საქმე? მუშკორი **კარგი.**

— **ზოგის ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.** ოფიციალური დადგენილება იყო გამოცემული შრომის კომისარიატის მიერ, № 1151 და № 14-ით, რათა დაუყოვნებლივ მიეცეთ გასამრჯელო ოთხმორიგეობიან გამომცვლელთ, როგორც დარაჯებს, ისე მეხანძრეებს და სხვა იმ უქმე დღეების, როდესაც მუშაობდენ ზემოთაღნიშნული პირები 1925 წლის 18 თებერვლიდან. დადგენილებაც ვალდებულს ხდიდა ყველა დაწესებულების ადმინისტრაციას, რათა მიეცათ თავიანთ მუშა-მოსამსახურეებისათვის უქმე დღეების გასამრჯელო. ზოგიერთმა ადმინისტრაციამ უკვე გაატარა ცხოვრებაში ზემოაღნიშნული დადგენილებები; მაგალითად, მთავარ სახელოსნოს დარაჯებმა უკვე მიიღეს თაიანთი კუთვნილი უქმე დღეების გასამრჯელო. მაგრამ ეს ეზარება თბილისის საყუდის ადმინისტრაციას, იგი დარაჯებს და მეხანძრეთ არ აძლევს ხვედრ გასამრჯელოს.

შრომის ინსპექციავ, მიიღე ზომები. მუშა **გ. ბ—ახ—შვილი.**

— **რატომ დახურეთ კოოპერატიულ დუქნები?!** პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის ეზოში ამას წინეთ იყო „ზაკტპო"-ს ორი სავაჭრო ფარდული, სადაც იაფ ფასებში იყიდებოდა სხვადასხვაგვარი საქონელი. ამით სარგებლობდენ კლუბის წევრები (მუშა-მოსამსახურეები). ეხლა ორივე ფარდული კლუბის გამგეობამ კერძო მოიჯარადრეებს გადასცა, „ზაკტპო" კი იქიდან გამოასახლეს.

კლუბის გამგეობავ, რაშია საქმე?! მთავარ სახელოსნოს მუშა **ვასო ჩ—ლი.**

— **შეძლებთ თუ არა ოდესმე კლუბის წევრთა კრების მოწვევას?** აგერ მესამეჯერ იწვევს პლეხანოვის კლუბის გამგეობა კლუბის წევრთა კრებას. კრება კი ერთხელაც არ შესდგა. წევრები კრებაზე არ ცხადდებიან. კლუბის წევრთა ასეთი გულგრილობა, ალბათ, უნდა მიეწეროს გამგეობის უყაირათო და უგეგმო მუშაობას. მუშკორი **თბილისელი.**

— **მოწაფეებიც ჩაებენ კულტმუშაობაში.** 30 მაისს მე-32-ე სკოლის მოწაფეებმა მოაწყვეს დილა-წარმოდგენა. დადგმული იქნა „ყვავილთა რევოლიუცია", „კუდიანი ვარსკვლავი". გუნდმა შეასრულა რევოლიუციონური სიმღერები. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. დილა-წარმოდგენა ღირსეულად ჩაატარეს ჩვენმა ახალგაზრდა კულტმუშაკებმა. დიდათ ნასიამოვნები ხალხი დაიშალა დილის 4 საათზე. მუშკორი **ი. თ—ელი.**

— **სახლის პატრონი ძალზე გვავიწროებს.** საბჭოს ქ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის) სახლი, № 127, ეკუთვნის რკინისგზის მე-6-ე სალიანდაგო უბნის ზეინკალს, მოქ. **ანდრია ქერაპულოვს.** ეს ვაჟბატონი თავის უხეში და უდიერი მოპყრობით აუტანელ მდგომარეობაში აყენებს თავის მდგმურებს იმ მოსაზრებით, რომ ისინი სახლიდან გამოასახლოს.

მილიციავ, მიიღე ზომები ამ თავხედის გონზე მოსაყვანად. მუშკორი **ტ—გორელი.**

— **მოვაწყვეთ ლიტერატურული მუსიკალურ-ვოკალური საღამო.** 29 მაისს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში ამხ. გიორგი სვანიძის ხელმძღვანელობით მოეწყო დიდი საღამო რკინისგზის ქართული მუშა-მომღერალთა ფონდის გასაძლიერებლად. ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დასდგეს ორმოქმედებიანი პიესა „ძველი სასამართლო"; შემდეგ დაუკრა სიმებიანმა ორკესტრმა. შემდეგ გუნდმა შეასრულა რევოლიუციონური და, საერთოდ, ხალხური სიმღერები. დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში. საღამოს დაესწრენ უამრავი მუშები. მუშკორი **ჭიკო.**

— **უნდა აღვადგინოთ შრომის დისციპლინა.** რკინისგზელებში ბევრგან შრომის დისციპლინა ირღვევა სისტემატიურად. ზოგიერთი მუშა-მოსამსახურენი სიმულიანტობენ (იგონებენ ავადმყოფობას) და სამუშაო დღეებს აცდენენ, ზოგიერთები სამუშაოზე გვიან ცხადდებიან. მთავარ სახელოსნოს მუშებში ამ ბოლო ხანებში შემჩნეულია ასეთი შემთხვევა: მუშები სამუშაოზე ცხადდებიან ღვინით გალეშილნი და მუშაობის ნაცვლად საამქროებში სტეხენ ერთ აურ-ზაურს და უკმაყოფილებას.

საჭიროა აღვადგინოთ შრომის მტკიცე დისციპლინა თბილისსა ყველა ხაზებზე. მუშა **სახელოსნოელი.**

გამოიწერეთ
ჟურნალი
სოფლის კომუნისტი
საკვირაო ორგანო
შინაარსი:
შ. მახარაძე—„სოფლის კომუნისტი" და სოფელში მუშაობა
[illegible]—მესამე საკავშირო

„სოფლის კომუნისტი" საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთად-ერთი ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს სოფლად პარტიული და საბჭოთა მუშაობის პოლიტიკა.

„სოფლის კომუნისტი" არკვევს პარტიულ მუშაობის ამოცანებს სოფლად მუშაობის სხვადასხვა დარგში; პარტიული ცხოვრება, სოფლის საბჭოების მუშაობა, სამეურნეო მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის საკითხები, სოფლად ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შეტანა, სარწმუნოების და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საკითხი, გლეხკორების მოძრაობა და სოფლის სხვადასხვა კულტურული საქმეები ჟურნალში პოულობს ახსნა-გაშუქებას.

ჟურნალი არკვევს აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის კომუნისტს" უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მომუშავე ამხანაგების გათვითცნობიერების საქმეში, ამიტომ ამ ჟურნალს აუცილებლად უნდა კითხულობდეს უჯრედის თითოეული წევრი.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ექნება გამოწერილი „სოფლის კომუნისტი".

ჩვენი ლოზუნგია: მიმდინარე წელში 10 ათასი ტირაჟი „სოფლის კომუნისტი"-ს!

საჭიროა და აუცილებელი ჟურნალის გავრცელება უპარტიო აქტივს შორის. ეს საქმე უნდა იკისრონ განსაკუთრებით უჯრედის აქტიურმა წევრებმა.

„სოფლის კომუნისტი"-ს გავრცელებაში, ხელისმოწერის მიღებაში უნდა ჩავითრიოთ ქოხ-სამკითხველოს გამგე, მასწავლებელი და სხვა. ამით შევძლებთ ამ ჟურნალის მასსიურ გავრცელებას.

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით	2 მანეთი
ნახ. „	1 „
3 თვით	60 კაპ.
ცალკე ნომერი	20 „

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, რუსთაველის 22.

ნ. 1362 10—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგარაკი „საირმე“

საქართველო ძლიერ მდიდარია მშვენიერი სამკურნალო ადგილებით. ბევრი მათგანი ან სრულიად მოუწყობელია, ანდა მთელი წლობით ეწყობა. ზოგიერთების შესახებ კი თითქმის არაფერი არ ვიცით. არც ერთი მხარე საქართველოში ისე არ არის მოწყვეტილი აგარაკ კურორტებს, მინერალურ წყაროებს და სხვა სამკურნალო დაწესებულებებს, როგორც იმერეთი.

ქუთაისის მაზრაში არის მთელი რიგი სამკურნალო მიდამოებისა და აგარაკებისა.

ერთი ასეთთაგანია აგარაკი „საირმე“, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან სულ 40 ვერსის მანძილზე ბაღდადის გზით ე. წ. წაბლარას ხევისაკენ. ოცდახუთი წელია, რაც ეს მშვენიერი საგარაკო ადგილი, წაბლარის წყლის ნაპირას, მაღალი ფიჭვნარით შემოსილი, დაცული ცუდ ამინდებისაგან, მთაგრეხილებით და მდიდარი მინერალური წყლებით, აღმოაჩინა ბაღდათის რაიონში კარგათ ცნობილმა სახალხო მოღვაწემ ამხ. ალექ. ერისთავმა.

ქუთაისის სამაზრო ალმასკომი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ ზომებს ხმარობს ეს დიდი განძი იქნს ხალხის ჯანმრთელობისათვის გამოყენებული. გლეხკაცობის ჯანმრთელობის დაცვის მხრივ ჯერ-ჯერობით საკმარისი ყურადღება ვერ აქვს მიქცეული. უსაღსრობის გამო დიდი ნაწილი ღარიბესი გლეხობისა მოკლებულია საბჭოთა მედიცინას. კლიმატიური მკურნალობა ასეთ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაუწევდა ჩვენს გლეხობას.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ტუბერკულიოზი, მალარია, კუჭნაწლავების ქრონიკული კატარი, წყლულები და მთელი რიგი სხვა სნეულებისა დიდ ზიანს აყენებს ჩვენი მოსახლეობის მშრომელთა ნაწილს. გლეხკაცობა ამ მხრივ დიდ გაჭირვებაშია. მტუტე-ნახშირმჟავა მინერალური წყლების მიწოდება ასეთი სნეულთთვის დიდი დახმარების აღმოჩენა იქნებოდა.

აგარ. „საირმეში“ არის ოთხი მინერალური წყარო. ორი მტუტე-ნახშირმჟავა წყარო და ორი კი—რკინის წყლები. ეს ოცდახუთი წელია, რაც იმერეთის გლეხობა—1000—1500 კაცამდე ყოველ-წლიურათ სარგებლობს ხსენებული აგარაკის ჰავით და წყლებით. გლეხებმა ინსტიქტიურათ შეითვისეს ხსენებული წყლების დიდი მნიშვნელობა.

მტუტე-ნახშირმჟავა წყაროს წყალი ლაბორატორულათ ა. წ. იანვრის პირველ რიცხვებში გამოკვლეულ იქნა ქიმ. კუპცისის მიერ. მრავალ ღირსებასთან ერთად (წყალი ჩამოტანილი იყო თბილისში) ქიმ. კუპცისის აზრით, წყლის ფარმაკო-დინამიკურ მოქმედების მხრივ ამ „მტუტე-ნახშირმჟავა წყაროში მოიპოვება დიდი რაოდენობა კალციუმის მარილებისა“. კალციუმის მარილებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ფილტვების ჭლექის, არამედ კუჭ-ნაწლევების და მთელი რიგ ძვლების ავათმყოფობის დროსაც.

ამ ჟამათ „საირმესაკენ“ არის გაკეთებული 8 ვერსი გზა. დარჩენილია გასაკეთებლათ 4 ვერსი საცხენოსნო გზა. ადგილობრივი გლეხობა დიდის სიხარულით და ენერგიით აკეთებს დარჩენილ გზასაც, მაგრამ საჭიროა ტეხნიკური დახმარება. აუცილებელი საჭიროა მიმდინარე წლის საზაფხულო სეზონისათვის დარჩენილი 4 ვერსი გზის დამთავრება.

საჭიროა აგრეთვე მკურნალი ექიმის გაგზავნა. (ექიმს ჯერ სამკურნალოთ იქ ფეხი არ დაუდგამს) რამდენათაც შეიძლება სამკურნალო ადგილის მოედნის გაფართოება და ბინის მხრივ ადამიანური პირობების შექმნა.

ექ. გ. მჟავანაძე.

ცრაწლედების მუშაკთა კონფერენცია

სამოსწავლო გეგმების მიღება

საქ. ცხრაწლედების მუშაკთა კონფერენციამ უკანასკნელ სხდომაზე მიიღო სამოსწავლო გეგმები ყველა განხრის 9-წლედებისათვის, რომელთაც მომავალ სამოსწავლო პროგრამაში უნდა შეიტანონ უფრო მეტი კონკრეტულობა. ამასთან ერთად განხრის სამოსწავლო პროგრამა დაკავშირებული უნდა იქნეს საერთო-საგანმანათლებლო საგნების სამოსწავლო პროგრამასთან. ახალი სამოსწავლო გეგმები განხორციელებული უნდა იქნენ მომავალ სამოსწავლო წლიდან.

გარდა ამისა კონფერენცია აუცილებელ საჭიროებად სცნობს დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა მონაწილეობა მიიღონ ცხრაწლედების სასპეციალიზაციო მუშაობაში.

კონფერენციამ დიდი ყურადღება მიაქცია სხვადასხვა საგნების და განსაკუთრებით რუსული ენის სწავლების დაყენებას შრომის სკოლებში, კონფერენცია საჭიროდ აღიარებს დამუშავებული იქნეს სათანადო სახელმძღვანელოები უმცროსი ჯგუფისათვის, სისტემატიურად ეწყობოდეს კონფერენცია-კურსები რუსული ენის მასწავლებლებისათვის იმ მიზნით, რომ გამომუშავებულ იქნეს სწავლების მეთოდები და სხვა. აგრეთვე საჭიროდ არის ცნობილი რუსული ენის გაკვეთილების რიცხვის გადიდება.

მეტრიული სისტემა

საერთო გეგმის მიხედვით, ა.-კ. კომუნალურ მეურნეობაში მეტრიული სისტემის გატარება უნდა მომხდარიყო წელს. მიუხედავათ ამისა ამ ჟამად ახალი საბინაო ნიხრის შემუშავება (ნიხრი გამოქვეყნდება ახლო ხანში) სწარმოებს არშინობით. რომ ზედმეტი მუშაობა აცილებული იქნას თავიდან, ა.-კ. საუწყებათაშორისო მეტრიული სისტემის სამმართველომ დაადგინა, გამოიმუშაოს სავალდებულო დადგენილება, რომ საბინაო გადასახადი შემუშავებული და დაწესებული იქნას მეტრიული სისტემით.

აღძრული იქნა შუამდგომლობა ა.-კ. უმ. ეკ. საბჭოს წინაშე, რათა ნედლეულობის დამზადების საქმეში შემოღებული იქნეს მეტრიული სისტემა.

ავიაქიმში

ინსტრუქტორების მომზადება

თბილისის ავიოქიმიის პირველ რაიონის საბჭოსთან არსებულმა ქიმიურმა წრემ გამოუშვა 17 ინსტრუქტორ-ორგანიზატორი. ქიმიური კურსები სამ თვიანი იყო, კურს დამთავრებულები მიმაგრებული არიან „ავიოქიმიის“ უჯრედებზე. კურს დამთავრებულები რაისაბჭოს დავალებით უჯრედების საერთო კრებაზე კითხულობენ ლექციებს ქიმიურ-მრეწველობის შესახებ. განზრახულია კურსების გაგრძელება. თბილისის ავიო-ქიმიის საბჭო აწყობს ორთვიან საავიაციო და ქიმიურ მრეწველობის კურსებს.

ფონდები მეცხენეობისათვის

ცხენთსაშენის განყოფილებას განზრახული აქვს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში დაარსოს მეცხენეობის სპეციალური ფონდები.

ფონდები შესდგება სხვადასხვა სახის შემოწირულებებიდან, კაზინოებისა და კლუბებისათვის დაწესებულ მცირე პროცენტულ ანარიცხებიდან, ბანქოს სათამაშო ადგილებზე დაწესებულ გადასახადებისაგან და სხ.

გარდა ამისა აღნიშნულ ფონდების შესაქმნელათ განზრახულია ცხენების გამოფენების მოწყობა, სამუშაოსათვის გამოუსადეგარ ცხენების საჯარო გაყიდვები, დოღები და სხ.

გლეხკომებში

— **კოოპერაცია.** ბახვის თემგლეხკომმა კოოპერატივში თავის ხარჯზე წევრათ ჩაწერა 25 ღარიბესი გლეხი.

— **ბაღი.** ასკანის თემგლეხკომმა თემის ალმასკომის ეზოში გააშენა ბაღი კულტურული მცენარეებით.

— **ხიდი.** ნათლისმცემლის თემგლეხკომმა სოფელში ხევზე გააკეთა ხიდი.

— **კინო.** ლანჩხუთის გლეხკომმა თავის ფულით აგო კინო-თეატრი, რომელიც იტევს 400 კაცს.

— **სკოლა.** ქ. ლანჩხუთის გლეხკომი თავის ხარჯზე ინახავს ერთ პროფსკოლას, სადაც სწავლობენ ღარიბესი გლეხის შვილები.

— **გოგიეთის და მაკვანეთის** გლეხკომებმა გადასწყვიტეს გაიყვანოს მიწების მოსარწყველად არხი.

სასამართლო

ლომინაძის საქმე

დღეს უზენაეს სასამართლოში გაირჩევა **ივანე ლომინაძის** საქმე.

ლომინაძეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 4.903 მან. გაფლანგვისათვის მისჯილი აქვს დახვრეტა.

თავდამსხმელები

1925 წ. აპრილის თვეში **ანტონ ცერცვაძე** და **ნიკოლოზ ჯიქია** თავს დასხმიან მოქ. აბრამსოვის ოჯახობას გაძარცვის მიზნით. თავდამსხმელები მილიციის მიერ დაპატიმრებული იქნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ბრალდებულმა ჯიქიამ დაჟინებით განაცხადა, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

სასამართლომ ბრალდებულ ცერცვაძეს და ჯიქიას მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

უზენაესმა სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელი შეუმსუბუქა ათი წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულმა ცერცვაძემ გამსახლში ყოფნისას ერთ-ერთ მოქალაქეს განუცხადა, რომ ამ საქმეში ჯიქიას კი არ მიუძღვის ბრალი, არამედ ვასილ კელენჯერიძეს. ამ ამბავს ყური მოჰკრა მსჯავრდადებულმა ჯიქიამ, რომელმაც ამის შესახებ წერილობითი განცხადება შეიტანა სადაც ჯერ არს.

ამის გამო, ამ საქმეზე დაიწყო დამატებითი გამოძიება აღმოსავლეთ საქართველოს უფროსს გამომძიებლის მიერ.

გუშინ გამომძიებლის მიერ დაპატიმრებული იქნა ვასილ კელენჯერიძე.

მარგარიტა ლოლუას საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით გაირჩა მარგარიტა ლოლუას საქმე.

მარგარიტა ლოლუას ბრალად ედება 121 მან. გაფლანგვა და ყალბი საბუთების შედგენა სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკურ ტრესტის № 2 მაღაზიის მოლარეთ ყოფნის დროს.

ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **ღვამიჩავა.**

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავეთ. სასამართლოს კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებულს 121 მანეთი კი არ მიუთვისებია, არამედ სხვას გადააყოლა მიმდინარე მუშაობის დროს.

სასამართლომ ბრალდებული ლოლუა დამნაშავეთ სცნო ყალბი საბუთების შედგენაში და მოვალეობისადმი გულგრილათ მოპყრობაში და მიუსაჯა მას 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ შესაძლებლათ სცნო მისი გამოსწორება და სასჯელი შეუცვალა პირობით.

ერთი რომანის ბოლო

„მომწონს ია, მომწონს ვარდი, ლამაზ ქალში გადავარდი“, ასე მღეროდა გიორგი ბეგთარბეგოვი თამარ ლავროვას და სოფიო კარასოვას სახლში ღამ-ღამობით. გიორგი ორთავე ქალებს ეარშიყებოდა და ცოლად შერთვას პირდებოდა. სოფიოს „გაგიჟებით“ უყვარდა გიორგი. როდესაც დააგვიანდებოდა გიორგის მასთან მისვლა, მაშინ სოფიო იჭვიანობდა და ჩაუდგებოდა მას ოპოზიციაში, გიორგი კი თავგამოდებით იცავდა თავის „აზრებს“. იყო ვამართული მთელი დისკუსია, რომელიც ზოგჯერ გათენებამდე გრძელდებოდა.

უკანასკნელ ხანებში გიორგი ცუდ ხასიათზე დადგა. მას სხვანაირი ციებ-ცხელება ჰქონდა. „სანეტარო“ თამარისაგან ვენერიული ავადმყოფობა მიიღო. ამის გამო სოფიოსთან ველარ დადიოდა. თამარს კი გიორგის სიყვარულის ცეცხლი კიდევ არ ჩაქრობოდა. ამ დროს მან გაიგო, რომ გიორგი „მშვენიერ“ არსებას ეარშიყება. იმ წამსვე შეიტყო მისი მეტოქის ვინაობა, შეხვდა და ერთი უბედურება დააწია:

— შენ, როგორ გაბედე, ის ჩემი სატრფო იყო...

— თქვენი იყო და ჩემი არის—უპასუხა მეტოქემ.

— თქვენ იცით ვისთან გაქვთ საქმე? მომშორდი თორემ ნაცრად გაქცევ.

— ამას ჰქვია, ავი ძაღლი არც თვითონ სჭამს, არც სხვას აჭმევსო, მიუგო გაბრაზებულმა სოფიომ.

— შენ რას ბედავ, ძაღლიც შენა ხარ და მეტიც.—თამარმა დაჰკრა მეტოქეს და სამი ისეთი ლავაში მიაფარა სახეში „შეყვარებულ“ სოფიოს, რომ თვალები დაუზნელა.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩა ეს საქმე.

სასამართლომ ბრალდებულ **თამარ ლავროვას** მიუსაჯა სამი თვით გამსახლში დატუსაღება.

ქრონიკა

ბანკებში

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე ამხ. **ახმეტელი** დაინიშნა შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულათ საქართველოში, ამხ. ალ. **ვაშაძე** დაინიშნა საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავმჯდომარეთ; ამავე ბანკის გამგეობის წევრი გრ. **დუმბაძე** განთავისუფლებულია თანამდებობიდან; „ელექტრობანკის“ მართველად დაინიშნა ამხ. **ნ. კალანდაძე.**

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. **ლ. ქართველიშვილი.**

ახალი ხიდები

ფოილოს ახლად აგებულ ხიდზე მოძრაობა დაიწყება ივნისის შუა რიცხვებში. რკინისგზის ხაზზე შენდება კიდევ ორი ახალი ხიდი—საჯევახოს და ევლახის ხიდები. ევლახის ხიდი თავის ზომით ყველაზე დიდი ხიდი იქნება ა.-კ. რკინისგზის მთელ ხაზზე.

ინგლისის მუშების დასახმარებლათ

საქართველოს პროფსაბჭომ 2 ივნისს სრ. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს სახელზე გადაგზავნა საქართველოს პროფსაბჭოების მიერ ინგლისის მემაღაროების სასარგებლოთ შეგროვილი 10 ათასი მანეთი. ამას გარდა წინად გაგზავნილი იყო 15.000 მანეთი. ანარიცხების შეგროვება გრძელდება.

ალმასკომების სხდომები.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის ყველა სამაზრო ალმასკომებს (ავტონომიური ერთეულების გამოკლებით) გაურჩევიათ 6.955 საკითხი.

აქედან სამაზრო ალმასკომებს ჰქონიათ 20 სხდომა, ხოლო ალმასკომის პრეზიდიუმებს 331. ყველა ალმასკომებს მოუწყვიათ გაფართოებული თათბირები 24-ჯერ.

1-ლი ოქტომბრიდან (1925 წ.) ე. ი. საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან 1-ლ აპრილამდე 6.955 საკითხის გარჩევაზე დახარჯულა სულ 44 დღე-ღამე.

პასპორტები.

საზღვარგარეთ გასვლის პასპორტების გაცემის დროს დაწესებული გადასახადი გადიდებულია 10 პროცენტით წითელი ჯვრის სასარგებლოდ.

აქციზი.

საქციზო გადასახადისაგან განთავისუფლებულია თაფლი, კვასი, ხილეული წყლები და ხელოვნურ-მინერალური წყლები.

თბილისის ალმასკომში.

— **ზაჰესის სინათლის მოლოდინში.** ამჟამად თბილისში ზაჰესის ენერგიის მისაღებად დადგმულია 5300 ბოძი.

— **ალმასკომის** ხელმძღვანელობით ყაზბეგში, თიანეთში და წითელ მთაში არსდება სარძეო არტელები.

სამეურნეო დაწესებულებებში.

— **ცეკავშირი** დასავლეთ საქართველოში ამზადებს 300.000 ფუთ სიმინდს.

—**ხე-ტყის გატანა.** სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ დასავლეთ საქართველოში დაამზადა 40.000 მანეთის კაკლის და მსხალის მორები.

— **საქსოვი მანქანები.** სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთიდან მიიღო დიდძალი საქსოვი მანქანები.

— **შავიქვა.** საზოგადოება „საქართველოს მარგანეცმა“ მაისში საზღვარგარეთ გაიტანა 25.652 ტონა ქვანახშირი.

— **საქონლის შემოტანა.** ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატი შეუდგა მასალების დაგროვებას 1926—27 წლისათვის საქონლის შემოსატან გეგმის შესადგენად.

საკურორტო კამპანია.

— **ახალ ათონში** შეკეთდა 250 ოთახი ყოფ. მონასტრის შენობაში. ამ ოთახებში მოთავსებული იქნებიან დასასვენებლად მუშა-მოსამსახურენი.

— **ქობულეთის** სანატორიუმი უკვე სავსეა ავადმყოფებით. განზრახულია სანატორიუმის გაფართოება.

— **აბასთუმანში,** არაზინდოში, ბორჯომში და პატარა ცემში დაზღვეულ ავადმყოფების პირველი ჯგუფი იგზავნება 320 კაცისაგან შემდგარი.

— **ჩრდილოეთ-კავკასიის** სანატორიუმებში ამიერ-კავკასიიდან უკვე გაიგზავნა 120 კაცი.

სხვადასხვა.

— **გლეხთა ცენტრალურ სახლის** შენახვის ხარჯები შეტანილი იქნა საქ. ცენტრ. ალმასკომის ხარჯთაღრიცხვაში.

— **საქართველოს 5 მაზრაში** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს საზაფხულო სამუშაოებზე გაგზავნილი აქვს 20 ტრაქტორი.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს, 5 ივნისს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში ი. გრიშაშვილი გააკეთებს მოხსენებას: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

ჩაუბარებელი დეპეშები

ლენინაკანიდან—ფახრედინს, მურაშკინიდან—სააკოვს, აკეთიდან—წულაძეს, ხარკოვიდან—სინიაკოვს, იაროსლავიდან — საროკინს, ოზურგეთიდან—ეგოროვს, როსტოვიდან—ინკატოვს, კრაპოტკინიდან—ალექსანიანცს, ეკატერინოსლავიდან—კირილოვს, ახალსენაკიდან—ხორავას, ფასანაურიდან—უგვარო, ერევანიდან—პეტროსიანს.

ხელოვნება

ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნები

რედაქციამ მიიღო პოეტ ნიკოლოზ მიწიშვილის შემდეგი წიგნები: **„წმინდანი“** (ლექსები. მეორე გამოცემა), **„შავი ვარსკვლავი“** (პოემა. მეორე გამოცემა). **„გარდაცვალება“** (პოემა). წიგნები ლამაზათაა გამოცემული და თითო ღირს 50 კაპეიკი.

შემთხვევები

თვითმკვლელობა ფინსახკომში

გუშინ, დილის რვის ნახევარზე ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში თავი მოიკლა სამმართველოს საქმეთა მმართველმა გ. ჯაფარიძემ.

მკვლელობა მოხდა შემდეგნაირათ: ჯაფარიძე ადრე მივიდა სამსახურში და დარაჯ თოდუას გადასცა პაკეტი სხვისთვის გადასაცემათ. როდესაც დარაჯი დაბრუნდა უკან—ნახა სამართებლით ყელ-გამოჭრილი ჯაფარიძე.

დატოვებულ წერილებში ჯაფარიძე სჩივის სიცოცხლეზე და სწერს, რომ მას თავი მოაბეზრა ინტრიგებმა.

ქალის დაკარგვა.

თბილისის ტელეფონის ქსელის თანამშრომელი ელენე ბიქტორის ასული იოსელიანი, 21 წლისა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ 29 მაისს საღამოს 8 საათიდან დღემდე არ დაბრუნებულა სახლში. თუ ვინმემ იცის, სად იმყოფება ის ამჟამად—გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ყოფილი პირველი თუმანოვის ქუჩა № 5 იოსელიანი.

— **შეპყრობა.** 2 ივნისს შეიპყრეს ანასტასია პროკოპიევა ქურდობისათვის.

— ამავე დღეს შეიპყრეს მცირეწლოვანი კორანგი და ტკაჩენკო, რომლებსაც უნდოდათ გაექურდათ კომუნალურ ბანკის არქივი.

მეცნიერება და ტეხნიკა

გათხრები ათინაში.

შეერთებულ შტატებში, სადაც თავი მოიყარა აუარებელმა სიმდიდრემ, საშუალება აქვს დიდძალი თანხები ხარჯოს სამეცნიერო მიზნებისათვის. არაჩვეულებრივათ ფართე ხასიათი მიიღო შეერთებულ შტატებში არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ. შეერთებული შტატების არქეოლოგიური ექსპედიციები (პროფ. **ანდრიუსის**—შუა აზიაში, პროფ. **მორლეის**—ცენტრ. ამერიკაში და სხვ.), განცვიფრებას იწვევენ თავისი ტეხნიკური მოწყობილობით და ფინანსიური ხელგაშლილობით.

მაგრამ ყველა ეს ექსპედიციები არარაობას წარმოადგენენ ამერიკელების ახალი, პირდაპირ გრანდიოზული განზრახვის წინაშე: ამერიკელებს გადაწყვეტილი აქვთ გათხარონ და აღადგინონ ათინის ცნობილი „აგორა“ (ხალხის შესაკრები მოედანი, მსგავსად რომაულ ფორუმისა, სადაც მიმდინარეობდა ათინის რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება). ამ მუშაობის სიძნელე ნათელი შეიქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ იმ ადგილას, სადაც წინათ „აგორა“ იყო, ახლა მდებარეობს საბერძნეთის თანამედროვე სატახტო ქალაქის მჭიდროთ დასახლებული უბანი, საიდანაც გამოსახლებული უნდა იქნენ ყველა მცხოვრებლები, შემდეგ კი—მთელი უბანი უნდა დაინგრეს და გაითხაროს. ამ სამუშაოთა შესასრულებლად რომელ. ამერიკელები იწყებენ საბერძნეთის მთავრობასთან ერთად, საჭიროა აუარებელი თანხები—ასეული მილიონი დოლლარი. მუშაობა გასტანს ორმოცდაათ წელიწადს და მასში მონაწილეობას მიიღებს არქეოლოგების ორი თაობა. მუშაობას უხელმძღვანელებს ამერიკელი პროფ. მაგოფინი, რომელიც უკვე გაემგზავრა ათინაში.

არქეოლოგ რეისნერის აღმოჩენის გარშემო.

ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოთავსებული ცნობა, რომ პროფ. **რეისნერმა** გიზეს დიდი პირამიდის ახლო აღმოაჩინა სამარხი, რომელიც მან მიიღო ფარაონ სინეფრუს საფლავათ. ეგვიპტიდან უკანასკნელად მიღებული ცნობებით, პროფ. რეისნერს ფარაონ სინეფრუს საფლავი კი არ აღმოუჩენია, არამედ ფარაონ ხეოპსის დედის საფლავი.

შეცდომა გამოიწვია იმან, რომ აკლდამაში იპოვეს ოქროს ტახტი, რომელზეც ამოკვეთილია სინეფრუს სახელი და ტიტული. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აკლდამაში ნაპოვნი სკამის ზურგზე დაწერილი იეროგლიფები ამოიკითხეს, გამოირკვა, რომ სარკოფაგში ასვენია არა ფარაონი სინეფრუ, არამედ ფარაონ ხეოპსის დედა.

აღმოჩენა ინტერესს იწვევს აგრეთვე იმ მხრივ, რომ სინეფრუსა,—მესამე დინასტიის უკანასკნელ ფარაონსა,—და ხეოპსს,—მეოთხე დინასტიის პირველ ფარაონს შორის არსებობს რაღაც მჭიდრო კავშირი, რაც დღემდე დანამდვილებით არ არის გამორკვეული. ზოგიერთი არქეოლოგები, ხელმძღვანელობენ რა დედოფალი მერიოტესის (სინეფრუს ცოლის) სამარხში ნაპოვნ წარწერებით, ფიქრობენ, რომ უკანასკნელი სინეფრუს სიკვდილის შემდეგ ხეოპს გაჰყვა ცოლათ. სხვა მკვლევარები კი ფიქრობენ, რომ ხეოპსი სინეფრუს შვილი იყო. რეისნერის მიერ აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნი ნივთები თითქო ამტკიცებენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას.

ისევ მთვარეზე გაფრენის შესახებ.

წარსულ წელში ბევრს სწერდენ პროფ. **გოდდარდის** მიერ მთვარეზე გასაფრენათ შედგენილი პროექტის შესახებ. გაფრენა უნდა მოხდეს სპეციალური აპარატის საშუალებით, რომლის მოძრაობა მაშხალის პრინციპზეა აგებული. ამ ცნობებს ისე უყურებდენ, როგორც ჟიულ-ვერნისებურ ახალ ზღაპრებს. მაგრამ პროფ. გოდდარდის მიერ ცნობილ სპეციალისტებისათვის დასადასტურებლად წარდგენილი თეორეტიული მოსაზრებები, სრულიად საფუძვლიანად იქნენ ცნობილი. სპეციალისტები აცხადებენ, რომ გოდდარდის პროექტი განუხორციელებელი არ არის. მაშხალის მოდელი უკვე გამზადებულია. გოდდარდს განზრახული აქვს მიმდინარე ზაფხულში გაგზავნოს თავისი მაშხალა მთვარეზე და დარწმუნებულია, რომ მიზანს მიაღწევს. გოდდარდთან უკვე გამოცხადდა 52 კაცი, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მთვარეზე გასროლაზე.

იმის შესახებ, თუ როგორ დაბრუნდებიან უკან მისი მაშხალის მგზავრები, გოდდარდი არაფერს ამბობს.

ახალი მინერალი.

იტალიელმა ინჟინერმა **დალფორნომ** აღმოაჩინა ახალი მინერალი, რომელსაც მისი სახელის მიხედვით დალფორნიტი უწოდეს. დალფორნიტი დიდის რაოდენობით მოიპოვება იტალიის მთის ჯიშებში. ახალი მინერალის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ იგი დიდის რაოდენობით შეიცავს ოქროსა და პლატინას. 60 ფუთ დალფორნიტიდან 2½ გირვანქა ოქრო მიიღეს.

რადიო-კალამი.

ცნობილ ამერიკელი გამომგონებელის **ფრანცისკ ჯენკინსის** უკანასკნელ გამოგონებას წარმოადგენს ე. წ. რადიო-კალამი, რომელიც რადიოს საშუალებით მოქმედობს. ჯენკინსის კალამი გამოსცადეს მიმღებ და გადამცემ აპარატებში, რომლებიც 7 კილომეტრით იყვენ ერთმანეთისაგან დაშორებული. გადამცემ პუნქტში ამ კალმით, რომელიც მომარაგებულია სპეციალური რეგულიატორებით, სწერენ ჩვეულებრივი წესით. ეს რეგულიატორები გადამცემზე მოქმედებენ ისე, რომ მიმღებ აპარატის ისეთივე კალამი, აღადგენს დამწერის სრულ ფაქსიმილეს.

ნარევი

ლონდონიდან პარიზში კოსტიუმების შესაძენად

ქალებისათვის პარიზში ტანსაცმელების შეძენის გასაადვილებლად ინგლისის ერთმა საზოგადოებამ 15 მაისიდან მოაწყო რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ლონდონ-პარიზს შორის.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ყოველდღიურად ლონდონიდან პარიზში გაფრინდება სამგზავრო აეროპლანი. დილის 8 საათზე გაფრენილი აეროპლანი პარიზში იქნება თორმეტის ნახევარზე. პარიზიდან ლონდონში გასაფრენად დანიშნულია საღამოს 5 საათი. ხუთნახევარი საათი საკმაო დროა პარიზში საჭირო საგნების შესაძენად. საღამოს ცხრის ნახევარზე აეროპლანი უკვე ლონდონში არის. მიმოსვლის დაწყების დღიდან მგზავრების 60 პროცენტს „ლორიგანი“-ს და პარიზული კოსტიუმების მოტრფიალე ქალები შეადგენენ. გადაფრენა ლონდონიდან პარიზში და უკან ღირს ასი მანეთი.

მსოფლიო რკინის-გზის ქსელი

მთელს დედამიწაზე რკინის-გზების სიგრძე უდრის 7.206.504 კილომეტრს.

ერთი მესამედი რკინის-გზის ხაზების არის ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს. მეორე და მესამე ადგილი უჭირავს კანადასა და ინდოეთს. მეოთხე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირს. რკინისგზის რელსების სიგრძე შეერთებულ შტატებში უდრის 425.230 კილომეტრს, კანადაში—64.150 კილომეტრს, ინდოეთში—60.590 კილომეტრს, საბჭოთა კავშირში—58.239 კილ., გერმანიაში—58.041 კილ., საფრანგეთში—49.695 კილ., ინგლისში—38.181, არგენტინაში—35.291, ბრაზილიაში—24.484, მექსიკაში—25.344, იტალიაში—20.131, სამხრეთ-აფრიკაში—18.626, პოლონეთში—18.414, ჩეხო-სლოვაკიაში—13.216, იაპონიაში—13.144, ჩინეთში—11.345 კილომეტრს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რკინისგზის ხაზი შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ხანებში 1.700 კილომეტრით შემცირდა. აიხსნება ეს იმით, რომ საავტომობილო მიმოსვლა, რომელიც ძალიან განვითარდა შეერთებულ შტატებში, დიდ კონკურენციას უწევს სარკინიგზო მიმოსვლას.

„ეკონომიის რეჟიმი“ ინგლისში.

ინგლისის ზოგიერთ გვარდიელთა პოლკებში ჯარისკაცის მიღების აუცილებელ პირობათ ითვლებოდა, რომ ახალწვეულის სიმაღლე 6 ფუტზე ნაკლები არ ყოფილიყო. ამაზე ნაკლები სიმაღლის ჯარისკაცებს არ თვლიდენ გვარდიაში ჩარიცხვის ღირსათ. ამჟამად მოთხოვნილება, რომელსაც უდგენენ ახალწვეულებს—სიმაღლის სავალდებულო მინიმუმი—შემცირებულია 4 დიუიმით. ახალწვეულებისადმი წაყენებულ მოთხოვნილების ასეთ „შერბილებას“ ასაბუთებენ ერთის მხრივ იმით, რომ მეტად ძნელია ამდენი მაღალი ჯარისკაცების შერჩევა, მეორის მხრივ—სახელმწიფო საშუალებების დაზოგვის საჭიროებით—დაბალი ჯარისკაცებისათვის საჭირო ტანთსაცმელის შეძენა უფრო იაფი ჯდება.

საფრანგეთის მოსახლეობის აღწერა.

საფრანგეთის შრომის სამინისტროს ოფიციალური ცნობის თანახმად, ამჟამად დამთავრებულია საფრანგეთის მოსახლეობის აღწერა. საფრანგეთის მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც 1920 წ. 39.209.518 კაცს უდრიდა, თითქმის შეცვლილა. შარშანდელთან შედარებით, საფრანგეთში შემჩნეულია ქორწინებათა რამდენიმეთ შემცირება, დაბადებათა რიცხვის გაზრდა 17 ათასით და სიკვდილიანობის—29.000.

იმ დროს, როცა დაბადებულთა რიცხვი გარდაცვალებულთა რიცხვს 72.000 სჭარბობდა, მიმდინარე წელს ეს ჭარბობა 60.000-მდი შემცირდა.

სტატისტიკურ ანგარიშს დართული აქვს ცნობები დაბადებათა რიცხვის შესახებ სხვა ქვეყნებში.

ომის წინადროინდელ ხანასთან შედარებით, დაბადებათა კოეფიციენტი (დაბადებულთა რიცხვის გადამეტება სიკვდილიანობის რიცხვზე) 10.000 მოსახლეზე საფრანგეთში გაიზარდა 17-დან 19-მდე; ჰოლანდიაში—15-დან 153-მდე; იტალიაში—124-ყან 127-მდე; ისპანიაში—89-დან 102-მდე.

იმავე დროს სხვა ქვეყნებში დაბადებათა კოეფიციენტი შემცირდა: ნორვეგიაში—123-დან 106-მდე; გერმანიაში—118-დან 82-მდე, ჰუნგრეთში—112-დან 66-მდე; ინგლისში და შვეციაში—98-დან 61-მდე.

მთავრობის დადგენილება

დადგენილება № 34

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უსასყიდლოთ გადასული ქონებისათვის დაწესებული გადასახადის ნორმების გაუქმების შესახებ

რადგანაც ს. ს. რ. კ. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1926 წლ. იანვრის 29-ს გამოსცეს მემკვიდრეობით და გაჩუქებით გადასულ ქონებაზე დასადები გადასახადის დებულება, რომელიც, ამა დებულების სამოქმედოდ შემოღებისათვის გამოცემულ დადგენილების I მუხლის თანახმად, გავრცელებულ უნდა იქნეს ყველა ისეთ სამკვიდროსა და ქონებაზე, რაც ამა წლის მარტის 1-დან გაიხსნა და ამავე დროიდან ქმნილი აქტის თანახმად გაჩუქების წესით გადადის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ძალდაკარგულად ჩაითვალოს უსასყიდლოდ გადასული ქონების გადასახადის ის ნორმები, რაც მოქმედობდა საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

იურიდიული დახმარება

ობოლს მამის ქონება ბიძამ ჩამოართვა, როგორ მოვიქცე

კითხვა

ჩემთან ცხოვრობს ჩემი შვილი მამით ობოლი, ჰასაკით 9 წლისა. რაც მე გავთხოვდი, უკვე შვიდი წელია. ობოლი ეკატერინა ბაზარული ამ ხნის განმავლობაში გარდაცვალებულ მამის ქონებით ვერ სარგებლობდა. დღეს ეს ქონება ბიძამ დაისაკუთრა და არ უნდა ჩემს ობოლ შვილს გაუნაწილოს. ბიძა შეძლებით საშუალო გლეხია. ობლის ქონება, რომელიც შესდგებოდა 20 სკა ფუტკრისგან, სამი ძროხის, ორი უღელი ხარის, ვენახის და სახნავ მიწებისგან ბიძამ ჩაიბარა; ობოლს კი არაფერს აძლევს. ბავშვი სწავლობს თბილისში, შრომის სკოლაში. გთხოვთ გვიპასუხოთ—ეკუთვნის თუ არა ობოლს წილი მამის ქონებიდან.

ობლის დედა **ანნა ჩიტაიშვილისა.**

პასუხი

გარდაცვალებული მშობლის ქონება ეკუთვნის მხოლოდ მის პირდაპირ მემკვიდრეს (ამ შემთხვევაში თქვენ მიერ დასახელებულ ობოლ ბავშვს), ამიტომ თქვენ გაქვთ უფლება, თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418-428-ის, სასამართლოს წესით მოითხოვოთ ობლისთვის ქონების დაბრუნება. ობლის ბიძას, ობლის მამის საკუთარი ქონებიდან არ ეკუთვნის არავითარი წილი და მისი მოქმედება (სხვისი ქონების მისაკუთრება მითვისება) უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად და დაისჯება სისხლის სამართლის კოდექ. მუხ. 192-ის თანახმად.

მუშაობის შესახებ მოწმობის გაცემაზე

კითხვა

როგორც უმუშევარი საშუამავლო ბიუროს მიერ 1923წელს 4 იანვრიდან გაგზავნილი ვიქენი „ზაჰესი“-ს სამუშაოებზე მოიჯარადრე სპირიდონ ბენდუქიძესთან. მასთან ვიმუშავე მთელი ორი წლის განმავლობაში მეტად მძიმე პირობებში: ვათრევდი ქვებს. ამ ხნის განმავლობაში მე არ ვიყავი დაზღვეული. სამუშაოდან წასვლის შემდეგ, მე მოვთხოვე ბენდუქიძეს მოწმობა იმის შესახებ, რომ მე მასთან ვმუშაობდი, მან კი ასეთი არ მომცა.

გთხოვთ განმარტებას, ვალდებულია თუ არა ბენდუქიძე მომცეს ასეთი მოწმობა.

მუშა **სტეფანე ვილშვილი.**

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 42-ის თანახმად მოქ. ბენდუქიძე ვალდებულია მოგცეთ თქვენ მოწმობა იმის შესახებ, რომ თქვენ ნამდვილად მასთან მუშაობდით—მოწმობაში მუშაობის ხანგრძლივობის აღნიშვნით.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ—ლენინის უბანში, „პაგრანიჩნაია“ ქ. სახლ. № 5-ში. მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 56 კვად. არშინი; ვარ რკინის გზის კავშირის წევრი (წიგ. № 25188) ძირითად ჯამაგირს ვიღებ—32 მან. და 40 კ. რაოდენობით. სახლის პატრონს შევეკარი შინაური პირობით, რომ მეძლია თვეში 5 მანეთი და მის მოთხოვნილებისთანავე დამეცალა ოთახი. რაც ოთახში ვცხოვრობ, უკვე ორი წელია.

ეხლა მთხოვს სახლის პატრონი ოთახის დაცლას, რაც ჩემთვის შეუძლებელია.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას აქვს თუ არა ჩემ მიერ მიცემულ ხელწერილს ძალა, ან რამდენი უნდა ვაძლიო ქირა თვიურად.

პასუხი

ბინის ქირას თვიურად იხდით, არსებული საბინაო ტარიფის მიხედვით, თვითეულ კვადრატ. არშინზე კაპეიკ ნახევარს. ხელწერილის გაუქმება უნდა მოხდეს სასამართლოს წესით **(სამოქ. სამართლის მუხ. 33-ის თანახმად).**

რა გადამხდება ბინის და წყლის ნაფასურად?

კითხვა.

ვცხოვრობ კომუნალურ ქუჩაზე, სახლი № 37-ში.

ვარ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრი (საწევრო წიგნაკის № 11.977), ჩემი ოთახი შეიცავს 35 კვ. არშინს. ამჟამად ვიმყოფები უმუშევრად. რამდენი უნდა გადავიხადო ქირა ოთახისა და წყლის.

კავშირის წევრი **გრიგოლ კობერიძე.**

პასუხი.

ბინის ქირად თვითეულ კვადრატ. არშინზე როგორც კავშირის უმუშევარი წევრი, თვიურად გადაიხდით ერთ კაპეიკს. დახარჯულ წყლის თვითეულ ვედროზე კი ერთმეოთხედ კაპეიკს.

პარტიული კალენდარი

ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის წევრებს და კანდიდატებს 10 დღის განმავლობაში დაფარონ დავალიანება, რომელიც მათზე ირიცხება პარტსკოლებში სახელმძღვანელოების წაღების გამო.

ფული შეტანილი უნდა იქნეს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

სახელმწ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო ამით აცხადებს უჯრედების წევრთა საყურადღებოთ, რომ ა/წ. 4 ივნისს (პარასკევი) საღამოს სრულ 5 საათზედ მოწვეულია კომ. პარტიის და კომ. კავშირ.ის უჯრედების გაერთიანებული კრება.

დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

1) ვოპაძე შალვა ბესარიონის ძე, 2) კაბიშვილი ალექსანდრე ვასილის ძე, 3) აკოპოვი არტაშ არტემის ძე, 4) ბოგდანოვი ივანე პეტრეს ძე, 5) გულიევი გარეგინ, 6) დადიანი მიხეილ, 7) ჩურამოვი ალექსანდრე, 8) პარადაშვილი კირილე იოსების ძე, 9) ბაბენკო არსენტი დიანოსის ძე, 10)სარქისიანი გაბრიელ ნაზარის ძე, 11) ტურაშვილი სარქის ალექსის ძე, 12) სიტატაშვილი ვალიკო მიხეილის ძე, 13) კურბატოვი ალექსანდრე ლევანტის ძე, 14) რაზმაძე ალექსანდრე გრიგოლის ძე, 15) სირაძე სტეფანე პეტრეს ძე,16) მუშკუდიანი ალექსანდრე პავლეს ძე, 17) ბეკნაზაროვი მიხეილ ივანეს ძე, 18) ძნელაძე ვასილ ლეონტის ძე.

საქართველოს ფინსახკომის საფინანსო-საკონტროლო განყოფილების თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს, ამავე კომისარიატის დაუღალავ მუშაკის, ყველასათვის საყვარელ და ძვირფასი ამხანაგის

გიორგი მაიზოსროს ძე ჭაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1379

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველობის გულდათუთქული თანამშრომელნი მწუხარებით აცხადებენ, რომ ხუთშაბათს, 3 ივნისს, დილის 8 საათზე, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი უფროსი და მეგობარი

გიორგი მაიზოსროს ძე ჭაფარიძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1379

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა ადგილკომი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგ-თანამშრომელთ, ნაცნობთ და მეგობრებს ამავე კომისარიატის საქმეთა მმართველის საყვარელ ამხანაგის და დაუღალავ მუშაკის

გიორგი მაიზოსროს ძე ჭაფარიძის

ტრაღიკულ გარდაცვალებას ა. წ. 3 ივნისს, დილის 8 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოქვეყნებული. ნ. 1379

საქართველოს ფინსახკომთან არსებული საფინანსო კურსების მსმენელები და ხელმძღვანელები ამით აუწყებენ ამხანაგებს, მათთვის საყვარელ, დაუღალავ მუშაკის, ამავე კურსების ლექტორის

გიორგი მაიზოსროს ძე ჭაფარიძის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1379

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება საქმეთა მმართველის

გიორგი მაიზოსროს ძე ჭაფარიძის

ტრაღიკულ გარდაცვალების შესახებ ა. წ. 3 ივნისს. ნ. 1379

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის საგადასახადო განყოფილების თანამშრომელნი მწუხარებით იუწყებიან ფინანსთა სახ. კომისარიატის საქმეთა მმართველის, პატიოსან მუშაკის, ყველასათვის საყვარელ

გიორგი მაიზოსროს ძე ჭაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას ა. წ. 3 ივნისს. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება. ნ. 1379

მამა ნიკოლოზი დიმიტრის ძე, დედა მარიამ გუდუს ასული, ბებია მაკრინე ალმასხანის ასული, და ნორა, ბიძა გრიგოლ დიმიტრის ძე, ბიცოლა მარიამ მელქისედეკის ასული, ბიძაშვილები—თამარა, აზა და ოთარ ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 5 ივნისს, შაბათს, სოფელ ძველსენაკში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებული თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მეორე კურსის მსმენელის

დიმიტრი (ჯავბე) ნიკოლოზის ძის ქავთარაძის

სულის მოსახსენებლად. 2697

ღრმად დამწუხრებული მამა თომა ვასილის ძე სურმავა, დები—ნადია და მარგო, ძმები—ვლადიმერი და ალექსანდრე, დეიდები—დარიკო, თამარი და ეკატერინე—მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ 2 ივნისს დილის 4 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი

კონსტანტინე (კოტე) სურმავა

ცხედარი ასვენია ქაშვეთის ეკლესიაში. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 საათზე. გაასვენებენ კვირას, 6 ივნისს 12 საათზე კოჯორში. 2793 2—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ნიკოლოზ და პუპი, ძმები: სერაფიონ, ლავრენტი, ია (ეპიფანე) და ნოე, რძალი მარო, დები თეკლე და ბაბინე, სიძე კასიანე, დის შვილები: ლეო, სონია, სანდრო, სარდიონ, შალიკო და ცუცუნია აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვანო ნიკოლოზის ძე მანთარია

გამოსვენება მოხდება პარასკევს, 4 ივნისს, 5 საათზე რესპ. მთავარ საავადმყოფოდან. გასვენება გურიაში სოფ. აკეთში. ღ.

თავზარდაცემული მშობლები ბარბარე ივანეს ასული და ვასილ ილარიონის ძე გვრიტიშვილი შვილებით ოლიათი და ილარიონით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი შვილის

თამარის (თამრიკოსი)

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, ბინაზე, 19 თებერვლის ქუჩა № 70. დაკრძალვა შაბათს 4 საათზე— წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2690 3—2

აპოლო არფასტო სოლეი

ახალი სურათი
„მიხაელ“
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო კინო „აპოლო“ ბაღ „არტო“-ში (სასტუმრო „ნოეს“ ახლო).
იჩქარეთ ნახვა, მალე შეწყდება ჩვენება
„მოწყენილი ქუჩა“
ასტა ნილსენის მონაწილეობით
პირველად თბილისში მსოფლიო კომიკები
პატი და პატაშონი სურათში
„ყველაფერს ვხედავთ“ ყველაფერი ვიცით
აპოლოში, არფასტოში და სოლეიში პროგრამის გარეშე:
ა.-კავ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა
0—21. ნ. 1265

კვირას,
6
ივნისს
ამიერ-კავკასიის დერბი
დოღი
„რესპუბლიკის“ ჯილდო
დასაწყისი ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე ნ. 1377 2—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33.
ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე საქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის. 25—6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი
ნიშნავს
შეჯიბრებას
შემდეგი მასალების მიწოდებაზე:
ცინკა გადაკრული წყალსადენის და საკანალიზაციო მილები დიამეტრით ნახ.-დან 2 დიუმამდე ყველა შემაერთებელი ნაწილებით, წყლის სათბობი საცირკულიაციო ქვაბებით და ბაკებით 100—150 ვედრო წყალწყვით.
იმ პირთ, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, განცხადებები შემოაქვთ დახურულ პაკეტებში 12 ივნისის დღის 12 საათამდე.
საჯარო ვაჭრობა შესდგება 13 ივნისს, დღის 12 საათზე, ხოლო განმეორებითი ზეპირი ვაჭრობა იმავე დღეს პაკეტების გახსნის შემდეგ.
ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე—დღის 12-დან 2 საათამდე ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანიტარულ-ტეხნიკურ სექციაში (ძნელაძის ქ. ყოფ. საპიორის № 30). ნ. 1378

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

სურამ-ბორჯომის უბ. სახ. სასამარ. აღმასრულებელი

ი. ქურდევანიძე

ამით აცხადებს, რომ თიბათვის 11, 1926 წ., დილით 12 საათზე ქ. სურამში სომხების ხიდთან ლაბაძის სახლში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სხვადასხვა ტყავეულობა და მოძრავი ქონება კუთვნილი ლევონ მალკინისა,—თანახმად სურ. უბ. სახ. სასამარ. აღმასრ. ფურცლების №№ 558, 559, 567. სადაღოვის, ლაბაძის და მღებროვის ვალის დასაკმაყოფილებლად 80 მან. 85 კ. კვალობაზე. მთელი ქონება აღწერილია 82 მან. მსურველს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში. 2702

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 8 ივნისს ნაშუადღევის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სიმონ სიმონის ძე აბაშიძეს. ქონება მდებარეობს ქ. თბილისში მე-12 მილიციის უბ. ელისაბედის ქ. № 167 და შეიცავს სამ კორპუს სახლებს. მათგან ორი კორპუსი არის ოთხ სართულიანი და ერთ ორსართულიანი და აშენებულია ნაკვეთ მიწაზე ზომით 209 კვ. საჟ. ქვით და აგურით, შესდგება 75 ოთახიდან, 30 სამზარეულოდან და 15 სარდაფიდან. ეს მამული გასასყიდათ შეფასებულია 4,000 მანეთად, რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია ამბარცუმ აზიზოვის და მირიანაშვილის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს დადგენილებით 1925 წ. 1 დეკემბრის თარიღით № 3786 საერთო ჯამი 1.014 მანეთამდე.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპ. კოდ.—309 მუხ. ცნობები, გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარადგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროცენტის რაოდენობით, ე. ი. 400 მანეთი. ნ. 2699

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთოდ ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის № 32. 25—

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 2356

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8.
პლეხანოვის პროსპექტი, № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
2537 25—1

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა, № 47, ტელეფ. № 5—90
თვალის საავადმყოფო. 25—12

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
2215 3—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 22—

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საქიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტ. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 5—17

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, № 15.

დაკარგვე ატესტატი, მოცემული მე-2-რე შრომის სკოლის მიერ № 1314 ვახტანგ ჩხენკელის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2710

დაკარგვე საბინაო დავთარი ბაბილინა ივანეს ასულის თოფურიძის სახელზე, ჩ. გ. 2696

დაკარგვე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 15967, ერმილე ცომაიას სახელზე, ჩ. გ. ქ. 2698

დაკარგვე სამხედრო საარიცხვო წიგნაკი ფორმა № 4, ვასილი დავითისძე პაპუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2694

დაკარგვე აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 4929. მოწმობა გაცემული ლენინგრადის „მაშინოსტროი“-ს კანტორიდან შალვა ძიძიგურის სახელზე, ჩ. გ. 2695

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68